სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 1 ივნისი 2000 №102 (1124) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო ავარიულ მდგომარეობაში

ექს-ჩემპიონთა პრეზიდენტი ...ერაბ რატიანი სიკვდილს ...აეხსნა, „დინამო“ — უეფას

ბატიგოლი, ბატიფული, ბატიგული

...აბრიელ ბატისტუტა „ფიორენტინადან“ „რომაში“ გადავიდა

ბარტეზი მანჩესტერელია



...ინგლისის ჩემპიონმა მასში 7,8 მილიონი გირვანქა გადაიხადა

მორჩა და დაპატარავდა

ქართული ფეხბურთის მორჩენა-გაჯანსაღებამდე კიდევ ბევრი წყალი და ჩემპიონატი ჩაივლის. გუშინ მორიგი, მეთერთმეტე ეროვნული მორჩა. პირველი ლიგა „ხობის“, „არსენალის“ და „თბილისის“ კვალდაკვალ შარშანდელმა თასის ფინალისტმა „სამგურალმა“ დატოვა. გაისად უძლიერესთა შორის დანარჩენი 12 გუნდი ითამაშებს.

გუშინ ეროვნულის სტადიონის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: „ლოკომოტივი“ — „გორდა“ 2:1.
რუსთაველი ლაშა სილაგაძე და ლოკომოტიველი დავით გოდერძიშვილი

14 ტური

«ა» ზონა

30 მაისი, სამშაბათი

ტორპედო	0
ვიტ ჯორჯია	0
დინამო	6
დილა	1
ბათუმი	2
კოლხეთი	0
იბერია	0
სიონი	1

ტორპედო	14	8	4	2	37 : 11	46
ვიტ ჯორჯია	14	8	5	1	15 : 7	41
დინამო	14	5	9	0	19 : 4	41
ბათუმი	14	8	2	4	22 : 10	39
კოლხეთი	14	7	3	4	18 : 10	37
სიონი	14	3	1	10	13 : 32	21
იბერია	14	2	2	10	6 : 29	17
დილა	14	2	0	12	10 : 37	16

«ბ» ზონა

31 მაისი, ოთხშაბათი

სამგურალი	2
თბილისი	1
თსუ	7
ხობი	2
არსენალი	0
მერანი	2
ლოკომოტივი	2
გორდა	1

მერანი	14	9	4	1	18 : 5	39
ლოკომოტივი	14	8	3	3	22 : 8	36
თსუ	14	9	0	5	26 : 15	35
გორდა	14	8	2	4	25 : 10	34
სამგურალი	14	8	3	3	17 : 8	33
თბილისი	14	3	2	9	12 : 26	18
არსენალი	14	3	0	11	11 : 27	14
ხობი	14	1	0	13	13 : 45	8

პირველი ეტაპის ჭულები განახევრებულია

მაია ერთია

გუშინ ბათუმში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა ევროპის პირად პირველობაზე ტაი-ბრეიკები შედგა. ამგვარი სამი იყო და ორში ქართველებმა ნონა გაფრინდაშვილმა და ნინო ხურციძემ ითამაშეს. მათ სწრაფი ჭადრაკის წესებით ჯერ ორ-ორი პარტია უნდა გაემართად და, თუ ესეც ვერ გაჭრიდა, ბლიცებზე გადავიდოდნენ. გაფრინდაშვილმა უკრაინელ ჟანა ზატონსკისთან ორივე პარტია წააგო. შედარებით მეტხანს ითამაშა ნინო ხურციძემ, რომლის მეტოქე პოლონელი ივეტა რაძიევიჩი იყო. სწრაფი ჭადრაკის ორივე, 25 წუთიანი პარტია და თხუთმეტწუთიანი ბლიცების პირველი პარტიაც ყაიმით დასრულდა, მეორეში კი ჩვენებურმა მეტოქეს უეცრად ფიგურა დაუსვა და შემდგომში დიდი ბრძოლის მიუხედავად, დანებებამ მოუწია. მეოთხედფინალს ერთადერთი ქართველი შემორჩა, იგი მაია ჩიბურდანიძეა, რომელიც დღეს უნგრელი ილდიკო მადლის წინააღმდეგ გააწყობს ფიგურებს.

დავით გულუა

სამშაბათიც შაბათია

როლან გაროსის ორგანიზატორებს ეს სამშაბათი კარგა ხანს მწარედ ემახსოვრებათ — გადაულებელი წვიმის გამო მოთამაშეებმაც და მაყურებლებმაც მთელი დღე უსაქმოდ იყურყუტეს, ტურნირის ხაზინა კი მილიონ დოლარზე მეტით დაზარალდა. პარიზის თავზე გუშინ ცა მოიწმინდა, თამაში განახლდა და მორიგი ფავორიტიც გაუყვა შინისკენ გზას. ბელგიელმა დომინიკ ვან რუსტმა ოცდამეშვიდე დაბადების დღეზე საკუთარ თავს ჩინებული საჩუქარი უძღვნა — ფავორიტად შერაცხული ლინდსი დევენპორტი დაამარცხა.



REUTERS პარიზიდან

დომინიკ ვან რუსტმა ლინდსი დევენპორტი გააჩუმა

იხილეთ მეცამეტე გვერდი

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
31 მაისი
18 საათი
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ
300 (ტევადობა 3 000)

ᲗᲘᲡᲣ 7:2 ᲮᲝᲑᲘ

1.0 წუწუნავა (12), 2:0, 3:0 ერაძე (24, 42), 3:1 ვ. ჩიტაია (50), 4:1, 5:1 წუწუნავა (58, 62), 5:2 ვ. ჩიტაია (75), 6:2, 7:2 წუწუნავა (76, 81)
ერაძემ ვერ გაიტანა პენალტი (6)
ᲗᲘᲡᲣ: გუგუნავა, იწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (მესხი 46), წუწუნავა, დეკანოსიძე, ბ. ნოზაძე (ახალაძე 74), მაზიაშვილი, ერაძე (ქადაგიძე 69), კვიციანი, დ. არჩვაძე
სათადარიგო: მერლანი; ლობჟანიძე, გ. გოცირიძე
ᲮᲝᲑᲘ: ქაშიბაძე, ჯიქია (ბერაია 69), დ. ჩიტაია, ბბაკული, ზურაბ აიანდი, ხურცილავა, ვართაგავა, მ. ტყებუჩავა, ვ. ჩიტაია, ჭიჭინაძე (ლატარია 72), ზაზა აიანდი (ოდიშარია 46)
სათადარიგო: მ. ბუკია
ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲘᲚᲔᲑᲘ: ვართაგავა (7), ზურაბ აიანდი (71)
ᲛᲐᲡᲐᲯᲔᲑᲘ: გ. ასკაროლი; გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)
ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ნ. ამირეჯიბი

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲫᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ მცხეთიდან

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ტორპედო“ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ დაუწვება და მეორე ადგილზე ამსთანავე უეფას თასზე გასელაში დაეხმარება, სამგიერად კი ვიტ-

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
14 ტური

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ 7 ᲐᲠᲛᲐᲖᲖᲔ

ელთა საბაზო გუნდი თსუ „ხობს“ არ მოუგებს, წყალტუბოს „სამგურალი“ კი „თბილისს“ დაამარცხებს და პირველ ლიგაშიც თსუ-ს ნაცვლად „სამგურალი“ დარჩებაო. აი, ასეთი ჭორები დადიოდა ქართულ საფეხბურთო წრეებში ბოლო ტურის წინ. ეჭვი კიდევ უფრო გუშინწინ გაძლიერდა, როცა „ტორპედომ“ „ვიტ ჯორჯიასთან“ მთელი მატჩი უჯიგროდ ჩაატარა. ვიტელებმა მიზანს მიაღწიეს, ახალ ჩემპიონთან ქულას გამოჭკრეს ხელი და ვერცხლიც დაიბევეს.

„არმაზზე“ ჩასულმა „ხობის“ შემადგენლობას გადავხედე და...

სტუმრები თავიდანვე მარცხისთვის გაიწირნენ, ისინი მცხეთას მეკარის გარეშე ეწვივნენ. ნიქაბერიძე ცოტა ხნის წინ ავარიაში მოყოლილა და შეუძლოდ ყოფილა, თოლორდავა კი „მერანთან“ მატჩში მსაჯის გინებისთვის დისკვალიფიცირებული გახლდათ. გუნდის თავკაცი ფრიდონ გოცირიძეც იძულებული შეიქნა, კარში ამპლუით ნახევარმცველი რევაზ ქაშიბაძე ჩაეყენებინა.

თსუ-საც მეტი რა უნდოდა, ასკაროლიმ ჩასტვინა თუ არა, „ხობის“ კარისკენ გაიწია. გაიწია და ქაშიბაძე ისეთ დღეში ჩააგდო, რეზოს კარში მეორედ ჩადგომის სურვილი გაუქრებოდა. ახალგამომცხვარ მეკარეს მცველები ოდნავადაც ვერ დაეხმარნენ, თითქმის ყოველი შეტევის შემდეგ თსუელები ქაშიბაძესთან პირისპირ გადიოდნენ.

პირველად ეს მე-6 წუთზე მოხდა, თუმცა ბექა ნოზაძეს ხურცილავამ დარტყმა არ აცალა, საჯარიმოში ისე წააქცია და პენალტითაც დაისაჯა. ბურთთან ერაძე მივიდა, გაასწორა, გამოექანა, დაარტყა და... ეჭვით შეპყრობილებსაც ვარაუდი უფრო გაუძლიერდათ, ბურთი კარს საკმაო მანძილით ასცდა. სამაგიეროდ, მატჩის გმირ კახა წუწუნავას არ უმტყუნა მიზანმა, მე-12 წუთზე ერაძის ჩაწოდებულს ჩაუსაფრდა და ახლოდან ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ კი დაიწყო და დაიწყო...

ყველა მომენტის ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მარტო წუწუნავამ ამ გოლს კიდევ ოთხი დაუმატა, თუმცა ბევრად უფრო მეტის გატანა მართებდა. იგი რვაჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მხოლოდ ოთხჯერ ივარგა, ოთხჯერაც ბურთი კარს ააცილა. თსუ-სა და ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლეს პენალტის გამცუდებელმა სოსო ერაძემაც აუბა მხარი. მან 24-ე წუთზე არჩვაძე-დეკანოსიძის ჩინებულ კომბინაციას ლამაზი, შეუჩერებლივ დარტყმულით დაუსვა წერტილი, ტაიმის მიწურულს კი ქაშიბაძეს კარის უყურადღებოდ დატოვება არ აპატია და შორიდან თავზე გადაუგდო ბურთი — 3:0. ტაიმიც ასე დასრულდა.

მეორეში სანამ წუწუნავა თავის ზომბარდირულ თვისებებს გამომაქელავნებდა, ვლადიმერ ჩიტაიამ გამოიჩინა თავი, როცა 50-ე წუთზე გუგუნავას შეცდომით ისარგებლა და ოდიშარიას კუთხურიდან ჩაწოდებულს ზუსტი თავური მოაყოლა — 1:3. მერე კი წუწუნავას ჯერი დადგა. ზედიზედ ორჯერ გაიტანა. ამის შემდეგ ისევ ვლადიმერ ჩიტაიამ გამოიღო ხელი, ანგარიში 5:2 გახადა, თამაშს წერტილი წუწუნავამ დაუსვა, ქაშიბაძეს ჯერ მეექვსე გუტანა, 81-ე წუთზე კი მეშვიდეც გამოატანინა ბურთი. მეშვიდე გოლი რომ გავიდა, მცხეთის მექანიკურ ტაბლოზე კარგა ხანს ისევ 6:1 ეწერა. მერე კი „არმაზის“ მესვეურებმა დაფაზე სახელდახელოდ შვიდიანიც წააწერეს და...

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ ქაშიბაძესაც და წუწუნავასაც. თსუელებმა წლეულს დუბლიც შეასრულა და ჰეთრიკიც. გუშინ ხუთი ბურთი გაიტანა (წლევანდელ ჩემპიონატში ერთადერთია, ვინც ეს შეძლო), ერთი პოკერის (თუ გუშინდელ ხუთთაგან ოთხ გატანილს არ ჩავთვლით) გაკეთება ვერ მოახერხა და ეს საქმე გაისისთვის გადადო.

ᲒᲐᲓᲠᲘᲗ ᲙᲐᲪᲘᲔᲚᲐᲫᲘᲡ ფოტოები

ჩემპიონატის მესამე ბომბარდირმა სტუვენტმა კახა წუწუნავამ (ბურთით) 15 გოლის მესამედი გუშინ გაიტანა

ხობელთა გუშინდელი მეკარე, საერთოდ კი ნახევარმცველი რევაზ ქაშიბაძე

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲘᲮᲝᲕᲔᲑᲐ

წყალტუბო
31 მაისი
18 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 2:1 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

0:1 ლაბაძე (14), 1:1 სუხიაშვილი (31), 2:1 დარსაძე (48)
ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ: სტურუა, ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, ჭელიძე (გ. გოგოლაძე 67), ბერაძე, ბაბუნაშვილი, გიორგობიანი, სუხიაშვილი (ფუტკარაძე 83), ზ. ქუთათელაძე, კვერნაძე (ქყონია 85), დარსაძე
სათადარიგონი: ბოდოკია; ნებიერიძე, ვოსკანოვი
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: მამალაძე, ზ. ლაბაძე, ძაგნიძე, ჩივაძე, ტყებუჩავა, კანდელაკი, მანჭარული, სულაქველიძე, ლოლაძე, მუმლაძე, ი. შენგელია
ᲛᲐᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ბ. ქარქაშაძე

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ წყალტუბოდან

ᲬᲘᲜᲐ რვა ტურში წაუგებელი და 20 ქულის ამღები „სამგურალი“ ბოლო მატჩამდე სამომავლოდ უძლიერესთა ჯგუფში დარჩენის იმედს კიდევ ინარჩუნებდა, ოღონდ იმედიცაა და... წყალტუბოელებს „თბილისთან“ ხომ უნდა მოეგოთ, მაგრამ ეს არ კმაროდა, წყალტუბოური მატჩის პარალელურად მიმდინარე ორ თამაშზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ან თსუ-ს ვერ უნდა მოეგო „ხობისთვის“, ანაც „ლოკომოტივს“ უნდა წაეგო „გორდასთან“. ერთიც და მეორეც ძნელად წარმოსადგენი იყო. მოვლენებიც ისე განვითარდა, რომ მოსახდენი მოხდა — „სამგურალი“ ეს უკვე მეორედ ემშვიდობება პირველ ჯგუფს, ცხრამატჩიანი წაუგებელი სერიის მიუხედავად.

მასპინძელთა უპირატესობა ადრიანად ჩამოწერილ „თბილისთან“ იმდენად დიდი იყო, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. სტუმრები ხომ მოვალეობის მოხდის მიზნით, 11 ფეხბურთელით, უსათადარიგოებოდ ჩავიდნენ წყალტუბოს.

მე-5 წუთზე იყო თბილისელთა კართან პირველი საგოლე მომენტი რომ შეიქმნა. ბერაძემ დაახლოებით 15 მეტრიდან ზუსტად და სახიფათოდ დარტყა კარში, მაგრამ მამალაძემ შეძლო ცხრიანიდან ბურთის ჩამოხსნა. სტუმართა მეკარემ მომდევნო ორი შეტევის დაგვირგვინებაც არ აცალა წყალტუბოელებს, დინჯად ითამაშა გამოსვლაზე.

მე-14 წუთზე კი... „თბილისი“ პირველად გადავიდა იერიშზე და კუთხურის უფლება მოიპოვა. ზვიად ლაბაძემ „სამგურალის“ საჯარიმოში ჩააწოდა და, ბედი არ გინდა, მოსაგერიებლად გამზადებულ ჭელიძეს სრულიად უწყინარ სიტუაციაში სველი ბურთი (მატჩის წინ გაწვიმდა) ფეხზე აუსრიალდა და კარში ისე ირიკოშეტა, სტურუამ რეაგირებაც ვერ მოასწრო.

სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ იგრძნობოდა, ანგარიშის შემნარჩუნებელნი არ იყვნენ. ადრე თუ გვიან მასპინძელთა მასირებულ შეტევებს შედეგი უნდა გამოეღო. მე-16 წუთზე კვერნაძის პასით ქუთათელაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. მერე ბერაძეს მიეცა შანსი, მაგრამ არც მას გაუმართლა. ანგარიში კი ასე გათანაბრდა. მასპინძელთა ნახევარმცველმა ბაბუნაშვილმა მარცხენა ფლანგიდან გრძელი ზუსტი პასით სუხიაშვილი მოძებნა და ამანაც დაუფასა, კუთხიდან შეაღწია საჯარიმოში და უნაკლოდაც დაარტყა მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში. შესვენებამდე ორჯერ კვერნაძეს, ბერაძეს, დარსაძეს შეეძლოთ „სამგურალის“ წინ გაყვანა.

წყალტუბოელები მეორე ტაიმშიც გამუდმებით უტევდნენ და გატანის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, ეგ იყო მხოლოდ ერთი გამოიყენეს. ეფექტური გოლი გახლდათ. მასპინძლებმა ცენტრიდან მეტოქის საჯარიმოში გაგზავნეს ბურთი, წინ გამოსულმა მამალაძემ მოგერიება მოახერხა, ბურთი მარჯვნივ გადააგდო, იქ, ფლანგზე მინდვრის კიდესთან ახლო ბურთი დარსაძეს მიუვიდა და წყალტუბოელს ბევრი აღარ უფიქრია, 25 მეტრიდან მეტად მახვილი კუთხიდან ოსტატურად ჩაჰკიდა კარში.

„სამგურალი“ გამარჯვებული გამოეთხოვა პირველ ჯგუფს.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ჩვენი დროით რვა საათზე უეფას ინტერტოტოზე მოთამაშე გუნდებისგან განაცხადების მიღება უნდა შეეწყვიტა. ჩვენთვის კი ჯერაც გაურკვეველია ამ გათამაშებაში მონაწილე ქართული გუნდის ვინაობა. საშმასათს თბილისის „დინამომ“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აუწყა ინტერტოტოზე ვითამაშებთო, რაც ფედერაციამაც უმალ უეფას ამცნო, მაგრამ საბოლოო პასუხი „დინამოს“ გუშინ, კლუბის კრების მერე უნდა ეთქვა, სწორედ რვა საათამდე. რა გადაწყვიტა „დინამომ“ ვერ გავიგეთ, მათ ხელმძღვანელობისგან ვერავის დავუკავშირდით, თუმცა კი ერთი მაინც შევიტყვეთ: „ბათუმის“ პრეზიდენტმა თეიმურ ბეჟანიძემ გვითხრა, რომ გუშინვე საღამოს ათის ნახევრისთვის მას „დინამოს“ გენერალურმა მდივანმა ვაჟა ჟვანიამ დაურეკა ინტერტოტოზე თამაში ზედმეტი ხარჯი გამოგვდისო. ეს, ბეჟანიძისვე თქმით, „დინამოს“ ფედერაციისთვისაც შეუტყობინებია. გამოდის, რომ „დინამო“ უარობს ინტერტოტოს, თამაშს და თუ მართლაც ასეა, მაშინ საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნებს „ბათუმი“ შეცვლის.

„დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი კი გუშინწინ ავტო ავარიაში მოჰყვა რატიანს, რომელიც „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩს დაესწრო, მასპინძლებს ჩემპიონობა მიულოცა, მხატვრული ტილო უსახსოვრა და თბილისსაკენ გამოემგზავრა, სოფელ შროშასთან შეემთხვა ეს ამბავი. საშიში არაფერია, პირველადი სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს, ცოტა ხანსაც ქუთაისშივე დაარჩინეს და მერე ექიმებმა შინ გამოუშვეს.

ამ ფაქტის გათვალისწინებით გასაკვირი, არაა, რომ „დინამო“ ბოლო დღეებში ლამის ყოველ საათში ცვლიდა გადაწყვეტილებებს და საბოლოოდ რა გადაწყვიტა, ღმერთმა უწყის.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

თამაში წვიმაში, დარჩენა ლიგაში

თბილისი
31 მაისი
18 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

ლოკომოტივი 2:1 გორდა

10 ჯუღელი (24პ), 1:1 კიტეიშვილი (42), 2:1 ჯუღელი (60პ)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, გ. ჩხაიძე, კაციაშვილი (ონიანი 74), კვარაცხელია, ჭოჭვიაშვილი, ჯუღელი, გოდერძიშვილი, რუსია
სათადარიგო: ივარდავა; ლ. ჩხაიძე, ძოძუაშვილი, მ. ჯიშკარიანი, აბრამიძე
გორდა: გონგაძე (ბედიაშვილი 25), ბერიძე (წიკლური 59), სილაგაძე, ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია (პატარიძე 46), მიშველიძე, მელაძე, კიტეიშვილი, კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე
სათადარიგო: ბაჩილავა
მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

კოტა ინასარიძე

ესეც ასე. ჩემპიონატი ჩამთავრდა. ბოლო ტურის წინ „ბ“ ზონის სამ თამაშს გარკვეული ინტრიგა კი ახლდა, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის დონიდან გამომდინარე, ბევრმა წინასწარ იცოდა, გუშინ სტადიონებზე როგორი სანახაობაც ელოდა და გამონაკლისი „ლოკომოტივი“ — „გორდა“ აბა რატომ იქნებოდა?

მოსაწყენი, დუნე, მონოტონური მატჩი ვიხილეთ ეროვნულზე. თამაშით თავი არავის მოუკლავს. რუსთაველებს არც ენაღვლებოდათ, მათ უძლიერესთა ლიგაში დარჩენის პრობლემა წინა ტურშივე მოაგვარეს, როცა შინ თსუ დამარცხეს. „ლოკომოტივს“ კი ფრეც ხელს აძლევდა სამომავლო თორმეტეულში ადგილის დასაბეებლად და რომ გორ ფიქრობთ, თბილისში, შემადგენლობაშესუსტებულ „გორდასთან“, თასის მფლობელებს ეს გაუჭირდებოდათ? ხვალინდელ „სარბიელში“ ამ მატჩის სტატისტიკასაც იხილავთ და უფრო დარწმუნდებით, თუ რამხელა უპირატესობა ჰქონდა „ლოკომოტივს“. თავად განსაჯეთ, რკინიგზელებმა რუსთაველ მეკარეებს, ჯერ გონგაძეს, მერე — ბედიაშვილს, 12-ჯერ დაურტყეს, სტუმრებმა ლომაიას — მხოლოდ ორჯერ. საკვირველი კი ისაა, მასპინძლებმა ორივე გოლი პენალტით რომ გაიტანეს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ 11-მეტრიანი ორჯერვე ნაღდი იყო. ჯუღელმაც ორჯერვე უნაკლოდ დაარტყა. მეკარეებს თითო-თითო გაუტანა. 24-ე წუთზე გონგაძე გოდერძიშვილს მაშინ ჩაუხტა ფეხებში, როცა თავდამსხმელი საჯარიმოს ხაზს სცილდებოდა. შილაკაძემ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ეტყობა, ამ ეპიზოდით გულმოსულმა „გორდას“ მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა მეკარეც წუთშივე შეცვალა და „ლოკომოტივის“ დანარჩენი, ერთობ ბევრი შეტევების მოგერიებაც ბედიაშვილს მოუხდა, რა თქმა უნდა, მცველებთან ერთად. სიტყამ მოიტანა და „გორდას“ გუშინ დისკვალიფიცირებული სამი მცველიც აკლდა და... გამთამაშებელი გიორგი კილასონიაც.

გაიტანა „ლოკომოტივმა“ გოლი და თამაში მთლად წახდა. არანაირი აზარტი, მონდომება, თანაც წვიმიან ამინდში.

ამასობაში 42-ე წუთმაც მოატანა. მარჯვნიდან ლაბაძის ჩაწოდებულს „ლოკომოტივის“ საჯარიმოში უმთავალყურეოდ მიტოვებულმა კიტეიშვილმა თავი ღონივრად დაჰკრა, ლომაიამ ბურთი ხელებში ვეღარ შეიკავა და ანგარიშიც გათანაბრდა. ტაიმი სამ წუთში მორჩა.

ლოკომოტიველი ივანე ჯუღელს რუსთაველი გრიგოლ ბედიაშვილის (№1) კარში პირველი პენალტი გააქვს

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკიდან

შესვენების შემდეგ „გორდას“ ლომაია ერთხელაც არ შეუწუხებია, მოედნის ცენტრსაც ორჯერ თუ სამჯერ გადასცდნენ რუსთაველი ფეხბურთელები. წარმოიდგინეთ, როგორი თამაშიც იქნებოდა. „გორდა“ ბედიაშვილს უმადლოდეს, გუშინ ხუთი-ექვსი ბურთის სხვაობით რომ არ წააგო. ისე კი ღირდა ჯუღელისა და რუსთაველი მეკარის თამაშის ცქერა. ერთი ღონივრად და ტექნიკურად ურტყამდა, მეორე რეაქციას არ აგვიანებდა, დაფრინავდა აქეთ-იქით და თამაშიდან მასპინძელს ბურთი არაფრით გაატანინა. ჯუღელმა თავის მეორე გოლი მე-60 წუთზე შეაგდო, როცა წუთით ადრე შეცვლაზე შესულ წიკლაურს საჯარიმოში თავი წააცვევინა.

მერე ვინ აღარ უტევდა „გორდას“, თითქმის ყველა ლოკომოტიველი ლომაიას გარდა. მესამე კი მაინც ვერ გაიტანეს, თუმც რაღა საჭირო იყო, სტუმრები გამტანები არ იყვნენ. ეს სამი ქულა „ლოკომოტივისთვის“ უძლიერესთა შორის დარჩენას ნიშნავდა.

წითელი — ყვითელი — მწვანე

რა, შუქნიშანია?

სენაპი
31 მაისი
18 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

არსენალი 0:2 მერანი

0:1 ფურცელაძე (48), 0:2 დავითაშვილი (90)
არსენალი: კუპატაძე, გ. ჩალაძე, ასპინძელაშვილი, ირმაშვილი, ხარებავა, გ. სულაძე, შუკაკიძე, ხმალაძე, თ. კვირკველია, ხოსროშვილი, გ. ტულში
მერანი: ნაჭყეპია, პ. ლურსმანაშვილი, დევიძე, ლ. ამბიძე, დავითაშვილი, შოთაძე (მიშელაძე 65), დ. ჯიშკარიანი, ჭინჭარაული, ბოლქვაძე (ფურცელაძე 46), გუჯაბიძე, კოშკაძე (ივანიშვილი 46)
სათადარიგო: კოროშინაძე, ს. კაკაბაძე, ლ. თოლორდავა, როსტიაშვილი
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

გიორგი ვაშაკიძე

ეროვნული ჩემპიონატის მატჩები რომ თავისი ორიგინალობით გამოირჩევა, კიდევ ერთხელ დამტკიცდა. რაც გუშინ „ისანზე“ მოხდა, ალბათ მსოფლიოშიც არ მოეძებნება ანალოგი. გასაგებია, გუნდი კარგა ხანია, გავარდნილია პირველი ლიგიდან, მაგრამ... წარმოიდგინეთ იტალიის ჩემპიონატის მატჩი „პიაჩენცას“ მონაწილეობით, რომელიც ოთხი-ხუთი ტურის წინ ჩაქვეითდა ქვედა ლიგაში, განა იგი ბოლო ტურში 11 კაცის ამარა დაუხვდებოდა ბეტოქეს? არმიელებმა 11 კაცი ძლივს მოაგროვეს და რა გასაკვირია, რომ ოქმიც სანახევროდ შეუვსებელი დარჩათ.

სერგო გაბელაიამ, „მერანის“ მწვრთნელმა კი ვალი პირნათლად მოიხადა, თვრამეტივე ფეხბურთელი ჩამოაწერინა თანაშემწეს და გაიხუმრა, კიდევ ერთი ამდენი მყავს და რაღა ვქნა.

ასეა თუ ისე, 11 არმიელი გავიდა მინდორზე. გუშინ განგებამ დაიფარა ისინი, რომელიმეს ტრავმის შემთხვევაში კაცნაკლულთ მოუხდებოდათ მატჩის ჩამთავრება.

ეს ყველაფერი თამაშამდე, ახლა არ იკითხავთ მერე რა მოხდა? ფეხბურთს თეთრი ფერის ბურთებით თამაშობენ, ზოგჯერ წითლადაც შეღებავენ, უფრო ზამთარში, მაგრამ ყვითელი?! ნუ გაიოცებთ სათაურში მოყვანილ სიტყვებსაც. ავჭალელები ჩვეულებრივად წითელი ფერის მაისურებში იყვნენ გამოწყობილნი. მასპინძლები მწვანედ შემოსილიყვნენ და ყვითელი ბურთიც დაგორავდა. ერთი მანქანა არ მოძრაობდა მინდორზე, თორემ არბიტრ ავთანდილ ორდინიძეს თავისუფლად შეეძლო, ინსპექტორად გადაქცეულიყო. მსაჯი ხომ მოედანზე წესრიგის დამცველია.

სულიკო დავითაშვილმა (ბურთით) მეთერთმეტე ჩემპიონატს წერტილი დაუსვა: სეზონის ბოლო გოლი გაიტანა

ფოტო ბია ახალაძის

თავად მატჩზე რა უნდა ვთქვა. „არსენალის“ გასაგებია, გავარდნილია და მოტივაციაც დაკარგული ჰქონდა, აი, „მერანის“ თამაში კი გასაკვირი გახლდათ. თამაშამდე ავჭალური კლუბის უფროსობას პრემიები ჰქონდა დაწესებული მოგების შემთხვევაში. „მერანმაც“ გაიმარჯვა, მაგრამ გუშინდელი თამაშით...

პირველ ტაიმში მხოლოდ სამჯერ მომიხდა ჩანიშვნა. პირველად 35-ე წუთზე, როცა მასპინძელთა მეკარე ზვიად კუპატაძემ მასთან პირისპირ დარჩენილ დავითაშვილს არ გაატანინა, ნახტომში აუღო. მერე ასპინძელაშვილის თავური გახლდათ, რომელიც მასპინძელთა ჯარიმას მოჰყვა. „არსენალის“ კაპიტანი საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს კი, როცა ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთი რჩებოდა, ჯიშკარიანის უძლიერესად დარტყმული ხარიხას გაეხახუნა.

დაიწყო მეორე ტაიმი და „მერანმაც“ სამ წუთში ანგარიში გახსნა. მინდორზე ახლად შესულმა დიმიტრი ფურცელაძემ ბურთთან პირველივე შეხება გოლად აქცია. დებიუტიც ჩინებული გამოუვიდა. გაშვებული გოლის მერე „არსენალი“ გამტანი აღარ იყო და გაგრძელდა ბურთის უაზრო გორება, ძირითადად მოედნის ცენტრში. ასე მოატანა 63-ე წუთმა, როცა მასპინძლებს გასათანაბრებლად ბოლო შანსი ჰქონდათ. ნაჭყეპიასთან პირისპირ ამირან ხმალაძე დარჩა და მეკარესაც უძლიერესად დაურტყა. რეზომ იყოჩაღა.

მასპინძელთა ხარიხას ბურთი ერთხელაც მოხვდა, როცა ამბიძემ ტყვიასავით გაისროლა, გადმოვარდნილს დავითაშვილმა მიუსწრო და კუპატაძეც უშანსოდ დატოვა — 0:2.

სხვა არაფერი მომხდარა. ორდინიძემაც ჩასტვინა და საცოდაობაც დასრულდა. დასრულდა XI ჩემპიონატიც.

ქართველები მსოფლიოს თასთან ახლოს

ლიტველები საფრანგეთის პოლიციას ემადლიერებიან

ალბათ, არასდროს ყოფილან ქართველი ფეხბურთელები ასე ახლოს მსოფლიოს თასთან. 27 მაისს რიგის „დაუგავას“ სტადიონზე მოთამაშე „სკონტოს“ ქართულ ოთხეულს ორიოდ ნაბიჯი აშორებდათ. ცხადია, ლატვიური კლუბის ჩვენებურები კვირას სულ სხვა თასისთვის იბრძოდნენ და კიდეც მონადირეს. მეტსაც გეტყვით, სკონტოელთაგან ლატვიის თასს პირველი ალექსანდრე რეხვიაშვილი შეეხო, მან ჩაიბარა, როგორც რიგელთა კაპიტანმა. ლატვიაში მოთამაშე ქართველებმა რომ თასი მოიგეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ წინა კვირაში კიდევ ორი ქართულმა გუნდმა მოიგო მსგვასი ტიტულს, თანაც უფრო პრესტიჟულ საფეხბურთო ქვეყნებში.

მაშ, რატომ დავიწყეთ ლატვიით და რა შუაშია მსოფლიოს თასი? საქმე ისაა, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ამ ბალტიისპირა ქვეყანას წინა კვირაში საფრანგეთის პოლიციის საფეხბურთო ნაკრები სტუმრობდა. მსოფლიოს ჩემპიონის საფრანგეთის წარჩინებული და ფეხბურთზე ასე შეყვარებული სამართალდამცავები რომ სამშობლოდან ამ სიშორეს წასულან, ფრანგული ფეხბურთის ისეთ სიმდიდრეს, როგორიც მსოფლიოს თასია, შინ ხომ არ დატოვებდნენ. ასე მოხვდა მსოფლიოს თასი იმ ქვეყანაში, სადაც, მიუხედავად ქართველი მწვრთნელ-ფეხბურთელების მისიონერული მოღვაწეობისა, რომ არა ფრანგ პოლიციელთა ნაკრები, მას კიდევ კარგა ხანს ვერ ნახავდნენ.

ერთი სიტყვით, შაბათს რიგის ძვირფას სტუმართან ჩასურათხატების მსურველი აშკარად სჭარბობდა, ვთქვათ, იმავე „სკონტოს“ კაპიტან რეხვიაშვილთან ფოტოს გადაღების მოსურნეს.

„სკონტოში ოთხივე ქართველმა ითამაშა, მაგრამ გოლი არც ერთს გაუტანია. ლიეპაიას „მეტალურგსთან“ 4:1 მოგებით ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე პირველად გახდნენ თასის მფლობელები, დავით ჩალაძე მეორედ, ალექსანდრე რეხვიაშვილი კი მესამედ.

„სკონტომ“ ერთი თავით აჯობა „მეტალურგს“, ლაღად კი ითამაშა, მაგრამ ჯერ ფინალს და მერე გამარჯვების აღნიშვნას, ეტყობა, იმდენი ძალა დაეხარჯა, სამშაბათს ლატვიის ჩემპიონატის მეშვიდე ტურში „ვენტსპილსთან“ მოგება ვერ შეძლო — 2:2 ითამაშა. ქართველებს არც ამჯერად გაუტანიათ, თამაშის საშუალებაც ოთხივეს როდი მისცა „სკონტოს“ თავკაცმა ალექსანდრ სტარკოვმა — რაკი მისი გუნდი აგებდა, ლევან კორღალიძე ტრადიციულად შეცვლაზე აღარ ათამაშა.

შვეიცარიაში თასი ჯამარაულის და ყაველაშვილის „ციურიხმა“ მოიგო. ქართველების კლუბმა, ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში დასარჩენად რომ იბრძვის, ახალი მწვრთნელის, ჟილბერ გრესის დანიშვნა ტიტულის და უეფას თასის საგზურის მოგებით აღნიშნა.

ფინალში დაწინაურებულ „ლოზანას“ ანგარიში გოჩა ჯამარაულმა გაუთანაბრა მოხდენილი დარტყმით და მატჩი დამატებით დრომდე მივიდა. მეტოქეებმა იქაც თითო გოლი გაცვალეს და პენალტების სერიისას „ციურიხის“ და შვეიცარიის ნაკრების მეკარე მარკო პასკოლომ იყოჩაღა — ორი პენალტი მოიგერია. ერთიც ლოზანელებმა ძელს გაარტყეს და „ციურიხმა“ თერმეტმეტრიანების სერია 3:0 მოიგო. აქედან ერთხელ ზუსტად დაარტყა 62-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა მიხეილ ყაველაშვილმა.

სხვათაშორის, ყაველაშვილმა ამით ჯავრი იყარა „ლოზანაზე“ ფინალში შარშანდელი დამარცხებისთვის და თავისებური დუბლიც შეასრულა — ის ერთადერთი ქართველია, ვინც შვეიცარიის ჩემპიონიცაა („გრასჰოპერში“ ნემსაძესთან ერთად) და თასის მფლობელიც („ციურიხში“ ჯამარაულთან ერთად).

— „ციურიხიდან“ ჩვენი წამოსვლის საკითხი შგონი, გარკვეული ვადით გადაიდო — განუცხადა გუშინ „სარბიელს“ გოჩა ჯამარაულმა, რომელმაც საზარდულატკივებულმა ითამაშა ფინალში და მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ გოჩა ჯამარაულის ბელგიური „ლიერსი“ ეპატიჟებოდა.

ქართველმა მესამე სათასო გამარჯვება უკრაინაში აღინიშნა. კახა კალაძის და გიორგი დემეტრაძის კიევის „დინამომ“ ფინალში ალექსანდრე კაიდარაშვილის კრივოი როგის „კრივბასს“ 1:0 მოუგეს. კიეველებმა ერთმა ძირითადში, მეორემ შეცვლაზე ითამაშეს. კაიდარაშვილი კი სათადარიგო იყო.

„დინამომ“ გოლი პირველი ტაიმის ბოლოს გაიტანა და ამის მეტი, არჩათვლილის გარდა, არც გასულა. წესის დარღვევა (თამაშგარე) კი მსაჯებმა მაშინ დააფიქსირეს, როცა ანგარიშის გაზრდას გიორგი დემეტრაძე ეცადა.

უკრაინის თასი პირველად მოიგო დემეტრაძემ, კალაძე კი მესამედ დაეუფლა ამ უკრაინულ ჯილდოს. მომდევნო ტურში კიევის „დინამოს“ ქართველები ალბათ ჩემპიონობასაც აღნიშნავენ 26 ტურიდან კი ფინალისტი გუნდების მატჩები 12 ივნისისთვის გადაიდო.

სამ ქვეყანაში, საბერძნეთში, პოლონეთსა და ისრაელში ჩემპიონატი დამთავრდა. ამ ქვეყნებში ქართველთა გუნდები განსხვავებული მიზნებისთვის იბრძოდნენ.

პოლონეთში მამია ჯიქიას „რუხი“ ბრინჯაოს პრიზიორი გახდა — ამ გუნდმა ვიცე-ჩემპიონობა ბოლო ტურში, სტუმრად „ოდრასთან“ ნათამაშევი 2:2-ით დაკარგა.

მესამეობას დასჯერდა ისრაელში გიორგი გახოკიძის ჰაიფას „მაკაბიც“, რომლისგან განსხვავებით გიორგი დარასელიას ქფარ სავას „ჰაპოელი“ საგაისო პრემიერლიგის მიღმა დარჩა.

ნამდვილი უიღბლობა იყო „ჰაპოელის“ გავარდნა. ებრაულ გაზეთ „იერუსალიმპოსტის“ ცნობით ქფარსაველებმა, 1:0 რომ იგებდნენ, „ბეითარისგან“ ბოლო წუთზე გაუშვეს გოლი. მოგების შემთხვევაში დარასელიას გუნდი უძლიერესთა შორის ადგილს შეინარჩუნებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

გიორგი დარასელიამ წლეულს 8 გოლი გაიტანა და ორი ამდენი საგოლე პასიც გააკეთა. ამას თუ დავუმატებთ, რომ „ძუკუ“ ხშირად ტრავმირებული თამაშობდა, ცხადი გახდებოდა, რომ ქფარსაველები მისით კმაყოფილნი დარჩნენ. „ჰაპოელმა“ ახალი კონტრაქტიც შესთავაზა დარასელიას, რომელიც „ლიგალომიტში“ თამაშს არ აპირებს და ებრაული პრემიერლიგური კლუბების შემოთავაზებებიდან საუკეთესოს არჩევს.

საბერძნეთში მეექვსე ადგილზე გავიდა ლევან ქებაძის „ირაკლისი“. ამ საღონიკურმა გუნდმა თანაქალაქელ „არისის“ მსგავსად 50 ქულა დააგროვა და ამ ორმა გუნდმა ახლა დამატებით მატჩში უნდა გაარკვიოს, ვინ დაიმსახურებს უეფას თასის ბოლო საგზურს.

საბერძნეთშივე გოდერძი ნატროშვილის „პანაჰაიკი“ მე-14 ადგილზე გავიდა. ლიგაში დასარჩენად ბრძოლა სამი ტურით ადრე მოითავა.

რუსეთში ქართველთა გუნდებს წინსვლაც ჰქონდათ და უკუსვლაც: ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ შინ 0:3 წააგო ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“, რომელიც ოთხი მატჩის ჯამში 11:0 უგებს მოსკოვურ კლუბებს.

Ე0 მოუგო „ალანიამ“ „ზენიტს“ ახალი მწვრთნელის, ალექსანდრ აველიანოვის სადებიუტო მატჩში. სილაგაძემ და წერეთელმა მთელი მატჩი ითამაშეს, ფოცხვერიამ აშვეთია შეცვალა, გოლი კი ბრაზილიელმა ემილიუმ გაიტანა.

რუსულ პირველ ლიგაში თავი გოჩა გოგრიჭიანმა გამოიჩინა, რომელმაც ორიდან ერთი გოლი გაუტანა ბახვა ამბიძის „ვოლგარს“.

მოლდოვაში კვლავ ორ ქულამდე დაიახლოვა მდევარი „ზიმბრუ“ „შერიფმა“, რომელიც სტუმრად 2:2 დაუზავდა თასის მფლობელ „კონსტრუქტორულს“. ერთი გოლი პენალტი დავით მუჯირმა გაიტანა.

მოლდოვის ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურია, მაგრამ მეტი შანსია, უცხო ქვეყნის ჩემპიონთა ნუსხას ერთბაშად ოთხი ქართველი შეემატოს, ვიდრე ერთი, „ზიმბრუს“ ლევან გვაზავა, რომელსაც ბოლო სამი მატჩი აღარ უთამაშია.

ვახტანგ ბზიკაძე

კიევის დინამოელებმა კახა კალაძემ (მარცხნივ ქვევით) და გიორგი დემეტრაძემ (კალაძის ზევით) უკრაინის თასი მოიპოვეს

სახელი	გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
შვეიცარია									
თასის ფინალი									
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	ნ	ლოზანა 2:2 (3:0)	85	1 გოლი	?	1	1
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	ნ	ლოზანა 2:2 (3:0)	58	მატჩისშემდგომი პენალტი	?	(3:1)	1
საბერძნეთი									
უმაღლესი ლიგა									
გოდერძი	ნატროშვილი	პანაჰაიკი	ს	ოლიმპიაკოსი 1:5	77	შეცვალეს	18	1	14
ლევან	ქებაძე	ირაკლისი	ს	პანიონიოსი 2:2	90		11	3	6
ლატვია									
თასის ფინალი									
დავით	ჩალაძე	სკონტო	ნ	მეტალურგსი 4:1	90		?	0	1
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	ნ	მეტალურგსი 4:1	90		?	0	1
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	ნ	მეტალურგსი 4:1	67	შეცვალეს	?	1	1
ლევან	კორღალიძე	სკონტო	ნ	მეტალურგსი 4:1	23	შეცვლაზე ითამაშა	?	1	1
უმაღლესი ლიგა									
დავით	ჩალაძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 2:2	25	შეცვლაზე ითამაშა	8	3	1
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 2:2	90		8	2	1
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 2:2	11	შეცვლაზე ითამაშა	7	3	1
ლევან	კორღალიძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 2:2	0	სათადარიგო	6	2	1
ვალერი	გაგუა	პოლიციასი	შ	მეტალურგსი 0:2	29	შეცვლაზე ითამაშა	8	0	8
რუსეთი									
უმაღლესი ლიგა									
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი	შ	ჩერნომორეცი 0:3	0	ტრავმა	2	1	2
მიხეილ	აშვეთია	ალანია	შ	ზენიტი 1:0	56	შეცვალეს	10	2	14
ლევან	სილაგაძე	ალანია	შ	ზენიტი 1:0	90	გააფრთხილეს	7	0	14
მამუკა	წერეთელი	ალანია	შ	ზენიტი 1:0	90		6	0	14
მიხეილ	ფოცხვერია	ალანია	შ	ზენიტი 1:0	34	შეცვლაზე ითამაშა	7	0	14
დავით	გვარამაძე	კრილია	შ	სატურნი 3:2	0	სათადარიგო	3	-3	7
ზურაბ	ფოფხაძე	კრილია	შ	სატურნი 3:2	90	გააფრთხილეს	3	0	7
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში	შ	ანჟი 0:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	11
ალექსანდრე	გოგობერიშვილი	ანჟი	ს	როტორი 2:2	0	სათადარიგო	0	0	4
პირველი ლიგა									
ზვიად	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	ს	გაზოვიკი 1:2	45	გააფრთხილეს, შეცვალეს	7	0	19
გიზო	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	ს	გაზოვიკი 1:2	90	გააფრთხილეს	10	0	19
ბახვა	ამბიძე	ვოლგარი	ს	ჟემჩუჟინა 1:2	45	შეცვლაზე ითამაშა	3	0	18
გოჩა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	შ	ვოლგარი 2:1	90	1 გოლი	9	3	13
უკრაინა									
თასის ფინალი									
კახა	კალაძე	დინამო	ნ	კრივბასი 1:0	90	გააფრთხილეს	1	0	1
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	ნ	კრივბასი 1:0	19	შეცვლაზე ითამაშა	2	2	1
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	ნ	დინამო 0:1	0	სათადარიგო	2	1	2
უმაღლესი ლიგა									
ვიტალი	დარასელია	ცსკა	ს	ზირკა 0:0	12	შეცვლაზე ითამაშა	?	0	9
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	ს	ტავრია 1:1	90	1 გოლი	?	10	15
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	ს	ტავრია 1:1	90		?	2	15
კახა	დგებუაძე	ნივა	ს	ტავრია 1:1	33	შეცვლაზე ითამაშა	?	1	15
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	ს	ტავრია 1:1	90		?	0	15
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	ს	ტავრია 1:1	90		?	3	15
შოთა	ჩომახიძე	ნივა	ს	ტავრია 1:1	77	შეცვალეს	8	1	15
პოლონეთი									
უმაღლესი ლიგა									
მამია	ჯიქია	რუხი	ს	ოდრა 2:2	60	შეცვალეს	10	0	3
ისრაელი									
უმაღლესი ლიგა									
გიორგი	დარასელია	ჰ.ქფარ სავა	შ	ბეითარი 1:1	90		35	7	11
გიორგი	გახოკიძე	მ.ჰაიფა	ს	მ.ჰერცლია 4:2	90		30	2	2
მოლდოვა									
უმაღლესი ლიგა									
ლევან	გვაზავა	ზიმბრუ	შ	რომა 5:0	0	სათადარიგო	8	0	2
დავით	მუჯირი	შერიფი	ს	კონსტრუქტ. 2:2	90	1 გოლი	?	10	1
გიორგი	რევაზიშვილი	შერიფი	ს	კონსტრუქტ. 2:2	0	სათადარიგო	?	0	1
ვაჟა	თარხნიშვილი	შერიფი	ს	კონსტრუქტ. 2:2	90		?	1	1
თამაზ	პერტია	შერიფი	ს	კონსტრუქტ. 2:2	24	შეცვლაზე ითამაშა	?	0	1

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალაძე არ გაიყიდება და კიევში დარჩება

კახა კალაძე

4 ივნისს, ბაქოში, „ტოფიკ ბახრამოვზე“ აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ ქართველები შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ. აქამდეც ცნობილი იყო, რომ ეროვნულ ნაკრებს ჯამარაულის, ყველაშვილისა და ზაზა ჯანაშიას გარეშე მოუწევდა აზერბაიჯანს გამგზავრება. გუშინ კი შეიტყვეთ, რომ საამმატჩოდ ჩვენს გუნდს კიევის დინამოელები — კალაძე და დემეტრაძეც გამოაკლდნენ.

გუშინვე კიევის „დინამოს“ ოფიციალურმა საინტერნეტო გვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველები კიევში დარჩებიან და ეროვნულ ნაკრებს მხოლოდ ესტონეთთან მატჩისთვის შეუერთდებიან ტალინში. შესაძლოა ასეც მოიქცეს გიორგი დემეტრაძე, კალაძე კი ამ შეხვედრაშიც ვერ შეეშველება ძოძუაშვილ-ყიფიანის გუნდს. სანდო წყაროს ცნობით, 11 ივნისს, როდესაც საქართველო ესტონეთს გაეჯიბრება, კახა კვლავაც კიევში იქნება. მისი დაყოვნების მიზეზი იქნებ ლობანოვსკის გუნდის მიერ ორიოდე დღის წინ ოფიციალურად გაკეთებული განცხადებაც იყოს, რომლის თანახმადაც ქართველი მცველი არ იყიდება, წლეულს ისევ კლუბში დარჩება და „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში დაეხმარება. ეს მით უფრო მოულოდნელია, რომ კალაძეს ბევრი უკვე „მილანის“ წევრად თვლიდა. ჩვენში ქართველი მცველის იტალიურ გუნდში გადასვლას დღე-დღეზეც ელოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კიეველებმა სხვაგვარად განსაჯეს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თავად ფეხბურთელის პოზიცია, რადგან მასთან დაკავშირება ვერ შევძელით. ისე კი, არც ის არის გამორიცხული, რომ ლობანოვსკის ბანაკიდან გამოსული ეს ცნობა მორიგი სატრანსფერო ხერხი იყოს. ფეხბურთელით ტიტულიანი გუნდების დაინტერესებას ხომ ხშირად ამგვარად ცდილობენ კლუბები.

პაატა კვანტალიანი

ვიტ ჯორჯია ეძებს და ემზადება

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ოქროს ასოებით ჩაიწერება თბილისური „ვიტ ჯორჯიას“ ისტორიაში. ვიტელები ჩემპიონები არ გამხდარან, მაგრამ ის, რაც ამ ახალგაზრდულმა გუნდმა წლეულს მოიმოქმედა, მართლაც ბევრ რამეზე მეტყველებს. ხუმრობა ხომ არაა, ვეტერინარებმა თვით ქვეყნის ათგზის ჩემპიონი მოიპოვეს უკან და უეფას საგზური მოიპოვეს. ვიტელთა მთავარი საზრუნავიც ევროტურნირებზე ღირსეული თამაშია. ამიტომ კლუბი კვლავ განაგრძობს მზადებას. ვეტერინარები ერთი კვირის განმავლობაში მოემზადებიან, შემდეგ რამდენიმე დღე დაისვენებენ და ივნისის შუა რიცხვებიდან კვლავ განაგრძობენ ვარჯიშს. გამორიცხული არ არის, სერგო კოტრიკაძის შეგირდებმა უეფას თასის გათამაშების დაწყებამდე უცხოური შეკრებაც გაიარონ.

„ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელები შორს იყურებიან — გუნდის გაძლიერება, პერსპექტიულ, ნიჭიერ ფეხბურთელთა მოძიება დაუსახავთ მიზნად და საამისოდ ყველაფერს აკეთებენ. გუნდის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, 3, 6 და 9 ივნისს სამი საკონტროლო მატჩი გაიმართება. ვიტელებს წინასწარ შეუგულებიათ ფეხბურთელები პირველი და რეგიონალური ლიგის სხვადასხვა გუნდებიდან, აგრეთვე ბავშვთა საფეხბურთო სკოლებიდან და მათ გამოცდას აპირებენ. სწორედ ამ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ითამაშებს ზემოთ აღნიშნულ რიცხვებში. სერგო კოტრიკაძეს მეტოქეებად რეგიონალურლიგელი თბილისის „იბერია“ და „ჭაბუკიანი“ შეურჩევია. მესამე მატჩს კი მოწვეული ფეხბურთელები თსუ-სთან გამართავენ. აღსანიშნავია, რომ გასინჯვაზე მყოფი კანდიდატების ასაკი 17-დან 21 წლამდეა. მოკლედ, ვიტელები ტრადიციას არ ღალატობენ — კვლავ ნიჭიერ ახალგაზრდებს ეძებს და ალბათ ამ სამი მატჩის შემდეგ სასურველ მოთამაშეებსაც შეარჩევს. ვინც ეძებს, ის პოულობს.

პაატა კვანტალიანი

ქართველებს ქართველი უმსაჯებს

3 ივნისს სუმგაითში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები აზერბაიჯანისას შეხვდება. ქართველები ერთობ იმედიანად არიან განწყობილნი. ამ ოპტიმიზმს ზურგს ისიც უმაგრებს, რომ ახალგაზრდული ნაკრები ხურცილავას ხელმძღვანელობით ჯერაც არ დამარცხებულა და საეჭვოა, არცთუ ძლიერ მეზობელთან ფეხი დაუცდეს.

3 ივნისს მატჩი სუმგაითში საღამოს რვა საათზე დაიწყება. მასში ფეხბურთელთა გარდა კიდევ ერთი ქართველი მიიღებს მონაწილეობას. აზერბაიჯანელთა წინადადებით, ამ შეხვედრას ჩვენებური არბიტრი განსჯის. სფფ-მ ეს პატივი ფიფას მსაჯ მერაბ მალაღურაძეს არგუნა. მას ასისტენტობას ადგილობრივი შავოსნები გაუწევენ.

რაც შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრებების შეხვედრას, მას, სფფ-ს სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის ინფორმაციით, აზერბაიჯანელი მსაჯები მოემსახურებიან.

პაატა კვანტალიანი

რეი პარლოუ

შიღბლონი

არსენალელი რეი პარლოუ და ლივერპულელი ჯეიმი რედნაპი ევროპის მომავალ ჩემპიონატს ტრავმის გამო გამოტოვებენ. ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კევინ კიგანი ექიმთა დასკვნას გაეცნო და ფეხბურთელებს განუცხადა, რომ მათ საუკეთესო 22 მოთამაშეთა შორის მოხვედრის შანსი თითქმის არა აქვთ. „სამწუხაროა, ორივე ფეხბურთელი დაშავებულია და ევრო 2000-ზე ვერ იასპარეზებენ. სამომავლოდ მათი იმედი აუცილებლად მექნება, დღეს კი ვეღარაფერს გავხდებით. მჯერა, რომ რედნაპსაც და პარლოუსაც სექტემბრიდან ნაკრებში კვლავ მოვიწვევ და ისინი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დიდად დაგვეხმარებიან — თქვა კევინ კიგანმა.

რეი პარლოუს ინგლისის ნაკრების მაისურა ექვსჯერ მოურგია, მისი დებიუტი პოლონელებთან შეხვედრაში შედგა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი ექვსჯერვე შეცვლაზე შევიდა, ევრო 2000 მისთვის პირველი სერიოზული სანაკრებო გამოცდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

27 წლის ნახევარმცველი წინა შაბათს ბრაზილიელთა წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მე-60 წუთზე გამოჩნდა მინდორზე, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე, მან მუხლის მყესები დაიზიანა და თამაში ვერ დაასრულა. მართალია, შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ პარლოუ მძიმედ არ დაშავებულა, მაგრამ იგი ევროპის ჩემპიონატს მაინც გამოტოვებს.

— როგორც კი დავშავდი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს გაურთულებლად არ ჩაივლიდა. რთული ტრავმა არ არის, მაგრამ მოშუშებას დრო სჭირდება. ევროპის ჩემპიონატამდე კი რამდენიმე დღე დარჩა, ნადმვილად არ მოესწრება. გამოგიტყდებით, მეწყინა — გულდაწყვეტილი იყო „არსენალის“ ნახევარმცველი. ჯეიმი რედნაპიც უიღბლო ფეხბურთელია, ტრავმის გამო უკვე მესამე საერთაშორისო სანაკრებო ტურნირს გამოტოვებს. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მას ტრავმა ჰქონდა, მართალია, ევრო 96-ზე მაინც წაიყვანეს და შოტლანდიელებთან მატჩში შეცვლაზეც შევიდა, მაგრამ ტრავმა მალე გაუმიზეზდა...

ჯეიმი რედნაპი

1997 წელს რედნაპმა ნატკენი ფეხი სულაც მოიტეხა და კარგა ხანს იძულებით შეისვენა ტრავმის გამო მან 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვა... და ახლა, როცა ევრო 2000-ის დაწყებას თითქმის არაფერი აკლია, ფეხბურთელი კვლავ დაშავდა. ექიმების ცნობით, მან ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი იტკინა.

დანაღვლინებული რედნაპი ამბობს: „ახლახან ექიმმაც გამსინჯა და დასვენება მირჩია. ევროპის ჩემპიონატზე თამაშის იმედი გადამეწურა. სამწუხაროა, ალბათ, ბედი არ მწყალობს. მსურს, კევინ კიგანს მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ ნაკრებში მიმიწვია. რა მისი ბრალია, რომ არ გამიმართლა? მწვრთნელს ველაპარაკე, მომავალ პირველობაზე წარმატებები ვუსურვე. ამ რამდენიმე კვირას თავვადაკლული ინგლისელი ქომაგივით გავატარებ, შემდეგ კი ყველაფერი თავიდან დაიწყება, ვარჯიშსაც განვაახლებ და გაისად კვლავ „ლივერპულს“ დავეხმარები“.

დღეს ინგლისში ბევრს ბჭობენ იმაზე, თუ ვის დაასახელებს კევინ კიგანი პარლოუსა და რედნაპის შემცვლელად. თავკაცი კი აცხადებს: „გუნდში 28 ფეხბურთელია, ნაკრებში თამაშს ყველა იმსახურებს, მათგან კი 22 უნდა ავირჩიო. გამოგიტყდებით, ნამდვილად რთული მისიაა. ზოგისთვის უარის თქმა მომიწევს, მაგრამ მე მათ ავუხსნი, რომ ყველაფერი დროებითია, ერთხელაც იქნება, ნაკრებში ისინიც ითამაშებენ“.

მომავალ შაბათს ინგლისელები მალტას ამხანაგურად გაეჯიბრებიან. არ არის გამორიცხული, ბრიტანელთა კარი „იფსვიჩის“ მეკარე რიჩარდ რატმა დაიცვას, მის გარდა, შესაძლოა გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც გამოჩნდეს, რომლებიც პრინციპულ ტურნირებში ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდებიან.

კიგანი ამბობს: „ზოგიერთ ძირითად მოთამაშეს, ალბათ, დავასვენებ, და მალტასთან უცაბედ ტრავმებს მაქსიმალურად მოვერიდები. იქნებ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც ვთამაშო, რომლებიც ნაკრებში ვერ მკვიდრდებიან. ისინი ცოტას გაივარჯიშებენ და ევრო 2000-ს მომზადებულნი შეხვდებიან“.

ნიკა ფუბლაძე

ბატიგოლი, ბატიფული, ბატიგული

არგენტინელი ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა რომაელებს დაპირებული დიდი ხელფასის სანაცვლოდ გოლებს პირდება.

„ვერ გეტყვით, მსოფლიოში ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელი ვიქნები თუ არა, მაგრამ ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მე მოედანზე გასვლა და „რომას“ მეტოქეთა კარში გოლების გატანა მინდა“ — განუცხადა თავდამსხმელმა ჟურნალისტებს ბუენოს აირესის სასტუმრო „ეტოილ ოტელში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

არგენტინის ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტი გოლის ავტორმა ხელფასის საკითხზე საუბარი იუარა, არადა, იტალიურ გაზეთთა ცნობით, „რომა“ მას წელიწადში 5,8 მილიონ დოლარს სთავაზობს. „ბატიგოლმა“ მხოლოდ ეს თქვა:

„მიკვირს და მეამაყება, რომ ისინი ამხელა გასამჯელოს მინიშნავენ, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: „რომა“ ჩემგან გოლებს ყიდულობს და ვიმედოვნებ, რომ შეთანხმებას პირნათლად დავიცავ“.

ბატისტუტას შეძენა „რომას“ გარდა იტალიის დედაქალაქის მეორე გუნდს, ქვეყნის ჩემპიონ „ლაციოსა“ და გასულ კვირაში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომპოვებელ მილანის „ინტერსაც“ სურდა.

„მოკლე დროის განმავლობაში სწორედ „რომა“ მგონია ის გუნდი, რომელიც მაქსიმუმის გამოსამჟღავნებლად პირობებს შემიქმნის. უკვე ვესაუბრე კლუბის პრეზიდენტს, ფრანკო სენსის, რომელმაც მითხრა, მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გეგმის შესახებ და ზოგიერთ ნიუანსში გამარკვია. რომაელები ნიძლავს ჩამოდიან ჩემპიონები ჩვენ გავხდებითო. მეც მხოლოდ ეს მიზანი მამოძრავებს, რადგან „ფიორენტინაში“ გატარებულმა წლებმა ოცნება ვერ ამიხდინა“ — განაგრძო მოთამაშემ, რომელიც ფლორენციის გუნდს 9 წლის განმავლობაში ემსახურებოდა და სერია A-ს 269 შეხვედრაში 168 გოლი გაიტანა, რაც კლუბის რეკორდი გახლავთ.

ახლა ბატისტუტა ბუენოს აირესშია და ეროვნულ გუნდთან ერთად „რივერ პლეიტის“ სტადიონზე ბოლივიასთან სათამაშოდ ემზადება. ეს შეხვედრა 4 ივნისს გაიმართება და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი გახლავთ.

შემდეგ ფორვარდმა საქვეყნოდ ცნობილ რომაულ დერბიზე ილაპარაკა:

„ლაციოსთან“ თამაში დიდებული იქნება. ასეთ რამეს დედამიწის რამდენიმე ადგილზე თუ ნახავთ. რომაული დერბი ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსისა“ და „რივერ პლეიტის“ დაპირისპირებას ჰგავს“.

ცნობისთვის: ბატისტუტა ადრე „ბოკა ხუნიორსში“ თამაშობდა.

ბოლოს მან დასძინა, რომ ფლორენციაში გამოსათხოვარი მატჩისთვის ჩასვლას არ აპირებს.

„ეს ქალაქი ჩემს გულში დარჩება“ — ასე დასრულდა პრესკონფერეცია.

გაბრიელ ბატისტუტა

ემზადეთ შარლერუასათვის
იქ სიკვდილი დააბიჯებს

17 ივნისს შარლერუას სტადიონზე ევრო 2000-ის ალბათ ყველაზე ცხელი და გიჟმაჟი მატჩი გაიმართება — ერთმანეთს A ჯგუფის წარმომადგენლები, ძველი და ხმაურიანი მეტოქეები — გერმანია და ინგლისი შეხვდებიან. ცხადია, რომ მოედანზე ბრძოლა გაჩაღდება, მაგრამ ევრო 2000-ის უსაფრთხოების კომისია იმ შესაძლო ბრძოლასა და არეულობაზე ფიქრობს, ტრიბუნებზე რომ ატყდება. გერმანელი და ინგლისელი ფანები ეგებ არც შეაკვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ექსპერტთა აზრით, ნებისმიერი გაუკონტროლებელი მასობრივი გადაადგილებები ტრაგედიის მომტანი შეიძლება გახდეს.

შარლერუას სტადიონი ვერ პასუხობს თანამედროვე უსაფრთხოების ნორმებს. მისი იარუსები ლითონის მსუბუქი კონსტრუქციებითაა ნაგები, მოედანს კი რკინის მესერი აკრავს. პირველი რიგიდან ამ მესერამდე ერთი მეტრი თუ იქნება და ზემოდან დაწოლის შემთხვევაში, დიდი ჭყლეტა წარმოიქმნება. ინგლისელი ექსპერტები იხსენებენ 10 წლის წინანდელ „ჰილსბოროს“ ტრაგედიას, რომელიც რკინის მესერთან ჭყლეტვას მოჰყვა.

„ჰილსბოროს“ ტრაგედია ინგლისში სასტადიონო უსაფრთხოების პოლიტიკის მიზეზი შეიქმნა. იქ აღარ არის რკინის შემაკავებლები, აიკრძალა ფეხზე სადგომები, შეიცვალა მაყურებელთა სოციალური შემადგენლობა. მაგრამ ის, რასაც მიაღწიეს ინგლისის პატარა სტადიონებზე, ევროპაში ჯერ არ განხორციელებულა. ორი წლის წინათაც, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისელი ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამდნენ სტადიონების უსაფრთხოების ხარისხის გამო.

უსაფრთხოების კომისიამ შარლერუას სტადიონის ნაკლოვანებები აღნუსხა, მაგრამ უეფამ სავსებით შესაძლებლად ჩათვალა შეხვედრის ჩატარება. შარლერუელებს ისღა დარჩენიათ, რომ თავადვე იზრუნონ უსაფრთხოებაზე: 17 ივნისს სტადიონზე 2 500 ბელგიელი პოლიციელი იქნება. აქვე იქნება მაშველთა საგანგებო რაზმი, რომელსაც 20 წუთში შეეძლება დაშავებული ხალხის გამოხსნა ჭყლეტიდან (ეს ოცი წუთი ძალიან დიდ დროდ ჩათვალა კომისიამ). მატჩის დღეს კი დაიკეტება ქალაქის 52 რესტორანი და 32 ბარი. შარლერუაში ელიან ათ-ათი ათასი გერმანელის და ინგლისელის ჩასვლას. ამათგან ნახევარი უბილეთო იქნება.

გაზეთები კი წერენ, რომ სტადიონის ტრიბუნებზე სიკვდილი დააბიჯებს. ღმერთმა ყველა დაიფაროს.

თერიმი ტრაპატონის ნაკვალევზე

უეფას თასის მფლობელი „გალათასარაის“ მთავარმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან იგი „ფიორენტინას“ უთავკაცებს. „ფლორენციული გუნდის ხელმძღვანელებს შევხვდი, მათთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება გადაეწყვიტე, თუმცა არ არის გამორიცხული, შეთანხმება ამის შემდეგაც გავახანგრძლივო, მჯერა, ყველაფერი წარმატებით ჩაივლის“ — თქვა თურქმა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი ღვაწლმოსილმა ჯოვანი ტრაპატონიმ დატოვა. მას შემდეგ გუნდის პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი ახალ თავკაცს ეძებდა. საბოლოოდ მან თერიმს მიმართა.

ფლორენციული გუნდი მომავალ სეზონში უეფას თასზე იასპარეზებს. თურქმა სპეციალისტმა ეს ტურნირი წლეულს „გალათასარაის“ მოაგებინა და ახლა შეეცდება, წარმატებას იტალიელებთან ერთად მიაღწიოს.

თერიმს „გალათასარაში“ შთამბეჭდავი შედეგი ჰქონდა — თურქეთის ჩემპიონის ტიტული გუნდს ზედიზედ ოთხჯერ მოაგებინა, ეს ყველაფერი უეფას თასით დაგვირგვინა და წლეულს არც ქვეყნის თასი დაანება ვინმეს. ფეხბურთის მაღალჩინოსნები და პოლიტიკური მოღვაწეები 46 წლის სპეციალისტს სამშობლოში დაბრუნებას სთხოვდნენ, მაგრამ მან იტალია ამჯობინა და განაცხადა, რომ თურქულ სპორტს აპენინებიდან შეძლებისდაგვარად დეხმარება.

— მჯერა, რომ ჩემი იტალიაში გადასვლა თურქულ ფეხბურთსა და „გალათასარაის“ სასიკეთოდ წაადგება — თქვა თერიმმა და თავის თავს იტალიაში თურქული ფეხბურთის ელჩი უწოდა.

თურქთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი ადრე გერმანიაში მოღვაწეობდა და ერთ-ერთ მეორედივიზიონურ გუნდს წვრთნიდა. ახლა კი თანამემამულეს თერიმმაც მიჰბაძა.

სტამბოლური მასმედიის აზრით, შესაძლოა თერიმმა „ფიორენტინაში“ რამდენიმე თურქი ფეხბურთელი ჩაიყვანოს. ფლორენციული კლუბი სულ ახლახან გაბრიელ ბატისტუტამ დატოვა, არგენტინელი „რომაში“ გადავიდა, მის შემცვლელად კი ბევრი ჰაქნ შუქურს მიიჩნევს, რომელსაც „გალათასარაისთან“ კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუხანგრძლივებია და არ არის გამორიცხული, კლუბი დატოვოს. თერიმს ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

თურქი სპეციალისტი ინგლისურად საუბრობს. აქა-იქ კი უკვე ალაპარაკდნენ, რომ მან იტალიური ენის შესწავლა დაიწყო.

ქირავდება

ერთადიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე



☎ 93 15 72

REUTERS 8-ანგლესტერიდან



ფაბიენ ბარტეზი

ბარტეზი მანჩესტერელია

ერთი დღით გაჭიანურებული ტრანსფერი საბოლოოდ შედგა. მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებისა და „მონაკოს“ მეკარე ფაბიენ ბარტეზი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. ინგლისურმა გუნდმა გოლკიპერის სანაცვლოდ 7,8 მილიონი გირვანქა (11,7 მილიონი დოლარი) გადიხადა.

გუშინ ინგლისურმა სააგენტოებმა სხვადასხვა ინფორმაცია გაავრცელეს, ერთნი ირწმუნებოდნენ, რომ გუნდებს ერთმანეთში საფინანსო საკითხები უნდა მოეგვარებინათ, მეორენი კი ამტკიცებდნენ — ბარტეზმა სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაიტაროს და „იუნაიტედში“ მხოლოდ ამის შემდეგ ჩაირიცხებაო.

„მანჩესტერის“ აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა პიტერ კენიონმა თავიდანვე განაცხადა — „მონაკოსთან“ მოლაპარაკებებს ვანარმოებთ, შეთანხმებას თითქმის მივაღწიეთ და მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანია დასაზუსტებელიო.

ყველაფერი მოგვარდა. ფაბიენ ბარტეზი სულ მალე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურას მოირგებს.

„ბედნიერი ვარ „მანჩესტერში“ რომ ჩავირიცხე, კარგი გრძნობაა, ასეთ ძლიერ გუნდში რომ თამაშობ. ვიმედოვნებ, ღირსეულად ვიასპარეზებ და დიდ წარმატებებს მივაღწევ“ — განაცხადა ფრანგმა

სერ ალექს ფერგიუსონი: „მიხარია, ფაბიენი რომ შემოგვიერთდა, ის ძლიერი მეკარეა და ჩვენს გუნდს დიდად გამოადგება“.

ნლეუულს „იუნაიტედმა“ მთელი სეზონი ძლიერად ჩაატარა, თუმც ცხადი იყო, რომ გუნდს მეკარის პოზიციაზე მცირედი სირთულეები ჰქონდა. სეზონის დასაწყისში კლუბში ორი ახალი გოლკიპერი — მარკ ბოსნიჩი და მასიმო ტაიბი გამოჩნდა. საერთო მოსაზრებით, მოლოდინი ვერც ერთმა გაამართლა და ამბობდნენ, სერ ალექს ფერგიუსონი ახალ მეკარეს ეძებსო.

28 წლის ბარტეზი ერთობ გამოცდილი გოლკიპერია. თავის დროზე მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებას იცავდა, ამ გუნდმა კი 1993 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო. თავხოტორა მეკარე 1998 წელს საფრანგეთის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ქვეყნის პირველ გუნდში მან დღემდე 32 შეხვედრა ჩაატარა.

უეფას ჩემპიონთა ლიგის 2000-2001 სეზონის ფორმატი

24 მაისს პარიზის გარეუბან სენ დენიში „სტადიონ დე ფრანსზე“ უპირველესი ევროტურნირის 45-ე გათამაშება დასრულდა და მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ჩემპიონთა ლიგის ფორმატი უცვლელი დარჩა, მხოლოდ მონაწილე გუნდებს შორის გამოჩნდნენ ახლები.

სულ შეჯიბრში 47 ევროპული ქვეყნის 71 გუნდი ჩაებმება. ისინი პირობითად ხუთ ჯგუფად იყოფიან. პირველში მხოლოდ ერთი გუნდია — თასის მფლობელი მადრიდის „რეალი“. მეორე ჯგუფში ის 15 გუნდია, რომლებიც „რეალთან“ ერთად საკვალიფიკაციო ეტაპების გვერდის ავლით პირდაპირ ჯგუფებში დანაწილდებიან. მათგან ცხრა უეფასეული კლასიფიკაციით ცხრა საუკეთესო ქვეყნის ჩემპიონები არიან. ექვსი კი — საუკეთესო ექვსეულის ქვეყნების ვიცე-ჩემპიონები. კიდევ სამ ჯგუფად დაყოფილ დანარჩენ 55 კლუბს კი ძირითად ტურნირში მოსახვედრად დამატებითი ოფლის ღვრა მოუწევს.

ყველაზე გრძელი გზა კლასიფიკაციაში 30-ე ადგილს ქვემოთ მყოფი ქვეყნების ჩემპიონებს ექნებათ გასავლელი (ცხადია, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს თუ გასცდნენ). ისინი თვრამეტნი არიან და პლეი ოფის სისტემით ცხრა გამარჯვებულს გამოავლენენ, რომელთაც მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიდევ 19 გუნდი დაემატება. ამ ცხრამეტიდან თხუთმეტი თავისი ქვეყნების ჩემპიონები არიან (მათ შორის ქუთაისის „ტორპედო“) და კლასიფიკაციაში 16-დან 29-ე ადგილებს ინაწილებენ. მათთან ერთად არიან ნორვეგიის, ავსტრიის, რუსეთის, ხორვატიის და თურქეთის ვიცე-ჩემპიონები. ეს ცხრამეტი და პირველი ეტაპიდან გადმოსული ცხრა გუნდი 14 წყვილს შექმნის და გამარჯვებულები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებიან.

აქ მათ სხვა 18 გუნდი დახვდებათ და 16 წყვილს შექმნიან. ამ თვრამეტ გუნდში კი იტალიის და გერმანიის ჩემპიონატებში მე-3 და მე-4 ადგილებზე გასული გუნდები, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ინგლისის პირველობების ბრინჯაოს პრიზიორები, პორტუგალიის, საბერძნეთის და ჩეხეთის ვიცე-ჩემპიონები და კლასიფიკაციაში მე-10 — მე-15 ადგილზე მყოფი ქვეყნების ჩემპიონები არიან. აქ ესპანური გუნდები არ გვიხსენებია. საქმის არის, რომ მესამეადგილოსან „ვალენსიასთან“ ერთად მეოთხეზე გასული „სარაგოსა“ უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ რაკი ჩემპიონთა თასი ესპანურმა გუნდმა, თან ოთხეულს მიღმა დარჩენილმა „რეალმა“ მოიპოვა, სარაგოსელებსაც მადრიდელთათვის მოუხდათ ადგილის დათმობა. ამ ეტაპზე გამარჯვებულები კი ჯგუფურ ტურნირზე პირდაპირ მოხვედრილებს შეუერთდებიან და ნაღდი ბრძოლაც მერე გაჩაღდება.

გათამაშების ფორმატი არც ამის მერე იცვლება: პირველი ეტაპი, რვა ჯგუფით და 16 გამარჯვებულით; მეორე ეტაპი, ოთხი ჯგუფით და რვა მეოთხედფინალისტით; მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი, რომელსაც გაისად მაისში მილანის „სან სირო“ უმასპინძლებს.

და ქუთაისის „ტორპედო“? ქუთათურები, როგორც ვთქვით, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმებიან გათამაშებაში. ვინ შეიძლება გახდეს მათი მტოქე? არჩევანი დიდია. ყველაზე ცუდი ვარიანტი ალბათ „რეინჯერსია“. ყველაზე სასურველი კი... თუმცა, სუსტი მეტოქეები რომ არ არსებობენ (ჩვენთვის), წინა ზაფხულში კიშინიოვის „ზიმბრუმაც“ დაამტკიცა.

გიორგი დარჯანია

			ჯგუფური ეტაპი	III საკვალიფიკაციო ეტაპი	II საკვალიფიკაციო ეტაპი	I საკვალიფიკაციო ეტაპი
1	იტალია	4	ლაციო, იუვენტუსი	მილანი, ინტერი		
2	გერმანია	4	ბაიერნი, ბაიერი	ჰამბურგი, მიუნხენი		
3	ესპანეთი	4	რეალი, დეპორტივო, ბარსელონა	ვალენსია		
4	საფრანგეთი	3	მონაკო, პსჟ	ლიონი		
5	ჰოლანდია	3	პსვ, ჰერენვენი	ფეიენოორდი		
6	ინგლისი	3	მანჩესტერი, არსენალი	ლიდსი		
7	პორტუგალია	2	სპორტინგი	პორტუ		
8	საბერძნეთი	2	ოლიმპიაკოსი	პანათინაიკოსი		
9	ჩეხეთი	2	სპარტა	სლავია		
10	ნორვეგია	2		რუსენბორგი	მიოლდე	
11	ავსტრია	2		ტიროლი	შტურმი	
12	რუსეთი	2		სპარტაკი	ლოკომოტივი (მოს.)	
13	ხორვატია	2		დინამო (ზაგრები)	ჰაიდუკი	
14	თურქეთი	2		გალათასარაი	ბეშიქთაში	
15	დანია	2		ჰერფიოლგე	ბრონდბიუ	
16	შვეიცარია	1			სენტ გალენი	
17	უკრაინა	1			დინამო (კიევი)	
18	პოლონეთი	1			პოლონია	
19	უნგრეთი	1			დუნაფერი	
20	ბელგია	1			ანდერლეხტი	
21	სლოვაკეთი	1			ინტერი	
22	რუმინეთი	1			დინამო (ბუქ.)	
23	შვედეთი	1			ჰელსინგბორგი	
24	საქართველო	1			ტორპედო	
25	კვიპროსი	1			ანართოსისი	
26	შოტლანდია	1			რეინჯერსი	
27	ისრაელი	1			ჰაპოელი (თელ ავივი)	
28	სლოვენია	1			მარიბორი	
29	ბელარუსი	1			ბატე	
30	ისლანდია	1				რეიკიავიკი
31	ფინეთი	1				ჰაკა
32	ლატვია	1				სკონტო
33	ბულგარეთი	1				ლევსკი
34	მაკედონია	1				სლოგა
35	ლიტვა	1				ჟალგირისი
36	იუგოსლავია	1				ცრვენა ზვეზდა
37	მოლდოვა	1				?
38	ესტონეთი	1				ლევადია
39	სომხეთი	1				არარატი
40	ჩრ. ირლანდია	1				ლინფილდი
41	მალტა	1				ბირკირკარა
42	უელსი	1				ლანსანტფრეიდი
43	ირლანდია	1				შელბურნი
44	ფარერები	1				კლაქსვიკი
45	ალბანეთი	1				ტირანა
46	ლუქსემბურგი	1				გრევენმახერი
47	აზერბაიჯანი	1				შამქირი

ფეხბურთის რეპერტუარი

ინგლისური „ბლეკბერნის“ ყოფილი მწვრთნელი ბრაიან კიდი „ლიდს იუნაიტედის“ ახალგაზრდული გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნა. კიდმა „ბლეკბერნი“ შარშან დატოვა. ინგლისური პრესის ცნობით, იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ რატომღაც ვერ შეთანხმდნენ. ახლა კიდი „ლიდსშია“, დევიდ ოლირის გუნდში იგი მოზარდთაობას აღზრდის.

ჰოლანდიელი ფორვარდი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი მომავალ სეზონს ალბათ „ჩელსიში“ დაიწყებს. ლონდონურმა კლუბმა მადრიდელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 20,8 მილიონი დოლარი შესთავაზა. „ატლეტიკოს“ ვიცე-პრეზიდენტი მიგელ ანხელ ხილი აცხადებს: „ჰასელბაინკი „ჩელსიში“ წავა, მხოლოდ კონტრაქტის ოფიციალური გაფორმება და ხელმოწერა გვჭირდება“. ჰოლანდიელი ფორვარდი, რომელმაც პრიმერადივიზიონის წლევანდელ სეზონში 24 გოლი გაიტანა, ახალ კლუბთან პირობებს, ალბათ მალე შეათანხმებს. მას პრემიერლიგაში ადრეც უთამაშია. „ატლეტიკოში“ ჩარიცხვამდე იგი „ლიდსის“ ღირსებას იცავდა.

ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა მადრიდის „რეალთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. იგი კლუბში 2005 წლამდე დარჩება. ფეხბურთელი წელიწადში 2,8 მილიონ დოლარს მიიღებს. „ხანდახან მადრიდიდან წასვლაზეც ვფიქრობდი, მაგრამ ჩემმა მეუღლემ მთხოვა, გუნდში დავრჩენილიყავი. „რეალში“ თამაში მსიამოვნებს. გუნდს ერთგული გულშემატკივარი ჰყავს, რაც ბევრს ნიშნავს“, — განაცხადა 27 წლის კარლოსმა, რომელიც სამეფო კლუბში 1996 წელს მილანის „ინტერიდან“ გადავიდა.

ამერიკელი ნახევარმცველი ლორენი „მალიორკადან“ „არსენალში“ გადავიდა. ინგლისურმა და ესპანურმა კლუბებმა სატრანსფერო თანხა არ გაამხილეს. 23 წლის ფეხბურთელი წლეულს აფრიკის თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მისმა ნაკრებმა კი, როგორც გახსოვთ, ჩემპიონობა მოიპოვა. „ლორენი დაცვაში და ნახევარდაცვაში თანაბრად თამაშობს, იგი გუნდისთვის საჭიროა“ — განაცხადა „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა. თავად ლორენმა კი აღნიშნა, ლონდონურ კლუბში თამაში ნამდვილად საამაყოა, იქ უმაღლესი დონის ოსტატები ასპარეზობენო.

ავსტრიული „რაპიდის“ მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ ვებერი წარუმატებლობის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. „რაპიდმა“ ჩემპიონატი მესამე ადგილზე დასრულა და ჩემპიონ „ტიროლს“ 11 ქულით ჩამორჩა. ვებერს ერნსტ დოკუპილი შეცვლის, რომელიც გუნდში ადრეც მუშაობდა, მაგრამ ერთ-ერთ შეხვედრაში გამანადგურებელი მარცხის გამო 1998 წელს გაათავისუფლეს. ბოლო ორი წელი იგი გუნდის სპორტული დირექტორი იყო.

ბრაზილიური „ვასკუს“ მწვრთნელი აბელი მომავალი სეზონიდან მარსელის „ოლიმპიკს“ ჩაუდგება სათავეში. აბელს საფრანგეთში ადრე უთამაშია, 1979-დან 1981 წლამდე იგი პსჟ-ს ღირსებას იცავდა. ამჟამად სპეციალისტი სამხრეთ ამერიკაშია, მაგრამ მარსელელები იმედოვნებენ, რომ კონტრაქტს მალე გააფორმებენ. „ოლიმპიკს“ „ფიორენტინადან“ დათხოვილი ჯოვანი ტრაპატონის გადაბირება სურდა, მაგრამ რატომღაც არ გამოუვიდა. ფრანგული პრესის ცნობით, მხარეები ფინანსებზე ვერ შეთანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა „ოლიმპიკმა“ წლევანდელი სეზონი უხეიროდ ჩაატარა და უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა.

რა მინდა ბარსაში?

„ბარსელონა“ უპრეზიდენტოდ და უმწვრთნელოდაა, ეს იცით. ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართებოდეს (ივნისშია დანიშნული), კატალონიელები მთავარი მწვრთნელის ძიებაში არიან, შესაძლო კანდიდატებსაც არჩევენ. ერთ-ერთი მათგანი იოჰან კრუიფია, რომელმაც 1992 წელს „ბარსელონას“ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად ევროპული საკლუბო მწვერვალი დაუპყრობინა, ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

აი, რა უპასუხა „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ კატალონიის სიამაყეს: „რა მინდა „ბარსაში“, იქ არასოდეს ვიმუშავებ, ხოლო თუ ლუის ბასატას (იგი ხუან გასპართან ერთად ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება „ბარსელონას“ პრეზიდენტობაზე — გ.ვ.) ჩემთან კონსულტაცია სურს, დავეხმარები. იგი კეთილსინდისიერი ადამიანია. კრუიფის ციტატებით გუშინდელი ესპანური გაზეთების პირველი გვერდები აჭრელდა.

რატომ არ უნდა კრუიფს „ბარსელონაში“ დაბრუნება, იქ, სადაც ჯერ ჩინებული ფეხბურთელი იყო, მერე ასეთივე მწვრთნელი? ხოსეპ ლუის ნუნიესმა, „ბარსას“ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, ოთხი წლის წინ მას კარისკენ მიუთითა, თავისუფალი ხარო. კრუიფის პასუხმაც არ დააყოვნა, პრესის საშუალებით კრიტიკას და „ლოცვა-კურთხევას“ არ აკლებდა ნუნიესს და, მართალია, იგი დღეს იქ აღარაა, მაგრამ კრუიფს, როგორც ჩანს, პრინციპულად არ სურს ამ ნაბიჯის გადადგმა.

გიორგი ვაშაკიძე

ამხანაგური მატჩები

ირლანდია 1:2 შოტლანდია

1:0 კენედი (2), 1:1 პათჩისონი (16), 1:2 ფერგიუსონი (29)

ირლანდია: ა. კელი, კარი, კილბეინი, ბეგბი, ბრინი (დანი 77), მაკფაილი (ფილანი 61), მაკატირი, ფინანი, ნ. ქუინი (ფოლი 77), რობი კინი, კენედი (დაფი 61)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

შოტლანდია: სალივანი, დეილი, ნეისმიტი (დარანტი 89), ლამბერტი (ჯონსტონი 75), მ. ელიოტი, ბ. ფერგიუსონი (კამერონი 84), დოდსი (გალაჰერი 46), ონილი, მაკკანი (პრესლი 90), პათჩისონი, ბარლი

მწვრთნელი: კრეიგ ბრაუნი

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

30 200 მაყურებელი

მალიორკა (ესპ.) 0:4 გერმანია

0:1 იანკერი (25), 0:2 ვოში (57), 0:3, 0:4 პაული რინკი (86, 90)

მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, ოლაიზოლა (ბენჟამინი 67), ნადალი (რომერიტო 60), სივიერო (სანსი 64), ნოვო, სერისუელა, ჩიჩი სოლერი, მიგელ სოლერი, კარლოსი (გუისა 56), იბაგასა

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

გერმანია: კანი (ლემანი 46), ლინკე, რამელო (რემერი 46), ნოვოტნი, ბაბელი (დაისლერი 46), ჰამანი (ბალაკი 46), ციგე, ჰესლერი (ვოში 46), ბოდე, კირსტენი (პაულო რინკი 74), იანკერი (ბირჰოფი 62)

მწვრთნელი: ერიხ რიბეკი

გაფრთხილება: სერისუელა, სანსი, ბენჟამინი, ლინკე, ჰამანი

მსაჯი: კაროლინა დომენეხი (ესპანეთი)

14 000 მაყურებელი

ჰოლანდია

პლეი ოფი V ტური

B ჯგუფი

კამბური — ექსელსიორი 2:3; როოსენდალი — ცვოლე 0:2

როოსენდალი	5	2	2	1	6:5	8
ცვოლე	5	2	1	2	9:7	7
ექსელსიორი	5	2	1	2	9:10	7
კამბური	5	1	2	2	6:8	5

ესტონეთი

თასის ფინალი

ლევადია 2:0 ტულევიკი

1:0 ოლებეტსი (65), 2:0 ლეეტმა (76)

Copa Toyota Libertadores '2000

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

კორინთიანსი (ბრაზილია) 2:1 ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია) (1:1)

1:0 ედილსონი (8), 2:0 რიკარდინიო (20), 2:1 გილერმე (65პ)

კორინთიანსი: მაურისიო, დანიელი (ინდიო 78), ფაბიო ლუსიანო, ადილსონი, კლებერი, ვამბეტა, ედუ, მარსელინიო კარიოკა, რიკარდინიო (ფილმარი 83), ედილსონი, ლუიზაო (დინეი 89)

მწვრთნელი: ოსვალდო დე ოლივეირა

ატლეტიკო მინეირო: ველოსო, ბრუნო (კაიკო 78), ფილბერტო, კლაუდიო კაკაპა, ვალდირ პაულისტა (ირენიო 57), რონილდო, კლეისონი, ლინკოლნი, რამონი, მარკუში, გილერმე

მწვრთნელი: მარსიო არაუიო

გაფრთხილება: ლუიზაო, დანიელი, ვალდირ პაულისტა, ადილსონი, ფილბერტო, მაურისიო, რონილდო, მარსელინიო კარიოკა, ვამბეტა

მსაჯი: კარლოს ეუჯენიო სიმონი (ბრაზილია)

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 3:0 რივერ პლეიტი (არგენტინა) (1:2)

1:0 დელგადო (59), 2:0 რიკელმე (79პ), 3:0 პალერმო (94)

ბოკა ხუნიორსი: კორდობა, იბარა, ბერმუდესი, სამუელი, არუაბარენა, მარკანტი, ტრავერსო, გუსტავო ბაროს შელოტო (ბატალია 74), რიკელმე, დელგადო (ბურდისო 93), მორენო (პალერმო 77)

მწვრთნელი: კარლოს ბიანკი

რივერ პლეიტი: ბონანო, რამოსი (ფრანკო 40), ტროტა, იეპესი, პლასენტე (კარდეტი 86), ლომბარდი, ბერიზო, საპატა, აიმარი (პერეირა 78), ანხელი, სავიოლა

მწვრთნელი: ამერიკო გალეგო

გაფრთხილება: ბერიზო, ბერმუდესი, მორენო, ბაროს შელოტო, იეპესი, ბონანო, ანხელი

გაძევება: ლომბარდი (86)

მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)

პალმეირასი (ბრაზილია) 3:2 ატლასი (მექსიკა) (2:0)

1:0 როჟერიო (17), 1:1 სეპედა (65), 2:1 მარსელო რამოსი (66), 2:2 კასტილიო (69), 3:2 ტადეი (85)

პალმეირასი: მარკოსი, ნენემი, არჯელი, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, ფერნანდო, გალეანო, როჟერიო (ტიაგო 66), ალეში, ეულერი (ტადეი 77), პენა (მარსელო რამოსი 60)

მწვრთნელი: ლუის ფელიპე სკოლარი

ატლასი: კაბუტო, მენდეზი, კოკა, სალასარი (კასერესი 46), ბრისენო, ტორესი (ანდრადე 67), სეპედა, უ. კასტილიო, როდრიგესი, სანტილიანა (და სილვა 46), ოსორნო

მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, კასტილიო, ტორესი, კოკა, ეულერი, როდრიგესი, ფერნანდო

გაძევება: ანდრადე (75), ტიაგო (75)

მსაჯი: გუსტავო მენდეზი (ურუგვაი)

ბოლივარი (ბოლივია) 1:2 ამერიკა (მექსიკა) (0:2)

0:1 სალგადო (5), 0:2 კალდერონი (47), 1:2 გარსია (90)

ბოლივარი: მალტალიატი, პიზარო, ფერეირა, ლოსანო (მერკადო 56), სორია, გატი რიბეირო, გარსია, ბოტერო (გოტარდი 26), ბალდივიესო, პენა (უ. სანჩესი 62), ი. კასტილიო

მწვრთნელი: ლუის ოროსკო

ამერიკა: მარტინესი, სალგადო, დავინო, ლარა, კალდერონი, ბლანკო (ერმოსილიო 65), პარდო, მ. სანჩესი, სილვა, ლუნა, ესტანი (ბერტი 80)

მწვრთნელი: ალფრედო ტენა

გაფრთხილება: სილვა, პარდო, ბლანკო, ბალდივიესო, მარტინესი

მსაჯი: გვიდო არისი (ჩილე)

„ბოკა ხუნიორსმა“ ჯავრი იყარა. სახელოვანმა გუნდმა არგენტინის საშემოდგომო ჩემპიონობა არანაკლებ სახელოვან „რივერ პლეიტის“ დაუთმო, მერე კი ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩიც 1:2 წააგო. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ეს სეზონი „რივერისა“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა, „ბოკამ“ მითი საძულველი მეტოქის უძლეველობის შესახებ დაამსხვრია და, როგორც ვთქვით, ჯავრი იყარა.

„რივერ პლეიტმა“ საბედისწერო შეცდომა ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე დაუშვა — მწვრთნელმა ექვსი მცველით განიზრახა თამაში. ყრუ დაცვაში გამაგრებამ შედეგი ვერ მოიტანა, რადგან „ბოკა ხუნიორსი“ ის გუნდი არ არის, შეტევის საშუალებას თუ მისცემ, გოლების გატანა გაუჭირდეს (გაიხსენეთ „ბარსელონა“ — „ჩელსის“ შემთხვევაც). და ერთიც, „ბოკას“ რიგებში შეცვლაზე მარტინ პალერმო გავიდა. ეს მატჩის დასრულემადე 13 წუთით ადრე მოხდა. ლამის დაანგრიეს ტრიბუნები ისე გაიხარეს გულშემატკივრებმა. ასეც უნდა ყოფილიყო, ბუენოსაირესელებს მონატრებოდათ თავიანთი კერპი, რომელიც მუხლის მძიმე ტრავმამ ექვსი თვე გააწამა.

ამ დროისათვის ანგარიში უკვე გახსნილი იყო. ხუან რამონ რიკელმეს კომბინაცია მარსელო დელგადომ ზუსტი დარტყმით დასრულა. გაშვებულმა გოლმა რივერელები აღელვა და შეცდომებს უხშირეს, შიგადაშიგ არც უხეშობას მორიდებიან. მერე რობერტო ტროტამ საკუთარ საჯარიმოში სებასტიან ბატალია წააქცია და პირველი გოლის თანაავტორმა რიკელმემ ამჯერად თავად შეაგდო. ბოლო წუთზე კი მესამე გოლი მარტინ პალერმომ გაიტანა. „ბოკა ხუნიორსის“ გულშემატკივრები ამ გამარჯვებაზე კარგა ხანს ილაპარაკებენ.

ნახევარფინალში არგენტინელთა მეტოქე მექსიკური „ამერიკა“ გახდა. მექსიკელებს პირველი მატჩი „ბოლივართან“ მინიმალური ანგარიშით მოეგოთ და საპასუხოშიც იმარჯვეს. ბოლივიელებს ვერც ლა პასის (სადაც თამაში გაიმართა) გაიშვიათებულმა ჰაერმა უშველა. შეგახსენებთ, ქვეყნის დედაქალაქი ზღვის დონიდან 3 600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სტუმრებმა საქმე 47-ე წუთისთვის მოითავეს, როცა ხოსე ლუის სალგადოს და მისი სეხნია ხოსე ლუის კალდერონის გოლებით 2:0 იგებდნენ. ბოლივიელებმა მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა, რომელიც უკვე აღარაფერს წყვეტდა. ახლა „ამერიკა“ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას. მართალია, მექსიკელებს ნახევარფინალური მატჩის გასამართად მთის მწვერვალზე ასვლა არ მოუხდებათ, მაგრამ „ბოკა ხუნიორსიც“ არ გახლავთ „ბოლივარი“.

„ამერიკის“ მსგავსად ორივე მეოთხედფინალური მატჩი მოიგეს „პალმეირასმა“ და „კორინთიანსმა“. მეორე ნახევარფინალშიც ისინი შეხვდებიან ერთმანეთს.

ბრაზილიის და მსოფლიოს ჩემპიონმა „კორინთიანსმა“ ბრაზილიურივე „ატლეტიკო მინეირო“ დაამარცხა. ეს მოსალოდნელიც იყო. აი, ლიბერტადორესის თასის ამჟამინდელ მფლობელ „პალმეირასს“ კი მექსიკური „ატლასის“ ძლევა ორი მატჩის ჯამში არა, მაგრამ ამ შეხვედრაში ცოტა არ იყოს, გაუჭირდა.

სანპაულუელებს პირველი მატჩი 2:0 მოეგოთ და საპასუხოშიც მე-17 წუთზე დაწინაურდნენ. როხერიომ ჟუნიორისგან პასი მიიღო და საკმაოდ შორი მანძილიდან ბურთი ცხრიანში ჩაჭედა. გამარჯვებულის ვინაობა გარკვეული იყო, მითუმეტეს, მეორე ტაიმიც დაიწყო და სტუმართა იერიშები უგოლოდ მთავრებოდა, მაგრამ ატლასელები კერკეტი კაკლები გამოდგნენ — 65-ე წუთზე სეპეტამ ანგარიში გაათანაბრა.

„პალმეირასმა“ თამაში ცენტრიდან განაახლა და პირველივე იერიში მეორე გოლით დაასრულა. ახლა კი გატყდებიანო, ალბათ იფიქრეს მასპინძლებმა და... სტუმრებს მეორედ გაათანაბრებინეს.

საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. „პალმეირასმა“ მატჩის მიწურულს მესამე გაიტანა და დაღონებული „ატლასი“ შინ გაისტუმრა.

გიორგი დარჯანია

ეროვნული ფიფა

აქ უნდა იყოს ფოტოს წარწერა

— დებილო, დებილო, დებილო, დებილო — გადაუჩურჩულა საკუთარ თავს ერთმა ბიჭმა და გამწარებულმა ტაში შემოჰკრა. ხელის ამ გატყაპუნების გარდა გაისმა ფეხის ბრახუნი, მოკლე სტვენა, შეძახილი „ფუ, შენი“, მეორე შეძახილი „აუუუ“ და „კოკა კოლას“ ქილის „ცცცცც“. წითელი გაზირებული სითხე იატაკზე დაიღვარა, რადგან მის პატრონს მთელი ყურადღება SONY-ს ფიმის დიდეკრანიანი ტელევიზორისკენ გადაეტანა.

— დებილო, დებილო, დებილო, დებილო — აღმოხდა იმავე ბიჭს 43 წუთის შემდეგ. ამჯერად ტაში აღარ შემოუკრავს. აღარც „კოკა კოლას“ დაუძახია „ცცცც“, დანარჩენი კი განმეორდა: ბრახ, „ფუ შენი“, „უუუ“. და ამ ყველაფერს წინა სავარძლის ზურგზე ერთი მაგარი ზიზლიც დაემატა, რაზეც იქ მჯდომის რეპლიკა „პუტა ვირიშვილო“ გაისმა.

— დებილო, დებილო, დებილო, დებილო — ამჯერად იმ ბიჭს ხანგრძლივი ლოდინი აღარ დასჭირვებია. წინა, და ამ შემთხვევას შორის მხოლოდ რვა წუთი გავიდა. ახლა მას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ დებილი იყო. ვინ რჯიდა? რას მოეთრეოდა? უკუდო ამპარტავანი რომ არის. მოეთმინა ცოტა და დღეს იქ იქნებოდა. აქ კი არა.

ბრახზე, „ფუ შენიზე“, „აუზე“, წიხლზე და „პუტა დეგენერატზე“ აღარაფერს ვამბობთ. ეს ისევ იყო.

ერთი, შედარებით ასაკოვანი, ბრტყელსახა მამაკაცი წამოდგა, კალამი სადღაც მიაგდო და ოთახიდან გავიდა. „აბა, ამათ დამიხედე“ — ფიქრობდა ის — „ესეც გვინდაო, ისიცო და რა თქმა უნდა, ისიცო, მთავარიცო. აპრუწუწუნ, რა. ერთი კარგად გამახსენონ ის მთავარი ას წელიწადში რამდენჯერ მოუგიათ, ჩემგან რომ მოუნდათ ყოველ წელიწადს. ამათ რომ ეჯიბრებიან, ამათ, ძმაო, იმის მოგება ქრონიკულში გადაუვიდათ. ეჰ, აზრზე ვარ უკვე, რაც იქნება. წავალ ჩემს როტერდამში, ანტუანეტა ბაბოს დაყენებულ იოგურტს გავტლიკავ“.

ბრტყელსახა უკვე თავის ოთახში იყო და კედლიდან ანტუანეტა ბაბოს ფოტოს ხსნიდა. „ეს არ გამიტყდეს, ამას შემოვევლე, კარგ ადგილას უნდა ჩავდო“. ჩემოდანს უშველებელი პირი დაეღო.

— დებილო, დებილო, დებილო, დებილო, დებილო, დებილო... — ბიჭს უკვე ისტერიკა ჰქონდა. „რამ გადამრია, გოლს რომ გავუტანდი და მუშტებს ვუღერებდი. ეგ მაინც არ მექნა. არადა, განა გულის სიღრმეში არ ვიცოდი, რომ სინამდვილეში ჩემიანები ისინი არიან, ესენი კი არა. თან, მე რა შემეფერება?! რა თქმა უნდა, დიდი პრიზი, ყველაზე, ყველაზე დიდი“...

ბრტყელსახას ოთახის კარი მძიმედ გაიღო. ქერა, მოჭიდავის გარეგნობის ახალგაზრდა დაღონებული სახით შევიდა და უკვე ჩალაგებული, დიდი ჩანთის ლოგინზე დაგდება სცადა, მაგრამ ააცილა.

— კარგი, რა ბუდ. ამასაც ვერ უმიზნებ? — მწარე-ირონიით მიმართა ბრტყელსახამ.

— უჰ!

— ცოლი ხომ გყავს?

— დებიიიილოოოო! დეეებილლლო! — ბიჭი ნახევარსანტიმეტრიან თმას იწიწკნიდა. მერე, შეეტყო, რომ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. წამოდგა, მოფარებულში გავიდა და ჯიბიდან მობილური ამოიღო. ნომერი აკრიფა, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ შენიშნა, რომ სოლიდური, ოდეკოლონის სურნელიანი კაცი უთვალთვალებდა. შორიახლოს დადიოდა, ვითომ აქ არაფერიო. „დონ ხუანი“ — გაიფიქრა ბიჭმა — „ფრთხილად, ჯობია გავთიშო“. მაგრამ გვიანი იყო. მოპასუხემ მართალია მეჩვიდმეტე ზარის შემდეგ, მაგრამ ყურმილი აიღო. მეორე ბოლოდან თავაწყვეტილი ზეიმის ხმა მოდიოდა.

— რაულეტა, შენ ხარ, ჩემო სიყვარულო — ესღა მოიფიქრა ბიჭმა.

— ლუის!... ლუის... შენ ხარ ხომ? ბიჭო ცუდად ისმის. სპასიბა რომ გვილოცავ... ალო! ოლა!

— რაულეტა, სიყვარულო, მომენატრე. ჩვენები ყველანი ისე მომენატრენ, ლამისაა ვიტირო. აი, ვტირივარ კიდეც.

— ლუის... ალო... ოლა... ცუდად ისმის, აქ ხმაურია. გადმორეკე.

აპარატში წყვეტილი ზუმერის ხმა გაისმა. ბიჭს ხელახლა დარეკვა აღარც უფიქრია. სახიფათო იყო. უცებ ოთახის შუიდან მოესმა:

— კომარადეს! ჩვენ, მართალია, ამჯერად ფეხი დაგვიცდა, მაგრამ...

„ეხ, ეჰ, წადი შენი“. — გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მიიღო გეგონებოდა ძალიან აინტერესებდა. ბოლმისგან ლამის გამსკდარმა დონ ხუანმა კი ფანჯრის ფარდა გადასწია. გაუდის ტაძარი აბსოლუტური მდუმარებითა და ბრწყინვალებით პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა ბიზნესმენს. გადაღმა მონსერატ კაბალიე აივანზე გადამდგარიყო, სარეცხს ფენდა და ღიღინებდა: ბარსელონა!

ბაბუნა კედია

ფანჯრიდან ავტორმაც გადაიხედა. თვალებში შუა კორპუსის უკანა მხარეს ნაწილობრივ მიშენებულმა ლოჯებმა შეანათა. ბაზრობიდან ყრუდ ისმოდა: ... დედიშენის ჭაღარაააა...

ესპანეთი

მახსოვს, პირველად...

ცხადია, ესპანეთის ჩემპიონატის 1999-2000 წლების სეზონი წინამორბედებს არ ჰგავდა, მაგრამ ესოდენ განსხვავებული თუ იქნებოდა, არავინ ელოდა. პრიმერა დივიზიონში იმდენი რამ მოხდა პირველად ან ათწლეულების ლოდინის მერე ერთი სეზონისთვის მეტისმეტიც კია.

უპირველესი მოულოდნელობა „დეპორტივოს“ ჩემპიონობაა. მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, 1906 წელს, კლუბის დამაარსებლები, ალბათ, ვერც წარმოიდგენდნენ, თუ ქვეყნის ჩემპიონის პირველ ტიტულამდე ასე შორი მანძილი იყო. დრო გადიოდა, თაობები იცვლებოდა, ოცნება კი მიუღწეველი რჩებოდა. მხოლოდ ორჯერ მიუახლოვდნენ ლაკორუნიელები პირველ ადგილს ძალიან ახლოს. პირველად ეს 1950 წელს მოხდა, როდესაც ჩემპიონმა მადრიდის „ატლეტიკომ“ ისინი ერთი ქულით ჩამოიტოვა უკან. მეორედ კი...

1993-94 წლების სეზონის ბოლო ტურში „დეპორტივო“ „ვალენსიას“ ხვდებოდა, მოიგებდა და ჩემპიონობასაც ზეიმებდა. მატჩი ილეოდა, გოლი კი არ ჩანდა. ბოლო წუთზე „დეპორტივოს“ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა და მიროსლავ ჯუკიჩმა... ვერ გატანა. გალისიელებმა პირველობა „ბარსელონას“ დაუთმეს.

მიმდინარე სეზონში „დეპორტივო“ ფავორიტად არავის ჩაუთვლია. არადა, ითქოს საოცარია — გუნდისგან, რომელსაც თითქმის მთელი სეზონის გამავლობაში ლიდერობდა, ჩამოქვეითებას ელოდნენ. და განა არ შეიძლებოდა, ასე მომხდარიყო. „დეპორტივომ“ სტუმრად 12 დეკემბრის მერე მხოლოდ ორთხელ მოიგო, თანაც ბოლო ოთხ ტურში 7 ქულაც დაკარგა. სხვა ევროპელ ჩემპიონებსაც გადავხედოთ. „მანჩესტერმა“ სულ 23 ქულა მოისაკლისა, „ბაიერნმა“ — 29, „ლაციომ“ — 30, ხოლო „დეპორტივომ“ — მთელი 35 ქულა. ძალიან დიდი დანაკარგია ეს წესით, ძლიერ გუნდს ლაკორუნიელთა გასწრება არ უნდა გასჭირვებოდა. ასეთებიც იყვნენ და უპირველესად ცხადია, „ბარსელონა“. მაგრამ რად ითქვა, წაგებდა „დეპორტივო“, წაგებდა „ბარსელონა“, მოიგებდა ერთი, მოიგებდა მეორეც და ასე მთელი სეზონი. საბოლოოდ „ბარსას“ 12 წაგება დაუგროვდა, თან ვისთან? ორი მარცხი „ალავესთან“ — მოკრძალებულ ბასკურ კლუბთან, მეთორმეტეადგილოვან „მალაგასთან“ და ისიც შინ, დივიზიონიდან გავარდნილ „სევილიასთან“, რომელმაც სეზონის მანძილზე მხოლოდ ხუთი თამაშის მოგება შეძლო, „ბეტისთან“, „სევილიასთან“ ერთად რომ გაუდგა მეორე დივიზიონის გზას. ორი მარცხი „მალიორკასთან“, მათ შორის 0:3 შინ, დებიუტანტ „რაიო ვალეკანოსთან“ ასევე „კამპ ნოუზე“, გავარდნას ძლივს გადარჩენილ „ოვიედოსთან“. „ბარსელონა“ „ვალენსიასთან“, „დეპორტივოსთან“ და „რეალთანაც“ დამარცხდა, თუმცა ზემოთჩამოთვლილებთან ეს სახსენებელიც არაა. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ — რომ არა კატალონიელთა უსუსური თამაში, „დეპორტივო“ ვერც ამჯერად ეღირსებოდა ჩემპიონობას. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია. ჩემპიონი ხდება ის, ვინაც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. თუმცა „ბარსელონას“ დაკარგულ ქულებს ამაოდ როდი ითვლიან. ცნობილი ამბავია, რომ ესპანელებს ორი გრანდი ჰყავთ. აქამდე გამართულ 69 ჩემპიონატში 43-ჯერ სწორედ „რეალსა“ და „ბარსელონას“ გაუმარჯვიათ. ამიტომ რომელიმე სხვა გუნდის გაჩემპიონებისას შუდამ ამბობენ, გრანდები ფორმაში არ იყვნენ და სხვებმაც იხეირესო.

დონატო, ფრანი, ვიქტორი და სკალონი — ლაკორუნიელი გმირები

რაკი ამ თემას შევეხეთ, ბარემ ისტორია გავიხსენოთ. ესპანეთის პირველობა 1928-29 წლებიდან იღებს სათავეს და პირველი გამარჯვებული „ბარსელონაა“. სულ ამ გუნდს ტიტული 17-ჯერ მოუპოვებია. ყველაზე მეტჯერ კი „რეალმა“ იპირველა — 27 ჯილდო. შემდეგ გუნდები ასე მოდიან: მადრიდის „ატლეტიკო“ — 9, „ბილბაო“ — 8, „ვალენსია“ — 4, „სოსიედადი“ — 2, „სევილია“, „ბეტისი“ და აწ უკვე „დეპორტივო“ — თითო გამარჯვება. თუ ელემენტარულ არითმეტიკას მოვიშველიებთ, გამოვთვლით, რომ 1928-29 წლებიდან 72 ჩემპიონატი უნდა გამართულიყო, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს (30-იანი წლების ბოლოს) ფეხბურთისთვის არავის ეცალა.

თავში ვთქვით, წლეულს ბევრი რამ მოხდა პირველად ან დიდი ხნის ლოდინის მერეო. ერთი ასეთი ფაქტი დეპორტივოელთა მწვრთნელ ხავიერ ირურეტას სახელს უკავშირდება. საოცარია, რომ 1986 წლის შემდეგ ესპანელ მწვრთნელს გუნდი ჩემპიონი არ გაუხდია — გამარჯვებულებს უცხოელები ავარჯიშებდნენ. ბოლოს ეს „რეალში“ მომუშავე ლუის მოლოვნიმ შეძლო. და აი, უცხოელთა 14-წლიანი ბატონობა დასრულდა, თუმცა... ხავიერ ირურეტა ნამდვილ ესპანელად ვერ ჩაითვლება, ის ბასკია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს — მაინც შინაური კაცია. რახან ეროვნულობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც დავუმატოთ, რომ ბასკთა და კატალონიელთაგან განსხვავებით, გალისიელები ჩემპიონები არასდროს ყოფილან — „დეპორტივო“ პირველი მერცხალია.

„ნაღდ“ ესპანელებსაც გადავხედოთ. აქ ორი ჯგუფია საინტერესო — მადრიდელთა და სევილიელთა. უძველესი ესპანური ქალაქი სევილია დიდი ფეხბურთის გარეშე დარჩა. თან „სევილიამ“ ერთი ანტირეკორდიც დამყარა — სტუმრად ერთი თამაშიც ვერ მოიგო. მოულოდნელად განაწილდა ადგილები მადრიდელთა შორისაც. ცხადია, ყველა ელოდა, რომ მათგან „რეალი“ საუკეთესო იქნებოდა (ამის საფუძველს ფეხბურთელთა შესაძენად დახარჯული ათობით მილიონი დოლარი იძლეოდა), „ატლეტიკოს“ საპრიზო ადგილებისთვის უნდა ებრძოლა, ხოლო დებიუტანტ „რაიო ვალეკანოს“ — პრიმერა დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად, მაგრამ... ოთხი ტურის მერე „რაიო“ ქულათა მაქსიმუმით გათამაშების ცხრილის თავში მოექცა, „ატლეტიკო“ ერთი ქულით — ბოლოში, მის უკან მხოლოდ „ვალენსია“ (?) იყო. „რეალმაც“ ფრეების დაუსრულებელი სერია მოაწყო, ერთხანს მე-17 ადგილამდეც დაქვეითდა. ბოლოს კი რა? მადრიდის გარეუბან ვალეკანოს მკვიდრნი სხვებზე კმაყოფილნი დარჩნენ — მეცხრე ადგილი „რაიოსთვის“ ძალიან კარგი შედეგია. „სამეფო კლუბს“ საზიზღარი სეზონის მერე (როცა „ბარსელონას“ ძლევის გარდა სახეირო არაფერი გაუკეთებია) ჩემპიონთა თასი რომ არ მოეგო, ქომაგთა რისხვას ვერ გადაურჩებოდა. „ატლეტიკო“ კი... ეჰ, სადღაა „ატლეტიკო“ — 1934 წლის მერე გუნდს ასეთი ჩავარდნა არ ჰქონია.

უცნაურად წარიმართა მწვრთნელთა ბედიც. არა, მათი დათხოვნა ჩვეული ამბავია, მაგრამ ხომ აქვს ერეკლეულობა, ამას როგორ გააკეთებ ჭკნადლეობის სეზონი იყო — ჯონ ტოშაკი, რადომირ ანტიჩი, ლუის ვან გაალი.

უელსელმა ტოშაკმა „რეალის“ სალარო გვარიანად შეათხელა. კრიმინალური არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ბლომად საეჭვო კლასის ფეხბურთელები შეიძინა, თანაც ძვირად. ერთი ნიკოლა ანელკა ათამაშდა ამ ბოლო დროს, იქამდე კი მთელი სეზონი დაუსრულებელ კონფლიქტებში გაატარა. რა გასაკვირი იყო ლორენსო სანსისგან ტოშაკის დათხოვნა, მაგრამ მწვრთნელმა იუარა — კონტრაქტში რაც წერია, ის თანხა გადამიხადეთ და მადრიდისკენ აღარც გამოვიხედავო. ამაზე კლუბის პრეზიდენტი გაჯიუტდა, ხელშეკრულების პირობები თავადვე დაარღვია და რას ითხოვსო (საუბარია იმ მუხლზე, რომლის თანახმადაც ტოშაკს გუნდზე აუგის თქმა ეკრძალებოდა). საქმე სასამართლომდე მივიდა და ის უელსელმა მოიგო — დამატებით მილიონი დოლარი ჩაიჩხრიალა ჯიბეში. რადომირ ანტიჩი კი გრძელი ენის მსხვერპლი გახდა. ჯერ ამბობდა, კლუბს უჭირს და მთელი წელი უხელფასოდ ვიმუშავებო, მერე კი გადათქვა, ეს ისე, სიტყვაზე ვთქვი, პირდაპირ რატომ გესმითო. არ გაჭრა — ხესუს ხილმა მას კარისკენ მიუთითა. და ლუის ვან გაალი. კაცი, ვინც სეზონის წინ იქადნებოდა, „ბარსელონას“ წლეულს ყველაფერს მოვაგებინებო, ხელცარიელი დარჩა. „ბარსელონას“ ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა თავს უშველა და გაასწრო, თორემ ხუან გასპარი იმუქრებოდა, პრეზიდენტი გავხდები და მაგას ერთ დღესაც არ გავაჩერებო. ხუან გასპარი ის კაცია, რომელიც ხოსეპ ნუნიესის სავარძელს უმიზნებს. ნუნიესმა კი „ბარსელონას“ 22-წლიანი მმართველობის ხანა დაასრულა. თანაც რომ არ ელოდა, ისე — 68 წლის კაცი ვარ და არ მახსოვს, კატალონიელ ქომაგებს „ბარსელონასთვის“ ეგინებინათო, თქვა ნუნიესმა.

ნუნიესისაზე არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა ხესუს ხილის გადაყენება „ატლეტიკოს“ პრეზიდენტობიდან. ამას ვინ ჩივის, მან ციხეშიც ამოყო თავი. მაგრამ ხილი რის ხილია, თავი არ დაეძვრინა — ჯერ თავისუფლება დაიბრუნა, მერე — პრეზიდენტის პოსტი. მის მიერ აორთქლებულ მილიონებს კი გამომძიებლები დღესაც უშედეგოდ ეძებენ.

ამ სეზონში რამდენიმე სხვა მწვრთნელიც გაათავისუფლეს — კლაუდიო რანიერი „ატლეტიკოს“ ანტიჩამდე დაემშვიდობა, ანდონი გოიკოეჩეამ „ნუმანსია“ დატოვა, ხოლო გრეგორიო მანსანოს „ვალიადოლიდის“ მესვეურებმა მერვე ადგილზე გასვლა არ მოუწონეს. ზემოთ ნახსენები მწვრთნელების ფონზე ამ სამეულის გადადგომამ უფრო შეუმჩნეველად ჩაიარა.

აი, ასეთი მოულოდნელი შედეგებით დასრულდა ესპანეთში 1999-2000 წლების სეზონი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ესპანური ფეხბურთის ისტორიაში. გაისად გავარდნილთა ადგილებს სამი ახალი გუნდი დაიკავებს. ორი მათგანის ვინაობა ცნობილია — „ლას პალმასი“ და „ვილიარეალი“. მესამე ადგილზე გასვლის შანსი კი ბოლო ტურის წინ სამ გუნდს აქვს — „ოსასუნას“, „სალამანკას“ და „მერიდას“. აგვისტოს ბოლოს ყველაფერი თავიდან დაიწყება...

გიორგი დარჯანია



ლუის ვან გაალი ბარსელონას დაემშვიდობა

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დეპორტივო		2:1	2:0	2:2	5:2	4:1	1:0	2:0	3:2	2:1	2:0	4:1	2:0	2:0	0:3	0:2	3:1	2:0	4:1	5:2	38	21	6	11	66:44	69
2. ბარსელონა	2:1		3:0	2:0	2:2	0:1	2:2	4:0	0:2	0:3	4:0	1:2	3:0	3:1	1:0	4:0	3:2	4:1	2:1	2:0	38	19	7	12	70:46	64
3. ვალენსია	2:0	3:1		2:1	1:1	0:2	1:1	0:0	3:1	1:0	2:0	2:2	1:2	4:0	1:2	4:0	6:2	3:1	2:0	2:0	38	18	10	10	59:39	64
4. სარაგოსა	2:1	0:0	4:2		0:1	2:1	2:1	1:1	1:1	3:0	0:0	3:2	1:1	2:0	4:1	3:3	4:0	1:0	1:1	2:1	38	16	15	7	60:40	63
5. რეალი	1:1	3:0	2:3	1:5		0:1	1:0	0:1	0:0	2:1	3:1	1:0	2:1	1:1	2:4	4:1	2:2	2:1	1:3	3:1	38	16	14	8	58:48	62
6. ალავესი	2:1	2:1	0:1	0:2	1:3		1:0	1:0	0:1	2:2	1:2	2:1	0:0	2:1	2:1	2:2	1:0	2:0	2:0	0:0	38	17	10	11	41:37	61
7. სელტა	2:1	0:2	0:0	2:1	1:0	1:1		1:1	0:1	1:0	1:1	2:4	2:1	4:1	2:0	0:0	5:3	5:1	0:1	2:1	38	15	8	15	45:43	53
8. ვალიადოლიდი	4:1	0:2	0:0	1:1	0:1	1:1	1:3		1:2	2:1	1:0	4:2	1:0	2:1	1:0	2:0	2:1	0:3	1:0	2:1	38	14	11	13	36:44	53
9. რაიო	2:0	1:1	1:3	0:1	2:3	0:1	1:0	4:1		2:1	1:2	4:1	2:1	2:1	1:2	0:0	1:2	1:3	1:1	2:0	38	15	7	16	51:53	52
10. მალიორკა	2:2	3:2	1:0	1:1	1:2	2:0	1:0	0:0	2:1		2:1	2:1	1:3	2:1	1:2	3:0	1:1	4:0	1:2	3:1	38	14	9	15	52:45	51
11. ბილბაო	2:3	0:4	1:0	2:2	2:2	2:1	1:0	1:0	1:2	1:1		2:2	2:1	1:1	2:2	2:1	1:1	1:0	4:2	1:1	38	12	14	12	47:57	50
12. მალაგა	1:0	1:2	1:1	0:0	1:1	0:1	0:1	0:0	2:0	0:0	3:4		1:0	0:0	0:0	3:1	4:0	3:0	2:3	3:0	38	11	15	12	55:50	48
13. ესპანიოლი	0:0	1:1	3:2	1:1	0:2	2:3	3:0	1:1	5:1	1:2	0:0	0:2		0:0	1:0	3:1	2:1	3:0	3:1	2:2	38	12	11	15	51:48	47
14. სოსიედადი	0:1	0:0	0:0	2:1	1:1	1:1	0:2	3:0	2:1	2:1	4:1	2:2	1:0		2:5	2:1	0:0	1:0	4:1	1:1	38	11	14	13	42:49	47
15. რასინგი	0:0	1:2	1:1	1:2	1:1	0:0	3:0	1:1	1:1	1:1	2:2	2:3	2:2	0:0		1:1	3:1	1:1	2:1	2:2	38	10	16	12	52:50	46
16. ნუმანსია	1:0	3:3	1:2	1:2	0:0	0:0	3:1	1:0	3:1	3:1	1:1	1:1	2:0	1:2	2:1		1:1	1:2	3:0	2:0	38	11	12	15	47:59	45
17. ოვიედო	0:1	3:0	0:0	1:0	1:1	1:0	1:0	1:1	2:0	0:0	1:0	2:2	1:0	0:1	1:2	1:0		1:1	2:2	4:2	38	11	12	15	44:60	45
18. ბეტისი	0:0	2:1	1:0	2:0	0:2	0:1	0:0	0:1	1:1	1:0	2:1	0:0	2:5	1:0	2:2	1:2	1:0		2:1	1:1	38	11	9	18	33:56	42
19. ატლეტიკო	1:3	0:3	1:2	2:2	1:1	1:0	1:2	3:1	0:2	1:0	1:2	2:2	1:1	1:1	2:0	2:2	5:0	0:0		1:1	38	9	11	18	48:64	38
20. სევილია	1:3	3:2	1:2	0:0	1:1	2:2	0:1	0:1	2:3	0:4	0:0	0:0	1:2	2:2	1:0	4:0	2:3	3:0	2:1		38	5	13	20	42:67	28

ვახტანგ ნაცვლიშვილი: იქნებ დრო, ფედერაციამ იტვირთოს პასუხისმგებლობა?

ვახტანგ ნაცვლიშვილი

ვ. ფურცელაძის ფოტო

„სტეფანიას ვინ ჩივის, ვახტანგ ნაცვლიშვილი გვყოლოდა და ჩვენი მომგები არავინ იყო“ — განუცხადა „სარბიელს“ დანიიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ. უნაცვლიშვილო ეროვნული გუნდი დანიიდან წაგებული რომ ჩამოვიდა, ტომარაძის ეს სიტყვები ეგებ ერთგვარ თავისმართლებადაც შეგვერაცხა, მაგრამ...

ქართულ კალათბურთში ვინც კი ოდნავ მაინც ჩახედულია, ყველამ კარგად იცის ნაცვლიშვილის ფასი. ტომარაძის წინამორბედი ლევან მოსეშვილიც ერთთავად იმას გაიძახოდა, ვატო ნახევარი გუნდიაო. მან კი სეზონის დასაწყისში უმძიმესი ტრავმა მიიღო, კლუბსაც და ეროვნულ გუნდსაც კარგა ხნით გამოაკლდა.

ქვეყნის უპირველესი გუნდის ფეხმტკივანი ექსკაპიტანი საცაა ბოლომდე გამოჯანმრთელდება და სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შეუდგება. მანამდე კი თავს საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური და ფინალური მატჩების ყურებით შეიქცევს. გუშინწინ სწორედ სტუ-„აზოტის“ თამაშის შესვენებისას შევხვდით ნაცვლიშვილს და სიტყვა სამომავლო გეგმებზე ჩამოვუგდეთ. ახალი არაფერია, ყველაფერი ძველებურადააო და...

— ნაკრებზე მსურს „სარბიელთან“ საუბარი, სათქმელი დამიგროვდა — თქვა ვატომ მცირე პაუზის შემდეგ. უმალ განვმარტოვდით.

„არც კი ვიცი, საიდან დავიწყო, ქართულ კალათბურთში მილიონი პრობლემაა, ჩამოთვლას ერთი მთლიანი გაზეთი არ ეყოფა. ამიტომაცაა, რომ ნაკრები ყველგან ყველაფერს აგებს, ოდესღაც ბოლო ხომ უნდა მოეღოს ყველაფერს, სადამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

როგორ შეიძლება, რომ წარუმატებლობები სულ კონკრეტულ პიროვნებებს ბრალდებოდეს. ყელში ამოვიდა გაუთავებლად დამნაშავეების ძებნა. ხომ ხედავთ, რომ ამასობაში სულ უფრო და უფრო უკან მიდის ჩვენი საქმე. მწვრთნელების ბრალიაო, შეცვალეს. კალათბურთელები არ ვარგიანო, გუნდი გადახალისდა. მაშ, რაღა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ? იქნებ უკვე დროა, რომ ყოველივეზე პასუხი ფედერაციასაც მოეთხოვოს? ქართულ კალათბურთს ეს ორგანო ხელმძღვანელობს და სხვებთან ერთად მანაც უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა. მარტო ლაპარაკით შორს ვერ წავალთ, მთლიანად კალათბურთისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს.

მე არც გამმგონებელი ვარ და არც რეფორმატორი. უბრალოდ, ბევრ ქვეყანაში მითამაშია და საკუთარი თვალით მინახავს რა და როგორ ხდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფედერაციის მოხელეებმა არც კი იციან სხვა ქვეყნებში როგორ ტარდება ჩემპიონატები, დებულებაში რა უწერიათ. არ დაინტერესებულან და იმიტომ არ იციან. ჩვენში კარგა ხანია მოდაში შემოვიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითების გადაღება და დანერგვა. რატომ კალათბურთში არ ვბაძავთ მათ? რა, ამ სფეროში ჩვენ უკეთ გვაქვს ყველაფერი აწყობილი?

შვილს როგორსაც აღზრდი, ისეთი გამოვა. ჩვენს შემთხვევაში დედაც და მამაც ფედერაცია უნდა იყოს. თუ გვინდა, რომ საერთოდ შევინარჩუნოთ კალათბურთი. არა მგონია, იმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ ვინ იქნება ფედერაციაში. მე კონკრეტულ პიროვნებებს არაფერს ვერჩი, ვაკრიტიკებ ყველას, ვისაც ქართული კალათბურთისთვის რამის გაკეთება შეუძლია და გარკვეული მოსაზრებების გამო თავს არიდებს. მინდა, ყველას მოვუწოდო, რომ თუ შეუძლიათ, სპორტის ამ სახეობაშიც ჩადონ ფული, რაღაც ეტაპამდე ეს მათთვის წამგებიანი იქნება, მაგრამ ადრე თუ გვიან აუცილებლად ნაყოფს მოიმკიან.

მე იმაზე არა მაქვს პრეტენზია, რომ გინდა თუ არა საკლუბო კალათბურთი ააღორძინოს ფედერაციამ. ყველაფერს მარტო ვერ გასწვდება. კლუბებმა თა[illegible]ვად უნდა მიხედონ [illegible] ნორები უნდ[illegible] კი სულ სხვა საკითხია, მარტო ფედერ[illegible] რაციამ კი არა, მთელმა სახელმწიფო[illegible] მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ ეროვ[illegible] ნული გუნდი ქვეყნის სახეა და მის[illegible] ასე უპატრონოდ მიგდება დიდი დანა[illegible] შაულია. აქ არ არის საუბარი იმ[illegible] თანხებზე, რასაც სახელმწიფო ვერ გა[illegible] მონახავს. ქართველებისთვის კალათბუ[illegible] რთი პოპულარობით მეორე სპორტ[illegible] ფეხბურთის შემდეგ, ჰოდა, რაც ფეხ[illegible] ბურთში ფული იხარჯება, იმის მეო[illegible] ხედიც სავსებით საკმარისია, რომ კა[illegible] ლათბურთს ეშველოს. ბევრჯერ მი[illegible] თქვამს და ახლაც გავიმეორებ, თუ [illegible] გვსურს, რომ რაიმე ხელშესახებ წარ[illegible] მატებას მივაღწიოთ, უპირველესად ჩე[illegible] მპიონატის დონე უნდა ავამაღლოთ. აგრ[illegible] „ბასკო“ გამორნდა, სტუ-ს საკუთარ დ[illegible] რბაზში თამაშის ნება დართეს, ეს უკვ[illegible] ნიშნავს რაღაცას. ნელ-ნელა კიდევ უნდ[illegible] დაინერგოს სიახლეები. იქნებ ასე მა[illegible] ინც დავიბრუნოთ ძველი დრო.

ქართულ კალათბურთს ჩვენზე ძლ[illegible] ერი თაობაც ჰყოლია და შედეგიც არ[illegible] ახანებდა. თუ ასე გაგრძელდა, მალ[illegible] იმ უდიდესი სპორტსმენების სახელ[illegible] ბიც დავიწყებას მიეცემა. ადრე თუ გვიან ჩვენც წავალთ კალათბურთიდან, მა[illegible] გრამ მომავალს რას ვუტოვებთ? რას[illegible] ვეუბნებით იმ ბავშვებს, რომლებიც [illegible] ახლა იწყებენ თამაშს? ჩვენ ხომ მათ[illegible] ფაქტობრივად კალათბურთის ინტერე[illegible] სი ჩავუხშეთ, არ არის ყოველივე მო[illegible] მავალი თაობების შეურაცხყოფაც“?

გიორგი ბიკაშვილი

ფორტიტუდოელი გრეგორ ფუჩკა იტალიის ჩემპიონატის ფინალის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს

LA GAZZETTA DELLO SPORT

ბენეტონელი დენის მარკონატოს ტრავმამ მატჩის და ფინალის ბედი გადაწყვიტა

იტალია

ფორტიტუდო!

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

ფორტიტუდო	**3**
ბენეტონი	**1**

ბენეტონი 68:79 ფორტიტუდო

ბენეტონი: ნიკოლა (17), ედნი (24), პიტინსი (11), შეპარდი (6), მარკონატო, ტრაინა (7), ნეესი (3), სანტოსი, ბულერი

ფორტიტუდო: ფუჩკა (27), მაიერსი (15), ბაზილე (16), გალანდა (15), ვრანკოვიჩი (6), იარიჩი, პილუტი

საწყისი ხუთი წუთი ბოლონიის „ფორტიტუდოსთვის“ კატასტროფული გამოდგა: ტრევიზოს „ბენეტონმა“ ეს მონაკვეთი 17:4 მოიგო და ისე კარგად თამაშობდა, რომ ეჭვი გაჩნდა, ჩემპიონი მეზუთე, გადამწყვეტ მატჩში გამოვლინდებაო. თუმცა, სწორედ ამ დროს მოხდა ის ამბავი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია როგორც მატჩის, ისე მთლიანად სერიის საბოლოო შედეგზე: ფორტიტუდოელი სტოიან ვრანკოვიჩი ჯერ დაეჯახა ბენეტონელ დენის მარკონატოს, შემდეგ კი ზემოდან დაეცა. მარკონატოს კოჭი ამოუვარდა. თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო და ულიდეროდ დარჩენილ „ბენეტონს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა.

„მსაჯებმა აშკარად დაინდეს ვრანკოვიჩი, იგი გასაგდები იყო. ყველამ დაინახა, რომ ბოლონიელი განზრახ დაეჯახა მარკონატოს, მერე კი შეგნებულად მიარტყა ფეხი კოჭებში. ჩემი გუნდი ძირითადი ცენტრის გარეშე დარჩა, ვრანკოვიჩის მიზანიც სწორედ ეს იყო“ — ცხარობდა ნამატჩევს ტრევიზოელთა მწვრთნელი პიერ ლუიჯი ბუჩი. მარკონატო კი მძიმედაა დაშავებული. ტრავმის გამო, შესაძლოა, სიდნეის ოლიმპიური თამაშებიც კი გამოტოვოს.

თითქოს მარკონატოს დამტვრევას ელოდაო, „ფორტიტუდომ“ ფრთები გამოისხა და მომდევნო ხუთ წუთში ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა (21:17). ბოლონიელებს გრეგორ ფუჩკა ლიდერობდა, რომელმაც ქულებიც ბლომად აგროვა და მარკონატოს არყოფნაში ფარსაც დაეპატრონა. „ბენეტონის“ რიგებში ტაიუს ედნი და მარსელო ნიკოლა გამოირჩოდნენ. მათი წყალობით მასპინძლებმა პირველი ტაიმი 42:37 მოიგეს.

მეორე ტაიმში „ბენეტონი“ ხუთი წუთი გაუძალიანდა მეტოქეს, მერე კი უპირატესობა დათმო. ვრანკოვიჩმა, ფუჩკამ და ჯაკომო გალანდამ „ფორტიტუდოს“ დაცვა გაუვალი გახადეს. შეტევაში კი ეს სამეული მეტოქეებს ეღობებოდა, რითაც კარლტონ მაიერსს და ჯანლუკა ბაზილეს შორიდან სროლის საშუალება ეძლეოდათ. სწორედ ბაზილეს სამქულიანის შემდეგ დაწინაურდა „ფორტიტუდო“ ოთხი ქულით (58:54) და მერე არც არასდროს ჩამორჩენილა.

გატეხილი „ბენეტონის“ საბოლოო განადგურება აღარ გაჭირდა: მაიერსმა ზედიზედ მიითვალა ხუთი ქულა, გალანდამ ფარქვეშ იყორაღა, ხოლო ფუჩკამ ჩატენვებში გაივარჯიშა. დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ფორტიტუდო“ 70:57 იგებდა. საბოლოო წერტილი კი ფუჩკამ ჩატენვით დასვა — ბოლონიის „ფორტიტუდო“ პირველად გახდა იტალიის ჩემპიონი. გრეგორ ფუჩკა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

„ფორტიტუდოს“ მწვრთნელი კარლო რეკალკატიმ ზედიზედ მეორედ გაიჩემპიონა თავის გაწვრთნილი გუნდი: შარშან იგი „ვარეზეს“ ედგა სათავეში. მატჩის შემდეგ რეკალკატიმ აღნიშნა: „ძალიან ვწუხვარ, რომ მარკონატო დაიმტვრა, მაგრამ კოლეგა ბუჩის ბევრ რამეში არ ვეთანხმები. ვრანკოვიჩს უხეშად განზრახ არ უთამაშია. მართალია, მარკონატო დიდი ძალაა, მაგრამ მე კარნიშოვასი საერთოდ არ მყავდა, ხოლო იარიჩი პირველ ტაიმში დამემტვრა და თამაში ვერც მან გააგრძელა“.

სხვათა შორის, ბუჩის „ფორტიტუდოსთვის“ ჩემპიონობის მილოცვაც არ დაავიწყდა: „გულწრფელად ვულოცავ „ფორტიტუდოს“ გამარჯვებას, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, მსაჯებს ჩვენ არ დაეზარალებინეთ და ჩემპიონიც პატიოსან ბრძოლაში გარკვეულიყო“.

ბათუმსა და რუსთავში...

საქართველოს ჩემპიონატი

მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალი, მოგეხსენებათ, სამ მოგებამდე გრძელდება. გუშინწინ თბილისში პირველი შეხვედრები გაიმართა. ორივეში დედაქალაქის სტუმრებმა, ბათუმის „ბასკომ“ და რუსთავის „აზოტმა“ იმარჯვეს, შესაბამისად, სდასუ-სთან და სტუ-სთან. რაკი „ბასკომაც“ და „აზოტმაც“ რეგულარულ ჩემპიონატთან ერთად ექვსეულის ორივე წრეც უკეთესად იღებებზე ჩაამთავრეს, პლეი ოფში მათ მოედნის უპირატესობა მიენიჭათ და მომდევნო ორ თამაშსაც მშობლიურ ქალაქებში გამართავენ. კალათბურთის ფედერაციამ უკვე მატჩების დაწყების დროც დაადგინა.

2 ივნისი		3 ივნისი	
აზოტი — სტუ	**17.00**	**აზოტი — სტუ**	**17.00**
ბასკო — სდასუ	**19.00**	**ბასკო — სდასუ**	**17.00**

პიპენიც[illegible] გახულიგანდა

NBA

მიმდინარე პლეი ოფში შეხვედრა არ ჩაივლის ჩხუბის, კინკლაობის, საქმის გარჩევის თუ მსაჯთან კამათისა და თვალების ბრიალის შემდეგ მიღებული ტექნიკურების გარეშე. ამაში გასაკვირიც არაფერია. დაძაბული თამაშები და ქანცისგამწყვეტი სერიები უკიდურესად ნერვებდაჭიმულ მოთამაშეებზე არცთუ დადებითად მოქმედებს. ბუნებრივია, არც ერთ ასეთ ეპიზოდს ასოციაცია უყურადღებოდ არ ტოვებს და სანქციებიც არ აყოვნებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ გამოირჩევა, რომელსაც ჰყავს ლიგაში დღესდღეობით ყველაზე ჯაჯღანა მოთამაშე რაშიდ ვოლესი. მან განვლილ რეგულარულ სეზონში ჯამში 37 ტექნიკური ჯარიმა დააგროვა და ლიგის ყველა დროის რეკორდსმენებს — დენის როდმანსა და ჩარლზ ბარკლის ბევრით გაუსწრო. ვოლესი არც ახლა ღალატობს ჩვეულებას და მის საქმეს ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი არცთუ იშვიათად იხილავს. ახლა მის გუნდში კიდევ ერთი შარისთავი გამოჩნდა — სკოტი პიპენი. ამ დღეებში ისიც მოხვდა სადისციპლინო კომიტეტის ყურადღების ცენტრში. „ლეიკერსთან“ სერიის მეოთხე თამაშში, რომელიც „პორტლენდმა“ 91:103 დაამარ[illegible] სკოტი პიპენმა თავი ვერ შეიკავა და „ლეიკერსის“ მეორე ცენტრის ჯონ სეილის უხეშობას იმით უპასუხა, რომ კეფაში ხელი მოსცხო. პიპენმა შემდეგ თავი კი იმართლა, სანამ დავარტყამდი უხეშად მომეპყროო, მაგრამ არ გაუფიდა და 10 ათასი დოლარით დაჯარიმეს.

ნელსონის 11-წლიანი პროგრამა

NBA

„**დალას მავერიქსისთვის**“ სეზონი რეგულარულ ჩემპიონატთან ერთად დამთავრდა. გუნდი ვერ მოხვდა პლეი ოფში, მაგრამ სეზონი მაინც ნაყოფიერი გამოდგა, რადგან „მავერიქსმა“ რეგულარული ჩემპიონატი 40 გამარჯვებით და 42 მარცხით დაასრულა, რაც კლუბისთვის საუკეთესო შედეგია ბოლო ათი წლის განმავლობაში. ამაგი დაუფასდა გუნდის მთავარ მწვრთნელსა და გენერალურ მენეჯერ დონ ნელსონს. კლუბმა მას ახალი თერთმეტწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომელსაც ნელსონმა სიამოვნებით მოაწერა ხელი. ამ თერთმეტი წლიდან პირველი სამის განმავლობაში იგი კვლავ დარჩება თავის პოსტებზე, ესე იგი, მწვრთნელობას და მენეჯერობას შეითავსებს. მომდევნო სამი სეზონი იგი მხოლოდ იმენეჯერებს, კონტრაქტით დარჩენილ ხუთ წელიწადს კონსულტანტობაში გალევს. „ნელსონი დიადი მწვრთნელია და რაც უფრო დიდხანს შევინარჩუნებთ, მით უკეთესი ჩვენთვის“ — თქვა „მავერიქსის“ მფლობელმა მარკ კუბანიმ.

ნელსონი ახლა 60 წლისაა და ზურგსუკან 22-წლიანი სამწვრთნელო კარიერა აქვს. ამ ხნის განმავლობაში ნელსონის თავკაცობით მისმა გუნდებმა 926 გამარჯვება იზეიმეს და 752 მარცი იწვნიეს. ნელსონი სამჯერ გახდა სეზონის საუკეთესო მწვრთნელი.

ევროპული კლუბების ელიტამ ფიბა-ს ომი გამოუცხადა

ევროპის საკლუბო კალათბურთში რევოლუცია მზადდება. უფრო სწორად, რევოლუცია უკვე მოხდა და ყველა მოსალოდნელი ომის მოლოდინშია. ევროპის 19 კლუბის წარმომადგენლები ბარსელონაში შეიკრიბნენ და „ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირი“ ჩამოაყალიბეს. შემდეგ კი ახალშექმნილმა კავშირმა გამოაცხადა: სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფიბა) გავდიართ და ალტერნატიულ საკლუბო შეჯიბრებას ჩავატარებთ, რომელიც მეტ მოგებას მოგვიტანსო.

მიხვდებოდით, რომ ამბოხებულთა უმყოფილების მიზეზი ფულია. კლუბები არ ეთანხმებიან ფიბა-ს ერთ გადაწყვეტილებას. ამ ორგანიზაციამ სუპროლიგის 2000-2001 წლების გათამაშების ტელეტრანსლაციის უფლებები შვეიცარიულ კომპანია ISL-ს მიჰყიდა. სუპროლიგის მონაწილე გუნდებს ამ თანხიდან მეტად მცირე წილი ერგებათ. ცხადია, მათ ფული ეცოტავებათ, თან ამბობენ: ჩვენ-ჩვენს ქვეყნებში რამდენიმე ტელეკომპანია გაცილებით მეტს გვიხდისო. ამიტომაც, აღარ გვინდა ფიბა-ს ეგიდით თამაში, ჩვენ თავს ჩვენ თვითონვე მოვუვლითო.

„ბარსელონა“, „რეალი“, „ესტუდიანტესი“, „კახა სან ფერნანდო“, „ტაუ“ (სპანეთი), „ოლიმპიაკოსი“, „პანათინაიკოსი“, აეკ, პაოკ, „პერისტერი“ (საბერძნეთი), „კინდერი“, „ფორტიტუდო“, „ვარეზე“, „ბენეტონი“ (იტალია), „ოლიმპია“ (სლოვენია), „უალგირისი“ (ლიტვა), „ლონდონ თაუერზი“ (ინგლისი) — აი ის კლუბები, რომელთაც ფიბა-დან გასვლა განუზრახავთ. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ გერმანიის „ალბას“ და საფრანგეთის „ლიმოჟის“ წარმომადგენლები, მაგრამ კავშირში არ გაწევრიანდნენ. ფრანგულ „ვილერბანნა“ და „პო ორტეზს“ ჯერ არ გადაუწყვეტიათ შეუერთდნენ თუ არა ამბოხებულებს. თურქული კლუბების ბედი კი გარკვეულია — ისინი ფიბა-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში ითამაშებენ, რადგან ევროტიტულის მოგება ამ გზით გაცილებით იოლი იქნება.

„ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირის“ უგულებელყოფა არ შეიძლება: თუნდაც მასში გაწევრიანებულ გუნდებს გადავხედოთ. ცხადია, ფიბა-ს საპასუხო ნაბიჯის გადადგმა მოუწევს. ჯერჯერობით ეს კონსერვატორობით განთქმული ორგანიზაცია დუმს. ისე, წესით, ფიბა გარკვეულ კომპრომისებზე უნდა წავიდეს, თორემ სუპროლიგის ზემოაღნიშნული კლუბების გარეშე არსებობა ცალკე ამ ტურნირის, ცალკე კი სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ავტორიტეტს მთლად მიწასთან გაასწორებს.

სუპროლიგა ოცდაორამდე შეივსო

ევროპის ქვეყნებში საკალათბურთო სეზონის დასრულებასთან ერთად გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებსაც უფლება აქვთ ითამაშონ 2000-2001 წლების სუპროლიგაში. ჯერჯერობით ცნობილია 22 გუნდი. ორ დამატებით „უაილდ ქარდს“ კი სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა) ივნისის შუაწელში გასცემს. ამჟამად კი სუპროლიგაში თამაში გარანტირებული აქვთ:

საბერძნეთი (3): პანათინაიკოსი, პაოკ, ოლიმპიაკოსი
იტალია (3): ფორტიტუდო, ბენეტონი, კინდერი
ლიტვა (3): ლიეტუვოს რიტასი, ჟალგირისი, შიაულიაი
ესპანეთი (2): ბარსელონა, რეალი
ისრაელი (2): მაკაბი (თელ ავივი), მაკაბი (რაანანა)
ხორვატია (2): ციბონა, ზადარი
საფრანგეთი (1): ლიმოჟი
თურქეთი (1): თოფაში
იუგოსლავია (1): ბუდუჩნოსტი
რუსეთი (1): ცსკა
გერმანია (1): ალბა ბერლინი
პოლონეთი (1): ცეპტერი
სლოვენია (1): კრკა

ფინიქსური ამბები

კიდი ერთი წლით დარჩა. ჰარდევეიმ ოპერაცია გაიკეთა

„ფინიქს სანზის“ გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა ორი დღის წინ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კიდის ძველ ხელშეკრულებას ამ დღეებში გასდიოდა ვადა. როგორც ჩანს, მას მოსწონს „ფინიქსში“ ყოფნა, არც კლუბია წინააღმდეგი და ამიტომ კვლავაც გაახანგრძლივეს ურთიერთობა. რამდენს მიიღებს „ფინიქსის“ ლიდერი ამ ერთი წლის განმავლობაში, ოკეანის გაღმიდან არ იტყობინებიან.

ბუნებრივია, კლუბს უფრო ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება სურდა. კიდის დარი მოთამაშეები ნბა-ში ბევრი არაა. ხელმძღვანელობას უნდოდა, კიდის გაწეული ამაგი დაეფასებინა, თან მრავალწლიანი კონტრაქტით „ფინიქსიც“ უფრო იხეირებდა, მაგრამ ეს თავად კიდმა არ ისურვა. „ჯეისონი ჩვენი ბიჭია და არსად გავუშვებთ, თუ თვითონ არ მოისურვა სხვაგან თამაში. ამ პლეი ოფის შემდეგ მის მიმართ ყველას მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის“ — ამბობს გუნდის მწვრთნელი სკოტ სკაილზი, რომელიც თავად კიდის ამპლუის მოთამაშე გახლდათ და მშვენივრად იცის კარგი გამთამაშებლის ფასი. სკაილზი კიდს იმაში ემადლიერება, რომ მან წლევანდელ პლეი ოფში ფაქტობრივად ტრავმიანმა ითამაშა და არც „სან ანტონიოსთან“ და არც „ლეიკერსთან“ თავი არ დაუზოგავს. თამაშში საშუალოდ გაკეთებული 13,6 ქულა, 9,3 პასი და 6,2 მოხსნა კარგად დაეხმარა „ფინიქსს“ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ პლეი ოფის პირველივე წრიდან გამოთიშვაში.

იმ დროს, როცა კიდი კლუბთან კონტრაქტს ანახლებდა, მისი თანაგუნდელი, უკანახაზში მეწყვილე ანფერნი ჰარდევეი მუხლის ოპერაციას იკეთებდა. „ფინიქსი“ კიდზე ნაკლებად არც ჰარდევეის უყვარს და საკუთარი გუნდის წარმატებისთვის მანაც არანაკლებ დადო თავი. პლეი ოფის პირველივე მატჩში „სან ანტონიოსთან“ ჰარდევეიმ მუხლის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ მის გართულებას არ მოერიდა და ყველა მომდევნო მატჩში მიღო მონაწილეობა. საბოლოოდ, პლეი ოფის ცხრა თამაშის შემდეგ ჰარდევეის სტატისტიკა, მის მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ფანტასტიურად გამოიყურება — მატჩში საშუალოდ 20,3 ქულა, 5,8 მოხსნა და 4,2 შედეგიანი გადაცემა. ტრავმის არად ჩაგდება ჰარდევეის ოპერაციად დაუჯდა. ექიმის თქმით, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ჰარდევეი მომავალი სეზონის საწვრთნელ ბანაკებს სრულიად ჯანმრთელი შეხვდება.

კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

ლოგიკა სადღაა?

დასავლეთი

30 მაისი

ლეიკერსი	3
პორტლენდი	2

ლეიკერსი 88:96 პორტლენდი

ლეიკერსი: ჰარპერი (14), ბრაიანტი (17), რაისი (4), გრინი, შ. ონილი (31 ქულა, 21 მოხსნა); ფიშერი (10), ჰორი (7), ფოქსი (3), შოუ (2), სეილი

პორტლენდი: სტუდემაიერი (2), სმიტი (13), პიპენი (22), ვოლესი (22 ქულა, 10 მოხსნა), საბონისი (12); შრემპფი (9), გრანტი (9), ველსი (5), ჯ. ონილი (2), ენტონი



ლეიკერსელმა შაკილ ონილმა (მარცხნივ) არვიდას საბონისს აჯობა

REUTERS ლოს ანჯელესიდან

დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერია, ცოტა არ იყოს, უცნაურად და ალგიკურად წარიმართა. მოვლენების ამგვარი განვითარება მოულოდნელიცაა. აქ არ იგულისხმება სერიაში საერთო ანგარიში. აქ გასაკვირი არაფერია. თავად განსაჯეთ, „ლეიკერსმა“ სერიის მეორე მატჩი შინ პირწმინდად, 29 ქულის სხვაობით წააგო, შემდგომ „პორტლენდში“ ორივე თამაში მოიგო და სერიაში 3:1 დაწინაურდა. და აი, ფილ ჯეკსონის ბიჭები კვლავ უმიზეზოდ მარცხდებიან შინაურ კედლებში, ზედიზედ მეორედ, მაშინ, როცა სანამ „პორტლენდს“ გადაეყრებოდნენ, „სტეიპლზ სენთერში“, „ფინიქსსა“ და „საკრამენტოსაც“ ყველა შეხვედრა იოლად მოუგეს. თუ „პორტლენდი“ „ლეიკერსზე“ ძლიერი გუნდია, მაშინ რას უნდა მივაწეროთ მისი ორი წაგება შინ. ერთი სიტყვით, დაგვეთანხმებით, აქ ლოგიკა მართლაც ძნელი საპოვნელია.

ამ შეხვედრაში „პორტლენდმა“ იოლი გამარჯვება იზეიმა და ფინალში თამაშის შანსიც შეინარჩუნა. აქ გუნდებს შორის რვაქულიანმა სხვაობამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ეს სხვაობა 16 ქულა გახლდათ და სტუმრებმა მხოლოდ ძალები დაზოგეს მომავალი თამაშისთვის (ან თამაშებისთვის). თუმცა შინ კვლავ დამარცხების შემდეგ „ლეიკერსის“ მწვრთნელი ფილ ჯეკსონი ფიქრობს, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ ფინალში ნაადრევად მოხვედრის შანსი გაუშვეს ხელიდან: „არც ისე ცუდია, რომ წავაგეთ. ზედმეტი თამაშის გამართვა მოგვიწევს და ეს ჩვენ მხოლოდ ხელს გვაძლევს. გუნდი უფრო შეთამაშდება და გამოიწრთობა, რაც ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია. „ლეიკერსი“ ბევრს იდეალურ გუნდად წარმოუდგენია. ეს კი სულაც არაა ასე. იდეალურ გუნდამდე ჩვენ ძალიან ბევრი გვაკლია. ბიჭებს არა აქვთ საკმარისი გამოცდილება. ჯობს „პორტლენდთან“ ექვსი-შვიდი თამაში გამართო, ვიდრე მას ოთხივე მოუგო და მერე ფინალში ოთხ თამაშში დამარცხდე“ — ვის ვის და ფილ ჯეკსონს კი ვერავინ შეედავება „ლეიკერსის“ დონეზე, გამოცდილებაზე და სხვა ამგვარ რამეებზე. „ჩიკაგოშიც“ ასე იყო, მისმა შეგირდებმა რამდენჯერაც ფინალში ითამაშეს, იმდენჯერ გაჩემპიონდნენ. მასთან არც არავინ დავობს. უბრალოდ, გულშემატკივრები ვერ მალავენ გულისწყრომას, ისინი ხომ ფაქტობრივად თავიანთი გუნდის უმიზეზო დამარცხებების სანახავად მიდიან „სტეიპლზ სენთერში“.

„ლეიკერსი“ რომ ნამდვილად არაა იდეალური გუნდი, ეს ამ თამაშშიც ნათლად გამოჩნდა. მასპინძელთაგან იმ დღეს ყველაზე რიგიანად ისევ და ისევ შაკილ ონილი ირჯებოდა, რომელმაც ქულები და მოხსნები ბლომად მიითვალა და მეურვეებს — საბონისს, გრანტს თუ მოგვარე ჯერმენ ონილს პერსონალურები ბლომად ჩამოურიგა, მაგრამ აწყობილ პროტლენდურ მანქანასთან მარტო ვერას გახდა.

„მანქანას“ კი მოედანზე უნარიანად მართავდა ვეტერანი, 34 წლის სკოტი პიპენი, რომელიც იმ დღეს ყველას სჯობდა. მან უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია და „ლეიკერსთან“ სერიაში „პორტლენდს“ ლიდერად მოევლინა. ამ თამაშში პიპენის დამსახურებას მშვენივრად აჩვენებს სტატისტიკა. გარდა შეტევაში შედეგიანობისა, პიპენმა კიდევ უფრო უკეთ ითამაშა დაცვაში. მის ანგარიშზე ექვსი ჩაჭრა და ოთხი დაფარება მოდის. იგი მასპინძელთა მეორე ლიდერს, კობი ბრაიანტს მეურვეობდა და საშინელ დღეშიც ჩაგდო. პორტლენდელმა „ლეიკერსის“ ყმაწვილ სუპერვარსკვლავს რამდენჯერმე იოლად მოჰპარა ბურთი, თითქოს ამით ეუბნებოდა, ჯერ ისევ ბავშვი ხარ და გაზრდამდე ბევრი გიკლიაო. საბოლოოდ ბრაიანტმა 17 ქულა კი მიითვალა, მაგრამ ამის საპირისპიროდ ცამეტი სროლიდან ცხრა აცილა, ექვსჯერ ბურთიც დაკარგა და ექვსი პერსონალურით თამაშიც ნაადრევად დატოვა. პიპენის მხარდამხარ რიგიანად ირჯებოდა ყიამყრალი რაშიდ ვოლესი, რომელმაც ჩვეულებას არც ამჯერად უღალატა და მსაჯთან კამათის გამო კუთვნილი ტექნიკური მიიღო.

აღსანიშნავია, რომ პიპენსა და „ჩიკაგოში“ მის ყოფილ მწვრთნელ ფილ ჯეკსონს შორის შავმა კატამ გაირბინა. წინა თამაშის შემდეგ, რომელშიც პიპენმა ლეიკერსელ ჯონ სეილის თავში წამოარტყა, ჯეკსონმა უკმაყოფილება გამოთქვა, პიპენის ათი ათასით დაჯარიმება საკმარისი არ არის, ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციაც უნდა მიეცათო. ამ თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ეს პიპენს შეახსენა. ამაზე პორტლენდელს გული მოუვიდა, აღელდა და მიუგო, ფილი ჩემი მწვრთნელი აღარ არის, სულ არ მაინტერესებს, რას იტყვისო და გაბრაზებულმა მაშინვე დატოვა პრესკონფერენცია.



პორტლენდელი სკოტი პიპენი რონ ჰარპერს მიაჯდა

REUTERS ლოს ანჯელესიდან

სერიის მეექვსე თამაშს ორ ივნისს „პორტლენდი“ უმასპინძლებს.

ირაკლი ფირაზვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფშრცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე შუშაობს

ნორვეგია

რუსენბორგი	10	7	2	1	22:8	23	2	2	1	11:7	5	0	0	11:1
ბრანი	10	6	2	2	23:16	20	4	1	0	11:2	2	1	2	12:14
მოლდე	10	5	5	0	19:13	20	3	2	0	10:7	2	3	0	9:6
სტაბეკი	10	5	2	3	22:9	17	4	0	1	16:4	1	2	2	6:5
ვიკინგი	10	5	2	3	20:14	17	3	1	1	10:3	2	1	2	10:11
ოდ გრენლანდი	10	4	2	4	15:13	14	4	0	1	13:6	0	2	3	2:7
მოსი	10	3	4	3	11:11	13	2	3	0	7:2	1	1	3	4:9
ბოდიო გლიმტი	9	3	3	3	14:19	12	2	2	1	9:8	1	1	2	5:11
ტრომსიო	10	3	3	4	15:21	12	3	1	1	10:7	0	2	3	5:14
ლილესტრიომი	9	2	5	2	10:8	11	1	2	1	6:4	1	3	1	4:4
ჰაუგესუნდი	10	3	1	6	16:26	10	2	1	2	9:11	1	0	4	7:15
ვოლერენგა	10	2	3	5	14:16	9	2	2	1	9:5	0	1	4	5:11
ბრინი	10	2	2	6	12:21	8	2	0	3	8:10	0	2	3	4:11
სტარტი	10	0	2	8	7:25	2	0	2	3	5:10	0	0	5	2:15

შვედეთი

ჰალმსტადი	8	6	0	2	16:6	18	2	0	2	5:2	4	0	0	11:4
აიკ	8	5	1	2	9:8	16	2	1	0	3:1	3	0	2	6:7
გიოტებორგი	8	4	3	1	14:7	15	3	1	0	9:3	1	2	1	5:4
ჰელსინგბორგი	8	4	2	2	10:7	14	1	2	1	4:3	3	0	1	6:4
ჰამარბი	8	4	1	3	8:8	13	2	0	2	5:6	2	1	1	3:2
იორებრო	8	3	3	2	14:11	12	2	1	1	8:3	1	2	1	6:8
იორგრიტე	8	4	0	4	8:10	12	2	0	2	4:4	2	0	2	4:6
ნორჩიოპინგი	8	3	2	3	11:9	11	2	0	2	6:3	1	2	1	5:6
სუნდსვალი	8	3	2	3	10:11	11	1	1	2	6:8	2	1	1	4:3
ტრელებორგი	8	3	1	4	7:7	10	1	1	2	4:5	2	0	2	3:2
ელფსბორგი	8	3	0	5	11:11	9	2	0	2	8:6	1	0	3	3:5
ჰაკენი	8	1	3	4	10:16	6	1	0	3	7:11	0	3	1	3:5
ფრიოლუნდა	8	1	2	5	4:14	5	1	1	2	1:2	0	1	3	3:12
გაის	8	0	4	4	6:13	4	0	4	1	5:6	0	0	3	1:7

ავსტრია

ტიროლი	36	24	5	7	54:30	77	15	2	1	31:7	9	3	6	23:23
შტურმი	36	22	8	6	77:32	74	14	2	2	53:16	8	6	4	24:16
რაპიდი	36	20	6	10	59:29	66	13	2	3	38:11	7	4	7	21:18
აუსტრია	36	16	6	14	49:44	54	11	1	6	31:23	5	5	8	18:21
რიდი	36	15	8	13	56:39	53	11	3	4	36:14	4	5	9	20:25
ზალცბურგი	36	12	10	14	39:45	46	9	5	4	25:14	3	5	10	14:31
გრაცერი	36	12	6	18	41:62	42	8	4	6	23:22	4	2	12	18:40
ლინცერი	36	10	9	17	41:49	39	6	6	6	26:19	4	3	11	15:30
ბრეგენცი	36	10	5	21	39:73	35	5	5	8	19:29	5	0	13	20:44
ლუსტენაუ	36	4	7	25	22:74	19	3	5	10	14:26	1	2	15	8:48

დანია

ჰერფიოლგე	33	16	8	9	52:49	56	10	4	3	35:23	6	4	6	17:26
ბრონდბიუ	33	15	9	9	56:37	54	12	4	1	39:12	3	5	8	17:25
აკადემისკი	33	14	10	9	52:35	52	7	5	5	30:18	7	5	4	22:17
ვიბორგი	33	15	7	11	56:50	52	7	5	4	30:22	8	2	7	26:28
ოლბორგი	33	12	13	8	57:40	49	9	4	4	36:17	3	9	4	21:23
სილკებორგი	33	13	10	10	49:33	49	9	6	1	26:9	4	4	9	23:24
ლიუნგბიუ	33	14	5	14	51:55	47	9	1	7	33:26	5	4	7	18:29
კოპენჰაგენი	33	12	8	13	44:37	44	8	3	5	23:17	4	5	8	21:20
ოდენსე	33	11	10	12	42:44	43	4	6	6	20:24	7	4	6	22:20
ორპუსი	33	9	9	15	37:56	36	7	4	5	25:24	2	5	10	12:32
ვაილე	33	7	11	15	38:68	32	4	6	7	21:32	3	5	8	17:36
ესბიერგი	33	8	4	21	41:71	28	4	4	8	15:18	4	0	13	26:53

პოლონეთი

პოლონია	30	20	5	5	56:25	65	12	2	1	33:7	8	3	4	23:18
ვისლა	30	16	8	6	64:38	56	11	3	1	40:14	5	5	5	24:24
რუხი	30	15	10	5	53:32	55	9	4	2	32:15	6	6	3	21:17
ლეგია	30	14	10	6	53:34	52	8	5	2	30:14	6	5	4	23:20
ზაგლებე	30	12	9	9	42:37	45	11	3	1	30:14	1	6	8	12:23
ამიცა	30	11	11	8	43:37	44	7	5	3	23:16	4	6	5	20:21
ვიძევი	30	11	7	12	48:54	40	7	5	3	30:25	4	2	9	18:29
ოდრა	30	10	7	13	34:38	37	6	4	5	22:19	4	3	8	12:19
რაძიონკოვი	30	11	4	15	38:48	37	10	1	4	24:13	1	3	11	14:35
სტომილი	30	8	13	9	33:43	37	6	9	0	20:12	2	4	9	13:31
გროცლინი	30	11	3	16	29:46	36	7	1	7	17:19	4	2	9	12:27
პოგონი	30	8	10	12	42:53	34	6	4	5	23:21	2	6	7	19:32
პლოცკი	30	9	7	14	35:48	34	7	6	2	19:12	2	1	12	16:36
გურნიკი	30	8	8	14	42:41	32	6	3	6	25:17	2	5	8	17:24
ლკს	30	7	7	16	28:42	28	7	4	4	24:20	0	3	12	4:22
ლეხი	30	6	7	17	34:57	25	5	4	6	22:21	1	3	11	12:36

რუსეთი

სპარტაკი	10	9	1	0	23:5	28	5	1	0	11:3	4	0	0	12:2
ლოკომოტივი	10	7	2	1	12:4	23	5	0	1	6:3	2	2	0	6:1
ტორპედო	10	6	3	1	13:5	21	3	1	0	7:2	3	2	1	6:3
ანჟი	11	6	2	3	14:8	20	4	1	0	8:1	2	1	3	6:7
ჩერნომორეცი	10	5	3	2	15:4	18	3	0	1	9:3	2	3	1	6:1
დინამო	10	5	2	3	8:8	17	3	2	0	5:0	2	0	3	3:8
როსტსელმაში	11	2	6	3	7:7	12	1	2	2	3:3	1	4	1	4:4
კრილია	10	4	0	6	11:14	12	4	0	2	9:6	0	0	4	2:8
სატურნი	10	3	3	4	8:11	12	2	2	0	4:1	1	1	4	4:10
ზენიტი	11	3	3	5	7:11	12	2	2	1	3:1	1	1	4	4:10
როტორი	10	3	3	4	11:19	12	2	1	3	7:14	1	2	1	4:5
ფაკელი	10	2	5	3	12:17	11	2	4	0	10:8	0	1	3	2:9
ცსკა	10	2	2	6	7:13	8	1	2	2	5:7	1	0	4	2:6
ალანია	10	2	2	6	8:15	8	2	1	2	5:5	0	1	4	3:10
ურალანი	10	1	2	7	8:15	5	1	1	3	5:7	0	1	4	3:8
ნ. ნოვგოროდი	11	0	5	6	5:13	5	0	2	3	2:6	0	3	3	3:7

იტალია, სერია B

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
ვიჩენცა	36	19	7	10	65:41	64	15	2	1	44:14	4	5	9	21:27
ნაპოლი	36	16	12	8	53:41	60	11	6	1	32:14	5	6	7	21:27
ატალანტა	36	16	11	9	48:32	59	12	4	2	34:15	4	7	7	14:17
ბრეშა	36	15	14	7	51:36	59	10	5	3	30:12	5	9	4	21:24
სამპდორია	36	15	11	10	40:37	56	9	6	3	24:17	6	5	7	16:20
სალერნიტანა	36	14	10	12	54:52	52	11	5	2	36:18	3	5	10	18:34
ჯენოა	36	14	9	13	45:39	51	11	5	2	32:16	3	4	11	13:23
რავენა	36	11	15	10	38:34	48	9	7	2	22:9	2	8	8	16:25
ტრევიზო	36	12	12	12	48:45	48	11	6	1	35:17	1	6	11	13:28
ემპოლი	36	12	12	12	38:49	48	12	4	2	27:18	0	8	10	11:31
პესკარა	36	10	16	10	57:48	46	8	6	4	35:19	2	10	6	22:29
კოზენცა	36	11	13	12	31:36	46	10	5	3	19:10	1	8	9	12:26
კიევო	36	10	14	12	44:48	44	7	9	2	26:19	3	5	10	18:29
ჩეზენა	36	8	19	9	43:41	43	7	11	0	27:13	1	8	9	16:28
მონცა	36	8	19	9	40:42	43	6	12	0	21:13	2	7	9	19:29
ტერნანა	36	9	16	11	41:46	43	6	10	2	25:19	3	6	9	16:27
პისტოიეზე	36	12	10	14	37:41	42	10	5	3	21:12	2	5	11	16:29
ალძანო	36	9	12	15	33:46	39	8	5	5	23:23	1	7	10	10:23
სავოია	36	6	11	19	33:57	29	5	8	5	19:19	1	3	14	14:38
ფერმანა	36	6	11	19	34:62	29	6	6	6	21:23	0	5	13	13:39

გერმანია, მეორე ბუნდესლიგა

კიოლნი	34	19	8	7	68:39	65	12	4	1	46:15	7	4	6	22:24
ბოხუმი	34	18	7	9	67:48	61	11	1	5	41:24	7	6	4	26:24
კოტბუსი	34	18	4	12	62:42	58	13	2	2	40:17	5	2	10	22:25
ნიურნბერგი	34	15	10	9	54:46	55	11	5	1	36:18	4	5	8	18:28
გლადბახი	34	14	12	8	60:43	54	11	3	3	39:17	3	9	5	21:26
ობერჰაუზენი	34	12	13	9	43:34	49	9	6	2	28:15	3	7	7	15:19
ფიურტი	34	10	16	8	40:39	46	4	11	2	13:8	6	5	6	27:31
ალემანია	34	12	10	12	46:54	46	8	5	4	28:18	4	5	8	18:36
მაინცი	34	11	12	11	41:42	45	8	8	1	24:10	3	4	10	17:32
ჰანოვერი	34	12	8	14	56:56	44	7	5	5	34:29	5	3	9	22:27
ქემნიცი	34	11	10	13	42:49	43	7	7	3	30:20	4	3	10	12:29
ვალდჰოფი	34	10	12	12	50:56	42	9	5	3	35:26	1	7	9	15:30
ბერლინი	34	10	10	14	42:50	40	8	4	5	25:22	2	6	9	17:28
ზტ. პაული	34	8	15	11	37:45	39	4	10	3	15:15	4	5	8	22:30
კიკერსი	34	10	9	15	49:58	39	9	3	5	29:26	1	6	10	20:32
ფორტუნა	34	8	11	15	38:50	35	6	6	5	24:20	2	5	10	14:30
ოფენბახი	34	8	11	15	35:58	35	7	3	7	21:25	1	8	8	14:33
კარლსრუე	34	5	12	17	35:56	27	3	7	7	13:19	2	5	10	22:37

ესპანეთი, მეორე დივიზიონი

ლას პალმასი	41	19	12	10	58:40	69	10	6	4	30:16	9	6	6	28:24
ვილიარეალი	41	18	12	11	61:45	66	10	7	4	28:19	8	5	7	33:26
ოსასუნა	41	19	7	15	48:35	64	12	3	5	29:11	7	4	10	19:24
სალამანკა	41	17	12	12	52:42	63	10	5	5	29:18	7	7	7	23:24
მერიდა	41	16	14	11	41:34	62	9	8	4	23:15	7	6	7	18:19
ლევანტე	41	16	13	12	54:50	61	13	6	2	36:14	3	7	10	18:36
ლეედა	41	17	9	15	61:50	60	11	5	4	36:18	6	4	11	25:32
ესტრემადურა	41	16	12	13	47:45	60	12	7	1	31:11	4	5	12	16:34
სპორტინგი	41	17	8	16	53:48	59	10	4	7	30:22	7	4	9	23:26
ალბასეტე	41	15	14	12	51:52	59	9	7	4	26:20	6	7	8	25:32
ეიბარი	41	14	15	12	47:47	57	9	8	4	27:17	5	7	8	20:30
ლეგანესი	41	15	14	12	41:41	56	10	7	3	22:9	5	7	9	19:32
კორდობა	41	14	12	15	44:48	54	10	3	7	27:27	4	9	8	17:21
ელჩე	41	12	17	12	46:53	53	8	9	4	27:26	4	8	8	19:27
ტენერიფე	41	13	13	15	45:49	52	9	8	4	31:18	4	5	11	14:31
ბადახოსი	41	9	23	9	36:37	50	4	11	6	19:24	5	12	3	17:13
ატლეტიკო B	41	13	10	18	44:57	49	8	4	8	27:27	5	6	10	17:30
კომპოსტელა	41	10	18	13	49:52	48	7	7	6	29:23	3	11	7	20:29
უელვა	41	12	9	20	39:52	45	6	5	10	23:28	6	4	10	16:24
ხეტაფე	41	12	9	20	38:51	45	8	5	8	24:23	4	4	12	14:28
ლოგრონიესი	41	10	13	18	51:56	43	7	8	5	29:24	3	5	13	22:32
ტოლედო	41	9	10	22	32:54	37	6	5	10	20:25	3	5	12	12:29

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	34	30	2	2	86:18	92	16	1	0	54:9	14	1	2	32:9
პანათინაიკოსი	34	28	4	2	92:24	88	16	1	0	54:8	12	3	2	38:16
აეკ	34	20	6	8	69:39	66	13	0	4	41:16	7	6	4	28:23
ოფი	34	18	9	7	60:44	63	11	3	3	36:24	7	6	4	24:20
პაოკ	34	15	10	9	64:44	55	10	4	3	40:18	5	6	6	24:26
არისი	34	14	8	12	50:46	50	9	5	3	31:17	5	3	9	19:29
ირაკლისი	34	15	5	14	58:58	50	13	0	4	39:22	2	5	10	19:36
პანიონიოსი	34	14	3	17	50:63	45	8	3	6	27:24	6	0	11	23:39
კალამატა	34	12	8	14	41:57	44	6	8	3	22:16	6	0	11	19:41
ქსანტი	34	11	8	15	36:43	41	10	4	3	26:11	1	4	12	10:32
იონიკოსი	34	10	11	13	40:50	41	8	6	3	26:14	2	5	10	14:36
ეთნიკოსი	34	12	5	17	33:50	41	10	3	4	27:17	2	2	13	6:33
პანილიაკოსი	34	12	4	18	44:48	40	9	1	7	28:21	3	3	11	16:27
პანაჰაიკი	34	9	12	13	37:47	39	8	3	6	24:17	1	9	7	13:30
კავალა	34	8	6	20	33:66	30	7	3	7	21:28	1	3	13	12:38
პრუდეფტიკი	34	7	7	20	27:55	28	6	6	5	15:17	1	1	15	12:38
აპოლონი	34	6	6	22	30:59	24	4	4	9	19:27	2	2	13	11:32
ტრიკალა	34	5	6	23	35:74	21	3	5	9	20:29	2	1	14	15:45

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტენიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით; არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ეფუძნორების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა ინყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებ

ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲐ



მარსელო რიოსი

როლან გაროსი სამშაბათს უიმბლდონს უფრო ჰგავდა — კორტებზე გადაფარებული ბრეზენტი, მოქუფრული ცა, დაუსრულებელი თავსხმა და სრული მოწყენილობა.

1973 წლიდან პირველად მოხდა, რომ საფრანგეთის ღია პირველობაზე წვიმის გამო ერთი მატჩიც კი ვერ ჩატარდა — მაშინდელი წარღვნის დროს, კაცების ფინალი ნიკი პილიჩსა და ილიე ნასტასეს შორის კვირის ნაცვლად სამშაბათს დასრულდა.

მოსალოდნელი ცუდი ამინდის გამო ორგანიზატორებმა თავიდან ორი საათით გადაწიეს შეხვედრების დაწყების დრო, მერე — სამით, საღამოს კი ქალების ერთი-ორი მატჩის ჩატარების იმედადღა იყვნენ, მაგრამ როდესაც თბილისის დროით 9 საათზეც კი არ გამოაჭყიტა მზემ, ყველას შინ წასვლა ურჩიეს.

რა შეიძლება გააკეთო საჩოგბურთო ტურნირზე ჩოგბურთის გარეშე? ბევრი არაფერი. ყველაზე ერთგული გულშემატკივრები გმირულად ცდილობდნენ დატბორილ ტრიბუნებზე დარჩენას, ზოგიერთმა შერეკილმა ტალღის მოწყობაც კი სცადა, მაგრამ აქედან, ცხადია, ხეირიანი არაფერი გამოვიდა.

თავად მოთამაშეები მოწყენილად და უიმედოდ ელოდნენ კორტზე გასვლის ჯერს, უმეტესობა მუსიკის სმენით ან კარტის თამაშით ერთობოდა, ზოგიერთი იღბლიანი კი ჟურნალისტებმა პრესკონფერენციით დაასაქმეს.

„ასეთი საშინელი დაბადების დღე არასდეს მქონია, გაცილებით უკეთესს ველოდი. ვერც კი წარმოიდგენთ, ეს დაუსრულებელი ლოდინი როგორ გვიშლის ნერვებს — დაიჩივლა წლევანდელი კლასიფიკაციის ლიდერმა მაგნუს ნორმანმა, რომელიც 24 წლის გახდა — 1997-ში აქ პიტ სამპრასს მოუგე, აი, დაბადების დღეც იმას ერქვა.“

ყველაზე მეტად კი მაინც თავად საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორები დაზარალდნენ. მათ 22 ათასი მაყურებლისთვის ბილეთების საფასურის უკან დაბრუნება მოუხდათ. ზარალმა მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა.

ყველაფერ ამის შედეგად მეტად გადაიტვირთა ოთხშაბათის შეხვედრათა გრაფიკი. გუშინ პარიზში ერთბაშად 80 ერთეულების მატჩი უნდა გამართულიყო, რისთვისაც დამატებით 5 სავარჯიშო კორტის გამოყოფა გახდა აუცილებელი.

ცენტრალურ კორტზე პირველნი მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი და ბელგიელი დომინიკ ვან რუსტი გავიდნენ.

ამერიკელმა ორიოდ კვირის წინ რომში ზურგის ტრავმა მიიღო და ერთხანს როლან გაროსზე თამაშიც კი სათუოდ გაუხდა: „ექიმებმა ყველაფერი იღონეს, რომ საუკეთესოდ მოვემზადებინე, მაგრამ ეს დრო საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. კიდევ ერთი კვირა რომ მქონოდა, სულ სხვა იქნებოდა. დღეს თავს კარგად ვერ ვგრძნობდი.“

თავის მხრივ ვან რუსტსაც არანაკლები პრობლემები აწუხებდა. აპრილის დასაწყისში მას სიმსივნით დედა გარდაეცვალა, რამდენიმე კვირა ჩოგანს საერთოდ არ გაკარებია და სათამაშო პრაქტიკის დიდ ნაკლებობას განიცდიდა.

ბელგიელმა, რომელიც გუშინ 27 წლის გახდა, მატჩი მაინც მეტოქეზე უკეთ დაიწყო, დევენპორტს მოწოდება აართვა და შესამჩნევ უპირატესობასაც დაეუფლა.

ვან რუსტი სიმაღლით მხოლოდ 1,70 მეტრია და არც მხარბეჭიანობით ან კუნთებით გამოირჩევა, მაგრამ როგორღაც ბურთს ზორბა დევენპორტზე არანაკლები ძალითა და სიზუსტით ურტყამს. ბელგიელმა პირველ სეტში საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და ტაიბრეიკზე გამარჯვება მეტოქეს გადაულოცა, თუმცა გული არ გაუტეხავს და თამაში ჩვეული შეტევებით გააგრძელა.

დევენპორტს სულ უფრო უჭირდა კორტის კიდეებში მიმართული დარტყმების მისწრება, მალე ზურგიც წარმოსტკივდა და ექიმს უხმო საწამლოდ.

შესანიშნავი მიღებებისა და კარგად შენიღბული შემოკლებულების ხარჯზე ვან რუსტმა ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მესამე ხელის დასაწყისში უკვე თავად დასჭირდა სამედიცინო დახმარება — დაძაბულ შეხვედრებს გადაჩვეულს მარჯვენა ხელი ასტკივდა.

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბელგიელმა გაორკეცებული ენერგიით განაგრძო თამაში და ცხადი შეიქნა, რომ ამერიკელი დიდხანს ვეღარ გაძლებდა: „ვფიქრობდი, ხომ არ სჯობს, მატჩის გაგრძელებაზე უარი ვთქვა-მეთქი, მაგრამ ადრე ტრავმის გამო ეს არასოდეს გამიკეთებია და ამიტომაც გადავიფიქრე.“

გათამაშებების შესამოკლებლად ლინდსი ზედმეტად რისკავდა, ხშირად ცდებოდა და 2 საათზე ოდნავ მეტში პარიზმა კიდევ ერთი ფავორიტი დაკარგა — 6:7 (5:7), 6:4, 6:3 ვან რუსტის სასარგებლოდ.

ბელგიელმა მოგება მეტად ემოციურად აღნიშნა, სკამზე ჩამომჯდარმა ცოტა ისლუკუნა და მერე საჰაერო კოცნა უგზავნა ტრიბუნებს: „ყველაფერი იმის შედეგ, რაც ამ დღეებში მოხდა, ძნელი დასაჯერებელია... მინდა, მამაჩემს გადავეხვიო. ამ მოგებას ჩემს ოჯახს ვუძღვნი.“

რაც შეეხება დევენპორტს, ის ახლა შინ, კალიფორნიაში გაემგზავრება, რათა ზურგი დაასვენოს და უიმბლდონზე თავისი ტიტულის დასაცავად უკეთ მოემზადოს, თან კი ჟურნალისტებთან კეთილგანწყობისთვის მინიჭებული „ფორთოხლის ჯილდო“ მიაქვს: „ეს ერთადერთია, რაც პარიზიდან სახსოვრად დამრჩება, მაგრამ იმედია, ერთ დღეს აქედან მთავარ ჯილდოსაც გავაყოლებ ხელს.“

წაგო მსმედიისგან ათვალწუნებულმა ჩილელმა მარსელო რიოსმაც, რომელმაც ლიმნის ანტიპრიზის ზედიზედ სამჯერ მოპოვების შემდეგ წლეულს ეს „პატივი“ ევგენი კაფელნიკოვს გადაულოცა.

კიკინიანი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ტომი ჰაასთან 3:6, 2:6 აგებდა, როდესაც თამაშის გაგრძელება იუარა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ყველაფერი გააკეთა, რათა „ლიმნის პრიზი“ საგაისოდ ისევ დაებრუნებინა: „უკვე მესამედ გეუბნებით, საზარდული მტკიოდა-მეთქი. მე აქ მოსაგებად ჩამოვდივარ და არა ერთი მატჩის სათამაშოდ, ასე ასპარეზობას აზრი არ ჰქონდა... ვფიქრობ, ყველაფერი, რასაც ჟურნალისტები აკეთებენ, სრული სისულელეა.“

პირველი წრე. კაცები: ანდრე აგასი (1, აშშ) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 7:6 (9:7), 6:3, 6:4; მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) — ტიერი გუარდიოლა (საფრანგეთი) 6:4, 6:4, 6:0; სედრიკ პიოლინი (6, საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 4:6, 6:0, 4:0 — ტრავმა; ტომას ენქვისტი (7, შვედეთი) — კრისტოფ როშუე (ბელგია) 6:2, 6:0, 6:0; მარატ საფინი (12, რუსეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:7 (5:7), 6:1, 6:3, 6:2; დმიტრიკ ჰრბატი (13, სლოვაკეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2, 6:1; პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — ვჯანლუჯა პოცი (იტალია) 6:3, 6:1, 6:1; ერნან გუმი (არგენტინა) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:2, 4:6, 3:6, 6:3.

ქალები: ამანდა კუტცერი (9, სამხრეთ აფრიკა) — მორინ დრეიკი (კანადა) 6:4, 6:0; კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; ანა კურნიკოვა (14, რუსეთი) — ვანესა ვეები (კანადა) 6:4, 6:4; ბარბარა შეტი (16, ავსტრია) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — იანა კანდარი (გერმანია) 6:0, 6:3; აი სუგიამა (იაპონია) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 6:2, 3:6, 6:2.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

აწვიმდა როლან გაროსს

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

გრეგ რუზეცკი

საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს ორშაბათს როლან გაროსის ცენტრალურ კორტის გასახდელების მონახულებისას უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა.

პრეზიდენტს თავდაპირველად სამი ვარსკვლავი — ნიკოლას ლაპენტი, მარკ როსე და მაიკლ ჩანგი წარუდგინეს, საერთო ენა სწრაფად გამოინახა და მეგობრული საუბარიც გაჩაღდა.

რამდენიმე წუთში ჩოგბურთელთა ტრიოს კანადური წარმოშობის ინგლისელი გრეგ რუზეცკი შეუერთდა და უსიამოვნებაც მაშინ მოხდა: ზრდილობასთან, ეტყობა, მწყრალად მყოფმა მოთამაშემ პრეზიდენტს თქვენობის ნაცვლად შენობით დაუწყო ლაპარაკი.

შირაკმა ეს უმსგავსობა ცოტა ხანს ითმინა, მაგრამ როდესაც რუზეცკიმ ჰკითხა, ჩოგბურთით თავად თუ ერთობი, ცივად მიუგო, არა, არ ვთამაშობო და უკანმოუხედავად გავიდა გასახდელიდან.

* * *

შირაკს რუზეცკისთან ხელმეორედ შეხვედრა შესაძლოა აღარც მოუხდეს — ინგლისელი წლეულს როლან გაროსის პირველ წრეში სლავა დოსედელთან წაგებამ ისე გააღიზიანა, რომ განაცხადა, თიხნარზე აღარასოდეს ვითამაშებო.

„არ ვიცი, რა აზრი აქვს ამ ნელ საფარზე ცოდვილობას, ტყუილად ნერვებს ვიშლი. ამიერიდან სეზონის ამ ნაწილს საერთოდ გამოვტოვებ და პირდაპირ უიმბლდონისთვის დავიწყებ მზადებას“ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ინგლისელმა, რომელიც შარშან საფრანგეთის ღია პირველობის მერვედფინალისტი გახლდათ.

რუზეცკიმ ეს გადაწყვეტილება ცხელ გულზე, თიხნარზე წარუმატებელი კამპანიის შემდეგ მიიღო და მისი მწვრთნელი, სვენ გრიუნვალდი იმედს არ კარგავს, რომ შეგირდს აზრს შეაცვლევინებს.

„ეს უბრალოდ ემოციური რეაქცია იყო იმედგაცრუების გამო. გრეგი ამჟამად საძაგელ გუნებაზეა, მაგრამ უარესი აღარაფერი შეიძლება მოხდეს. ახლა ბალახის სეზონი დაიწყება და იქ მასთან შეხვედრას არავინ ისურვებს. ერთი-ორი მოგება და შეუჩერებელი გახდება“.

რუზეცკის თანაგრძნობა დევისის თასზე თანაგუნდელმა, მაგრამ არცთუ საუკეთესო მეგობარმა ტიმ ჰენმანმაც გამოუცხადა. „სავსებით მესმის, თუ როგორ გრძნობს ის ამ წუთში თავს. თიხნარზე თამაში ჩემთვისაც დიდი გამოწვევაა, ხშირად მისი დანახვაც კი არ მსურდა. ვფიქრობ, გრეგი ადრე თუ გვიან გადათქვამს“.

* * *

სად დაიკარგა ტომას მუსტერი? ამ კითხვაზე ხეირიანად პასუხს მის მშობლიურ ავსტრიაშიც კი ვერ გაგცემენ.

იყო დრო, როდესაც თიხნარზე დაუსრულებელი გამარჯვებათა სერიის, ამერიკელ კოლეგებთან კინკლაობისა და ჰერცოგინია სარა ფერგიუსონთან საეჭვოდ ახლო ურთიერთობის წყალობით, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის სახელი ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებს არ სცილდებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში ყველაფერი შეიცვალა.

შარშან როლან გაროსის პირველ წრეში დამარცხების შემდეგ მუსტერს აღარსად უთამაშია და რვა თვეა, ავსტრიაშიც აღარ გამოჩენილა.

ბუნებრივია, ბევრმა დაასკვნა, რომ ტომასმა ჩოგბურთს უგანა და ამიერიდან დამსახურებულ პენსიონერადაც შეიძლება ჩაითვალოსო, თუმც თავად ის სხვაგვარად ფიქრობს.

„რომ არ მოგატყუოთ, შარშან პარიზის შემდეგ სულ ათჯერ თუ ვითამაშე, მაგრამ მაინც არ ვიტყოდი, რომ დიდი სპორტიდან საბოლოოდ წავედი“ — განუცხადა ჟურნალისტებს მუსტერმა ამ რამდენიმე დღის წინ, როდესაც სენტ პოლტენის ტურნირს ესტუმრა.

„ეს პირველი საჩოგბურთო ტურნირია, რომელსაც ბოლო 12 თვის მანძილზე დავესწარი. საკუთარ სახეს სულაც არ ვმალავ, უბრალოდ, უნდა ვაღიარო, რომ ინტერესი გამიქრა“.

1995-ში მუსტერი „თიხნარის მეფედ“ აღიარეს და სავსებით დამსახურებულადაც: თებერვლიდან მოყოლებული ივნისის ჩათვლით, მან ზედიზედ 40 მატჩი (ბიორნ ბორგის რეკორდი 44-ია), მონტე კარლოს, რომისა და საფრანგეთის ღია პირველობებიც მოიგო. შეუდარებელი გამძლეობით გამორჩეული ავსტრიელი მეტოქეებს ბოლომდე ბრძოლის უნარითა და უდიდესი ნებისყოფით არანაკლებ თრგუნავდა, ვიდრე დიდი სისწრაფითა და უზუსტესი დარტყმებით.

ამ რამდენიმე წლის წინ მუსტერმა ავსტრალიურ ქუინსლენდში დიდი სახლი და მიწები შეიძინა და, ამჟამად უმეტეს დროს სწორედ მწვანე კონტინენტზე ატარებს.

წყნარი ცხოვრების წესი ავსტრიელს აშკარად მოსწონს: „მატჩების დროს პაექრობისა და შეჯიბრის შეგრძნება ცოტა მენატრება, მაგრამ მეტი არაფერზე მწყდება გული. მოგზაურობა, სასტუმროები და მთელი რუტინა კარგა ხანია, ამოძივიდა ყელში“.

ივლისში მუსტერი რამდენიმე საქველმოქმედო საჩვენებელ ტურნირზე აპირებს თამაშს, ოღონდ მანამდე ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი: „10 კილო მაინც თუ არ დავიკელი, მეეჭვება, კორტზე ხეირიანად მოძრაობა შევძლო“.

* * *

ის 23 წლისაა, მემარჯვენე, 1,87 მეტრი, 78 კილოგრამს იწონის და კლასიფიკაციაში მე-14 ადგილზეა.

ეს პარამეტრები შეიძლება კონკრეტულად ამჟამად მოთამაშე არც ერთ ჩოგბურთელს არ შეესაბამებოდეს, მაგრამ სტატისტიკოსების გამოთვლით, სწორედ ასე გამოიყურება საფრანგეთის ღია პირველობის ტიპური ჩემპიონი კაცი.

მცირე გამოკვლევა თავად როლან გაროსის ორგანიზატორებს ეკუთვნით, რომლებმაც მხედველობაში ბოლო 10 წლის მონაცემები მიიღეს.

ქალებს რაც შეეხება, აქ დეტალები კიდევ უფრო დაწვრილებითია: მაღალი, უფრო სწორად, მადმუაზელი 22 წლისაა, მემარჯვენეა და ორხელა ბექჰენდს ურტყამს, სიმაღლე — 1,74 მეტრი, წონა — 57 კგ. კლასიფიკაციით ის მესამეა და როლან გაროსზე გამარჯვებისთვის უკვე გაუსინჯავს გემო.

სერიალი შვიდკაცა: დასასრული

27-28 მაისს პარიზში შვიდკაცას მსოფლიო სერიის ბოლო ტურნირი გაიმართა და მასში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ჩვენები D ჯგუფში მოხვდნენ სამოასთან, ინგლისთან და სამხრეთ აფრიკასთან ერთად. სამწუხაროდ, „ბორჯღალოსნებმა“ სამივე მატჩი წააგეს (შესაბამისად 14:31, 19:31 და 0:45) და ფიალისთვისღა გააგრძელეს ბრძოლა. იქ მეოთხედფინალში ქართველებს ფრანგმა ბარბაროსებმა 24:14 მოუგეს და კლოდ სორელის შეგირდებისთვის შეჯიბრიც დასრულდა. დანარჩენ სამ ჯგუფში კი გუნდები ასე დაწყვილდნენ — A: ფიჯი, იაპონია, საფრანგეთი, ირლანდია; B: ახალი ზელანდია, აშშ, არგენტინა, მაროკო; C: ავსტრალია, შოტლანდია, კანადა, ფრანგი ბარბაროსები.

ტურნირის ფინალი არატრადიციული გამოდგა. ახალი ზელანდიის მეტოქე სამხრეთ აფრიკა იყო. ფიჯი კი მეოთხედფინალში დამარცხდა არგენტინასთან. „შავებს“ „ქურციკთა“ ძლევა არ გასჭირვებიათ და სერიის გამარჯვებულებიც შეიქნენ. ფიჯელები მათ 8 ქულით ჩამორჩნენ. უფრო დაწვრილებით ამ ტურნირის შესახებ უახლოეს დღეებში მოგითხრობთ.

გაგი გურული

მეოთხედფინალი

არგენტინა 35:21 ფიჯი

სამხრეთ აფრიკა 24:7 კანადა

ავსტრალია 26:21 ინგლისი

საფრანგეთი 0:19 ახალი ზელანდია

ნახევარფინალი

სამხრეთ აფრიკა 19:14 არგენტინა

ავსტრალია 7:26 ახალი ზელანდია

ფინალი

ახალი ზელანდია 69:10 სამხრეთ აფრიკა

28 მაისი, დუბლინი, ტესტ-მატჩი

ირლანდია 30:31 ბარბაროსები

ირლანდია: 4ლ — ჰორგანი, მეგსი, ბიშოპი, გ. ისტერბი; 2გ და 1ს — ჰამფრიზი

ბარბაროსები: 5ლ — ტერბლანში (სამხრეთ აფრიკა, 2), ლოგანი (შოტლანდია), პიჩოტი (არგენტინა), დელტონი (სამხრეთ აფრიკა); 3გ — ნ. ჯენკინსი (უელსი), ლოგანი, ლე რუ (სამხრეთ აფრიკა)

28 მაისი, ბუქარესტი

რუმინეთი 20:67 საფრანგეთი

რუმინეთი: 3ლ — სოლომიე, ბრეზოიანუ, მავტორინი; 1გ და 1ს — ვუჩეკი

საფრანგეთი: 10ლ — ლალანი, დომინისი (3), იბანესი (2), მერსერონი, ბენაზი, სუვერბი, ელისალდი; 7გ და 1ს — დუ-რთი

გასულ უქმეებზე ევროპაში ორი ტესტი გაიმართა. ერთი ირლანდიაში, მეორე რუმინეთში.

დუბლინში 32 ათასი მაყურებელი დაესწრო თავისიანების ბარბაროსებთან დაპირისპირებას. მატჩი ირლანდიის რაგბისა და ფეხბურთის კავშირის 125 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. შეხვედრა, რომელიც საზეიმო უნდა ყოფილიყო, ერთგვარ კოშმარად იქცა...

მასპინძელთა ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა, რადგან მისი რამდენიმე წევრი „მანსტერს“ ევროპის თასის ფინალში ეხმარებოდა ინგლისური „ნორტჰემპტონის“ წინააღმდეგ. ცოტა ხანში კი „სამყურებს“ ბრაიან ოდრისკოლი, ჯირვენ დემპსი და ჯერემი დევიდსონიც გამოაკლდნენ. ისინი დაშავდნენ და, სავარაუდოდ, ნაკრების ჩრდილო-სამხრეთამერიკულ ტურნეშიც ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ამ დანაკლისის მიუხედავად, შესვენებამდე ირლანდიელები მთელი თავით სჯობდნენ მოწინააღმდეგეს და ჰორგანის, ბიშოპისა და ისტერბის ლელოების წყალობით 20:10 იგებდნენ.

„ბარბაროსები“, რომელთაც ცნობილი ახალზელანდიელები — ლომუ და დოუდი, ავსტრალიელი ლითლი და უელსელი ჩარვისი (ძლიერთაგან დანარჩენების გვარებს ოქმში ამოიკითხავთ) ჰყავდათ, მეორე ტაიმში შეთამაშდნენ. მათი შეტევები უფრო გამწვავდა და მატჩის მიწურულს უკვე „სამყურები“ აღმოჩნდნენ მდევრის როლში. ბოლო წუთებზე ჰამფრიზს შეეძლო, თავისიანებისთვის მოგება მოეტანა, მაგრამ მან, ისევე, როგორც შარშან ხუთი ერის პირველობაზე ფრანგებთან, ეს შანსი ვერ გამოიყენა და ირლანდიელები მაშინდელივით ერთადერთი ქულით დამარცხდნენ. მათ მეორე ტაიმშიც დაკარგეს კაცი — შეცვლაზე შესული მერფი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს და ამერიკაში ვერ ... ქულით წაგება, მატჩში, რომელსაც ... ხანაგურს მხოლოდ პირობითად თ... უწოდებდა კაცი და ოთხი დაშავებული მორაგბე — კოშმარია, აბა, რა?!

ტრავმებისა და გადატვირთული კალენდრის გამო საფრანგეთის ნაკრებიც საკმაოდ გაახალგაზრდავებულ-გადახალისებული იყო. თუმცა, ამის მიუხედავად, მან რუმინეთს სარეკორდო რაოდენობის ქულები აართვა. შარშან „მამლებმა“ მეტოქე 62:8 დაამარცხეს. არადა, სტუმრები მატჩის წინ შეფიქრიანებულები იყვნენ — უძლიერესი შემადგენლობა არ ჰყავდათ, ამას ძლიერი სიცხეც დაემატა, რაც მათ ხელს სულაც არ აძლევდა. ამაოდ წუხდნენ ფრანგები, კარპატელებს დღეს ნამდვილად არ ძალუძთ უძლიერეს სარაგბო ნაკრებებთან ტოლ-სწორად პაექრობა.

მართალია, თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ ვუჩეკის საჯარიმოთი, მაგრამ სტუმრებმა უკვე საწყის 10 წუთში მოახერხეს რუმინელთა დალეწეება და მერეც არ დაუკლიათ ხელი. ერთი სიტყვით, ფრანგებმა სულ ნებანება გაიმარჯვეს, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს. „მამლები“ ზაფხულში ჩვენულებისამებრ ვეღარ გამართავენ ტურნეს სამხრეთ ნახევარსფეროში, რადგან მათი უსაშველოდ გაწელილი შიდა ჩემპიონატი მხოლოდ 15 ივლისს მთავრდება. შემდეგ ტესტს 4 ნოემბერს გამართავენ, როცა ავსტრალიას „სტადე დე ფრანსზე“ დაუხვდებიან. ერთ კვირაში იქვე ახალ ზელანდიასაც დუპირისპირდებიან, ვისთანაც 18 ნოემბერს მარსელშიც ითამაშებენ. აი, რუმინეთს კი კიდევ კარგა ხანს აღარ შეებრძოლებიან ფრანგები, ძალიან დასუსტდნენ კარპატელები და ასეთ მატჩებს ჩვენთვის ხეირი არ მოაქვსო. ევროპის ეროვნებათა თასის მფლობელები საფრანგეთის სათადარიგო ნაკრებს თუ გაეჯიბრებიან, რითაც რუმინელთა ახალზელანდიელი მწვრთნელი ჯონ ფილიპსი მეტად უკმაყოფილია: „რომ გვძლიერდეთ, სწორედ ასეთ გუნდებთან უნდა ვითამაშოთ. საქართველოსა და ესპანეთის ძლევა მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისია. დიდ გუნდებთან თუ არ ვიპაექრეთ, არაფერი გამოვა. ეს იგივეა, მარჯვენა ხელი რომ მომჭრათ და მერე მითხრათ, დაწერეთ“.

გაიოზ თალაკვაძე

ჰატრიკ, უფულო კაცი

ბრიტანელი პილოტი წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ხელმოცარული მონაწილეა — ექვს რბოლაში ჯერ ქულაც ვერ მოუპოვებია. ცხადია, ეს ვერაფერი თემაა წერილის მოსამზადებლად, თუმცა ჯონი ჰერბერტი მაინც მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში: ევროპის დიდი პრიზის წლევანდელი გათამაშება 35 წლის ვეტერანისთვის საიუბილეო, 150-ე რბოლა გამოდგა.

ეს რიგითი შედეგი არ გახლავთ და ფორმულის ტრასებზე სულ მცირე, ათწლიან ჯირითს ნიშნავს. ამ ზემაჩვენებლის მიღწევა ნახევარი საუკუნის განმავლობაში სტარტზე გამოსულ ექვსასამდე პილოტთაგან ერთეულებმა მოახერხეს — ყველაზე უხვრბოლიანთა საპატიო კლუბი ჰერბერტამდე მხოლოდ 15 წევრს ითვლიდა.

„ნიურბურგრინგზე“ თავის საიუბილეო, ისტორიულ რბოლაში ჯონის ურიგოდ არ უვლია — კარგა ხანს მის „იაგუარს“ მეშვიდე პოზიცია ეკავა და ჩასათვლელ ექვსეულში მოსახვედრადაც იბრძოდა, მაგრამ ფინიშამდე ხუთიოდე წრით ადრე, სველ ტრასაზე ალექსანდრ ვურცის „ბენეტონთან“ შეჯახების გამო ვერც ამჯერად მიაღწია მიზანს და კვლავ უქულოდ დარჩა.

ჯონი ჰერბერტი

ინგლისი

დაიბადა 1964 წლის 25 ივნისს ბრენტვუდში.

ცხოვრობს მონტე კარლოში

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

სიმაღლე 167 სმ, წონა 65 კგ.

უყვარს გოლფი და ვაშლის წვენი, აგროვებს მანქანების მოდელებს.

პირველი სტარტი — 1989 (ბრაზილიის დიდი პრიზი)

მოიგო სამი რბოლა: ბრიტანეთი — 1995, იტალია — 1995, ევროპა — 1999.

გუნდები: ბენეტონი, ტირელი, ლოტუსი, ლიჟიე, ზაუბერი, სტიუარტი (იაგუარი).

150 რბოლა, 7 პოდიუმი, 98 ქულა.

საყვარელი მრბოლი — ჟილ ვილნევი (კანადა)

საყვარელი ტრასა — სპა (ბელგია)

არადა, სეზონის წინ ბებრები — ჰერბერტიცა და მასზე ერთი წლით უმცროსი ირვინიც ფრიად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და „ფორდის“ მოდერნიზებულძრავიანი „იაგუარის“ ძალიანაც ეიმედებოდათ: ჯონი ექვსეულში შესვლას გეგმავდა, „ფერარიში“ შარშანდელი ფანტასტიკური შედეგით გათამამებული ირლანდიელი კი უფრო მაღლაც იყურებოდა. მაგრამ სულ მალე ამ ეიფორიისგან აღარაფერი შერჩათ — უკვე ჩემპიონატის მესამედი გაილია, ორივენი კი ჯერაც მუქთად დაჭრიან.

რა ძნელი მისახვედრია, რომ ასეთი სახიფათო ხელობის მიმდევარი არაერთხელ გადაეყრება ფათერაკს. ყველაზე მძიმე ავარია ჰერბერტს 1988 წელს, სამეფო რბოლებში დებიუტამდე რამდენიმე თვით ადრე, ფორმულა 3000-ის ჩემპიონატში ასპარეზობისას შეემთხვა. მართალია, ათბოლიდიან დომხალში დაღუპვას გადაურჩა, მაგრამ კარგა ხნით ჰოსპიტალში მოხვდა. ექიმებმა ორივე ფეხის გადამტვრეული ძვლების ზუსტად შესახორცებლად ძალღონე არ დაიშურეს, თუმცა მარჯვენა მაინც ოდნავ დაუმოკლდა.

ტრავმა ჯერ ხეირიანად არც მოშუშებოდა, რომ ფორმულა 1-ის ახალი სეზონის სტარტის დროც მოახლოვდა. სხვა მის ადგილზე, ალბათ, შეშინდებოდა და დებიუტს მცირე ხნით მაინც გადადებდა. ჯონიმ კი ყავარჯნები გადადო გვერდზე და საქმეს შეუდგა. რაგინდ გასაკვირიც უნდა ჩანდეს, პირველივე რბოლა მეტად შთამბეჭდავი გამოუვიდა და ფინიშთან მეოთხე მივიდა. მისდა საუბედუროდ, ამგვარ მრავლისშთქმელ დასაწყისს სასურველი გაგრძელება ვერ მოჰყვა — 24 წლის ჩია ინგლისელმა „ბენეტონში“ ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი. მიზეზი მისი უნიჭობა არ გამხდარა, პირიქით, ჯონის თავიდანვე ეტყობოდა ყველა ის თვისება, რაც აუცილებელია ავტოსპორტის მწვერვალების დასაპყრობად — სწრაფიც იყო, უშიშარიც და არც მანქანა ესმოდა სხვაზე ნაკლებად, მაგრამ საქმის გაჩარხვას ხშირად მარტო ეს სიკეთე არ ჰყოფნის. როგორც წესი, დამწყები პილოტები გუნდში ადგილს ყიდულობენ, რისთვისაც მათ მხარდამჭერ სპონსორებს სოლიდური თანხის გაღება უხდებათ. ჯონის უიღბლობის მთავარი მიზეზი სწორედ ქრონიკული უფულობა იყო. ამის გამო უწევდა გუნდიდან გუნდში წოწიალი და, მაშინ დაუმკვიდრდა ჩინებული მრბოლის სახელი, რომელსაც მუდამ არ უმართლებს.

თუმცა ერთხელ ჰერბერტსაც გაუღიმა ბედმა: 1994 წელს ისევ დაუმსახურა „ბენეტონში“, იმხანად საუკეთესო საჯინიბოში. ჯონისაც თავი არ შეურცხვენია — სწორედ მაშინ იგემა გამარჯვების გემოც, კარიერაში საუკეთესო, მეოთხე ადგილი დიაკავა და თავი 45 ქულით მიხაელ შუმახერთან ერთად ფლავიო ბრიატორეს საჯინიბოს პირველი და ერთადერთი კონსტრუქტორთა თასიც მოაგებინა. ეს იყო და ეს. შემდეგ მათი გზები გაიყარა — შუმი გაცოცხლებულმა „ფერარიმ“ მოისყიდა გაუგონარი, 40-მილიონიანი კონტრაქტით, ჯონი კი ჯაგლაგ „ზაუბერში“ აღმოჩნდა, რაც ფაქტობრივად, ისევ ულიმღამო შედეგებს მოასწავებდა. შარშან მორიგმა გადაბარგებამ, ამჯერად „სტიუარტში“, ოდნავ გამოუსწორა განწყობა — ერთი დიდი პრიზი და საბოლოოდ მერვე ადგილი თითქოს უკეთესი მომავლის იმედს იძლეოდა, მაგრამ... წლევანდელ შედეგებზე უკვე მოგახსენეთ.

რა დასამალია და ბრიტანელი პილოტი არასდროს განეკუთვნებოდა სამეფო რბოლების ელიტას. მიუხედავად იმისა, რომ მისი კარიერის დასაწყისში „ბენეტონის“ მენეჯერმა პიტერ კოლინზმა დებიუტანტის ტალანტი თვით ლეგენდარული ჯიმ კლარკისას შეადარა ბუნებით მოკრძალებული და ჯენტლმენი ჯონი ამგვარ შეფასებას, ცხადია, აშკარად გაზვიადებულად თვლის.

ჯონი ჰერბერტი, ფორმულის ყველაზე ტანმორჩილი და ყველაზე მრავალშვილიანი მრბოლი, ახლა შინ, მონტე კარლოშია და მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებისთვის ემზადება. ეინიცის, გართობის დედაქალაქის მიხეულ-მოხვეულ ქუჩებში კვირას გაჯირითება იქნებ მისთვის უკანასკნელიც აღმოჩნდეს, თუკი გაისად „იაგუარი“ შემცვლელს მოუძებნის, უკეთეს შემთხვევაში კი ალბათ სხვა, უფრო ჯაგლაგი ბოლიდის კოკპიტში დასრულებს კარიერას.

ირაკლი ნიკოლაძე

დროული ხელფასი ყველას უნდა



ფაბრიციო გიდიმ (მარჯვნივ) სტივენ დე იონგს წამის მეასედით აჯობა

„ლა ფრანსეზ დე ჟეო“, „ჯიროში“ მონაწილე ერთდადერთმა ფრანგულმა გუნდმა, როგორც იქნა, შეძლო გამარჯვება. თუმცა მისი წარმატება მაინც იტალიელმა გამოძერწა. ფაბრიციო გიდიმ მეთექვსმეტე ეტაპის ფინიშზე ჯგუფურ სპრინტში ყველას აჯობა.

Giro d'Italia 2000

სწორედ სპრინტით დამთავრდა „ჯიროს“ ყველაზე მოკლე ეტაპი. ბრეშადან მილანის დიდ გარეუბან მედამდე მრბოლებს მხოლოდ 102 კილომეტრი უნდა გაევლოთ. პელოტონის საშუალო სიჩქარე არცთუ დაბალი იყო (41 კმ/სთ), გზა — სწორი, ამიტომაც სპორტსმენებს კიდევ ერთი, ფაქტობრივად, დასვენების დღე გამოუვიდათ. მათ გზის გავლას მხოლოდ ორსაათნახევარი მოანდომეს და საერთო ჩათვლაშიც თითქმის არაფერი შეცვლილა.

ბრეშაში, წინა ეტაპზე მომხდარი საფინიშო არეულობის შემდეგ, როცა ესპანელი ანხელ ვისიოსო დისკვალიფიკაციით დასაჯეს და გამარჯვება იტალიელ ბიაჯიო კონტეს მიაკუთვნეს, ამჯერად ყველაფერი მშვიდად წარიმართა. თავიდან პელოტონი იმდენად ნელა მიდიოდა, ლომბარდიელმა მრბოლმა (ძანეტი, ძანოტი, ბრინიოლი, გოტი, მაძოლენი) გზაზე მათ მისასალმებლად გამოსული საკუთარი ოჯახის წევრები ლამის ველოსიპედებიდან ჩამოუსვლელად გადაკოცნეს. ტემპმა მხოლოდ ბოლო 35 კილომეტრზე იმატა. ამ დროს პელოტონი საშუალედო ფინიშს მიუახლოვდა და ინტერჯიროს ჩათვლის ლიდერებიც გააქტიურდნენ.

დღის მთავარი შეტევა შვიდკაციანმა ჯგუფმა განახორციელა. თუმცა ლტოლვილებმა დიდი უპირატესობის მიღწევა ვერაფრით მოახერხეს. ისინი მაქსიმუმ 25 წამით უსწრებდნენ დანარჩენებს და ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე პოზიციების დათმობამ მოუწიათ.

გზის ბოლო, სწორ მონაკვეთზე საეკოლებმა ჩიპოლინის შემცველი კონტე იდეალურად გამოაქანეს, მაგრამ სიცილიელი ტოსკანელივით გამოცდილი არ არის და ზედიზედ მეორე გამარჯვებაც ვერ იზეიმა. გიდი ტაქტიკურად უშეცდომოდ გაისარჯა. დაელოდა კონტეს, წინ რომ აღარავინ დარჩენილიყო და სწორედ მაშინ შეუტია. იერიში წარმატებული გამოდგა და 28 წლის მრბოლმა, რომელიც პიზის მახლობლად მდებარე დაბა პონტედერადანაა, „ჯიროზე“ მეორე ეტაპი მოიგო. პირველი გამარჯვება მან შარშან ბოლო ეტაპზე, მილანში მოიპოვა.

„ფრანგულ გუნდში ყოფნას არაფერი სჯობს. ყველას თავისი როლი აქვს, გენერალურ მენეჯერს, სპორტულ დირექტორს... ისე არაა, როგორც იტალიაში, სადაც ხშირად ერთი და იგივე პიროვნება აკეთებს თითქმის ყველაფერს. აქ ხელფასსაც დროზე ვიღებ და მხოლოდ რბოლაზე ვფიქრობ“ — თქვა გიდიმ, რომელიც „ლა ფრანსეზ დე ჟეში“ სეზონის დასაწყისში გადავიდა და თავისი პირადი ქულების წყალობით გუნდი პირველ დივიზიონში დატოვა.

გაიოზ თალაძგაძე

მეთექვსმეტე ეტაპი

ბრეშა — მედა, 102 კმ

1. ფაბრიციო გიდი (იტალია, ლა ფრანსეზ დე ჟე) 2სთ 27წთ 34წმ
2. სტივენ დე იონგი (ჰოლანდია, რაბობანკი)
3. ბიაჯიო კონტე (იტალია, საეკო)
4. მარკო ძანოტი (იტალია, ლიკიგასი)
5. მორენო დი ბიასე (იტალია, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — 77სთ 05წთ 15წმ
2. სტეფანო გარძელი (იტალია, მერკატონე უნო) — +33წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) — +57წმ
4. ვლადიმერ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) — +1წთ 05წმ
5. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +1წთ 52წმ

დამშვიდდი ფრანჩესკო, შენ გაიმარჯვებ!

ფრანჩესკო კასაგრანდე

მეცხრე ეტაპის შემდეგ „ჯიროს“ ლიდერის ვარდისფერი მაისურა ფრანჩესკო კასაგრანდემ მოირგო და მას მერე აღარ თმობს. ახლა, როცა ტურნირის დასრულებამდე კვირაღაა დარჩენილი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჩათვლაში მისი გასწრება ძალიან ძნელი იქნება. ამის შანსი ოთხ-ხუთ მრბოლს კიდევ აქვს, მაგრამ არც კასაგრანდე აპირებს გულხელდაკრეფილად ყოფნას. თუმცა ტოსკანელი მაინც შიშით ელის ბოლოსწინა, სესტრიერის ეტაპს. იქ ინდივიდუალური რბოლაა დანიშნული, ჰოდა, ტოსკანელმა ასეთ ეტაპზე, ბიბიონში თითქმის ყველა თავის კონკურენტთან საკმაოდ დრო წააგო. სამაგიეროდ, იგი მთებშია ძლიერი. კასაგრანდე უკვე ერთი წელია, მკაცრ რეჟიმს იცავს. მანამდე იგი დოპინგისთვის ცხრა თვით იყო სპორტიდან მოკვეთილი. სასჯელის მოხდის შემდეგ „ვინი კალდიროლას“ ლიდერმა ექვსი კილო დაიკლო და მთების წონისა (58კგ) გახდა. გაიმარჯვებს თუ არა იგი? ალბათ, კი. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი აქვს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ გამოხვედით ასე სუსტად ინდივიდუალურ რბოლაში?

— ეტაპის დაწყებამდე მეგონა, რომ გაცილებით ნაკლებ დროს წავაგებდი, მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა არც უკმაყოფილო ვარ. პაველ ტონკოვმა მხოლოდ ორმოცი წამით მაჯობა, რაც ბევრი სრულებითაც არ არის. ასე რომ, არცთუ უიღბლო დღე მქონდა.

— ეს როგორ გავიგოთ?

— შეიძლებოდა ვარდისფერი მაისურაც დამეკარგა. ძალიან ძნელი ეტაპი იყო ჩემი ყაიდის მრბოლისთვის. თითქმის მთელი გზა სწორი იყო, აღმართების გარეშე. რაც მთავარია, საერთო ჩათვლაში ლიდერობა შევინარჩუნე. ეს კი ჩემთვისაც და ჩემი გუნდისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია.

— დოლომიტის მთების ეტაპზე რას გეგმავდით და აასრულეთ თუ არა ჩანაფიქრი?

— შაბათ-კვირას პელოტონი მთებს დაუბრუნდა. ორივე ულამაზესი ეტაპი იყო, განსაკუთრებით კვირისა, სადაც გავიას ულელტეხილი უნდა დაგვეძლია. საკმაოდ კარგ ფორმაში ვიყავი, ამიტომ რამდენიმე შეტევა განვახორციელე. ისევე, როგორც მეცხრე ეტაპზე, სან პელეგრინო ინ ალპეს მთაში, აქაც მინდოდა გამემარჯვა, მაგრამ ვერ შევძელი. თუმცა საბოლოოდ უმთავრეს კონკურენტებს მაინც ვაჯობე და, ახლა უფრო მეტი უპირატესობით ვიგებ. მაგალითად, ტონკოვს ორი წუთით და 35 წამით ვუსწრებ, არადა, დოლომიტებამდე მხოლოდ 7 წამს ვუგებდი. ახლა საბოლოო გამარჯვებაზეც შეიძლება ფიქრი.

— რადგან კონკურენტები ახსენეთ, ყველაზე მეტად ვისი გეშინიათ?

— ალბათ, მაინც ტონკოვის, რომლის ჩამოწერაც ჯერ ნაადრევია. ივან გოტისაც არ უთქვამს თავისი ბოლო სიტყვა. სტეფანო გარძელის, ჯილბერტო სიმონის, ვლადიმერ ბელისა და დარიო ფრიგოს შორის კი ვერავის გამოვარჩევ. დანარჩენები კი, ჩემი აზრით, საშიშნი აღარ არიან.

— როგორ შეაფასებდით „ჯიროს“ საწყის ორ მესამედზე თქვენს ასპარეზობას?

— აბეტონეს ეტაპზე გამარჯვებას ვგეგმავდით. ეს მოვახერხე კიდეც, თანაც, ვარდისფერი მაისურაც ჩემია. ასე რომ, კმაყოფილი ვარ.

— რა შეცვალეთ რბოლის სტილში?

— შარშან გადავწყვიტე, მთებში რბოლისთვის მეტი ყურადღება დამეთმო. ამიტომ წონა დავიკელი და შედეგი აღმართებში მალე შევიგრძენი. სამაგიეროდ, წონის დაკარგვის გამო ინდივიდუალურ რბოლებში მოვისუსტებ, მით უმეტეს მაშინ, როცა გზა სულ ლარივით სწორია, როგორც ბიბიონში. თუმცა „ჯიროს“ მოგება ხომ მხოლოდ მთებშია შესაძლებელი. მე კი უკვე ნამდვილი მთიელი ვარ.

— რა როლი მიუძღვის თქვენს წარმატებებში იოსუე ძენონის („ვინიკალდიროლას“ სპორტული დირექტორი)?

— ძენონის მშვენივრად შეუძლია რბოლების მომზადება, ამასთანავე თავის სპორტსმენებს სულიერ სიმხნევეს მატებს. აბეტონეს ეტაპის წინ ძალიან ვნერვიულობდი. ის მოვიდა და მითხრა: „დამშვიდდი, ფრანჩესკო, შენ გაიმარჯვებ“. ახლა „ჯიროზეც“ იგივეს მეუბნება და მეც მჯერა.

— 1998 წელს დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიკაციით დაგსაჯეს...

— ეს უკვე ისტორიაა. შეცდომისთვის უკვე ვზღავ. ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ახლა მხოლოდ ვარჯიშებზე და მომავალ გამარჯვებებზე ვფიქრობ!

თარგმნა გაგი გურულმა

PLAY OFF

ფინალი



REUTERS-ის რეზერვორდიდან

დალასელები თვით ედ ბელფორმაც ვერ იხსნა

შვიდი ბევრია

30 მაისი

ნიუ ჯერსი — დალასი 7:3

1:1 3:0 3:2

1:0 არნოტი 7'22 (5); 1:1 სიდორი 13'13 (1); 2:1 დანეიკო 22'52 (1); 3:1 სიკორა 30'28 (7); 4:1 სტივენსი 36'04 (3); 5:1 ბრილინი 42'22 (2); 6:1 სიკორა 43'02 (8); 7:1 არნოტი 45'42 (6); 7:2 სიმი 47'43 (1); 7:3 მიულერი 47'55 (2)

ვინ იფიქრებდა, რომ ასე წარიმართებოდა პირველი მატჩი. ყველაფერს ველოდით — მეკარეთა შეცდომებს, შემთხვევით გოლებს, ბოლოს და ბოლოს, ფატალურ უიღბლობას, მაგრამ თუ ლიგის რჩეული მცველები ამდენ შაიბას გაუშვებდნენ, ხოლო შეხვედრის ბედი უკვე 37-ე წუთზე გადაწყდებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. „ეს რაღაც სასწაულია. უკვე ვიცი, ხვალ რა ვარჯიშიც გველის“ — ოხრავდა მატჩის შემდეგ დამწუხრებული და ყურებჩამოყრილი ბრეტ ჰალი.

მოდით, გავერკვეთ, რამ განაპირობა მოვლენათა ასეთი განვითარება. თამაში ხომ ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო. გუნდებმა თავიდან ერთმანეთი დაზვერეს, მაგრამ როგორც კი მასპინძლები გააქტიურდნენ, ნაყოფიც მოიმკეს — რამდენიმე ხანგრძლივი შეტევის შემდეგ მათი წამყვანი ტრიოს კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა. ცხადია, დალასი ასეთმა დასაწყისმა არ გააბარა და თანდათან სტუმრებიც ამოქმედდნენ. განსაკუთრებით ლიაშენკოს სამეული აქტიურობდა. სწორედ მათი ძალისხმევით გაათანაბრეს „ვარსკვლავებმა“ ანგარიში.

არც მეორე პერიოდის დასაწყისი მოასწავებდა სტუმართათვის რაიმე ცუდს, მაგრამ... „ეშმაკებმა“ ორი-სამი სრულიად უხიფათო შეტევის შემდეგ შაიბა დალასის ზონაში ჩააგდეს და კენ დანეიკოს არცთუ ძლიერ დარტყმას ბელფორი ვერ გაუმკლავდა. დალასელები კვლავ მდევრის როლში აღმოჩნენ და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მეტოქეს სულ მალე დაეწეოდნენ. როგორც იქნა, გააქტიურდა მოდანოს სამეული. ჯერ იყო და, ცენტრფორვარდის დარტყმის შემდეგ ბრენდან მოროუმ დამატებაზე იყოჩაღა, მერე კი ბროდომ უფრო მარჯვედ ითამაშა. აი, სწორედ ამ მომენტს მოჰყვა ის სამი წუთი, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. მსაჯებმა გი კარბონოს გოლი არ ჩათვალეს, რადგან წამით ადრე შეხვედრა გააჩერეს, ამჯერად პასიურმა ჰალმაც გააფუჭა თავისი ერთადერთი მომენტი და დალასს უმალ გაეპარა სწრაფი კონტრშეტევა — მათ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა პატრიკ ელიაშმა დიდებული პასით დააჩუქა სიკორა და ნიუ ჯერსი 3:1 დაწინაურდა. ხუთიოდ წუთში კი ყველაფერი გაირკვა. ახლაც ვერ იყოჩაღა ბელფორმა, რომელმაც სკოტ სტივენსის შორეული დარტყმა ვერ მოიგერია — 4:1. დალასმა ხელი ჩაიქნია, ნიუ ჯერსიმ კი მერეც არ დაინდო გაოგნებული მეტოქე. მესამე პერიოდში „ეშმაკთა“ პირველივე ორი დარტყმა გოლით დასრულდა და „ვარსკვლავთა“ თავზარდაცემულმა გოლკიპერმა სათადარიგოთა სკამს მიაშურა, თუმცა არც მის შემცვლელ მენი ფერნანდესს დაადგა უკეთესი დღე.

სამველ ღარიბიანი

კაპიროსის პირველი 500

მოტორბოლთა მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპი — იტალიის დიდი პრიზი მუგელოს წრეზე მოეწყო.

იტალიელი ფანები და, სხვათა შორის, სპეციალისტებიც სამივე კლასში გამარჯვებას გეგმავდნენ. 125-ში რობერტო ლოკატელის იმედი ჰქონდათ, 250-ში — მარკო მელანდრის, 500-იანებში კი გამარჯვების სამი რეალური კანდიდატი ჰყავდათ, სამივე მსოფლიოს ჩემპიონი. მაქს ბიაჯი, ვალენტინო როსი და ლორის კაპიროსი. ლოკატელიმ სრულად გაამართლა ქომაგთა იმედები, მელანდრი კი მხოლოდ მეოთხე იყო. ყველაზე პრესტიჟულ კლას 500-ში, ფინიშამდე სულ ორიოდე წრით ადრე პირველ სამ ადგილზე მათი ფავორიტები იყვნენ — როსი და კაპიროსი მორიგეობით ლიდერობდნენ, კვალში კი ბიაჯი ედგათ. რბოლის მსელელობისას კაპიროსის რამდენჯერმე „ჰქონდა შანსი“ მოტოციკლიანად გავარდნილიყო ტრასიდან, მაგრამ ამ დღეს ბედი აშკარად სწყალობდა ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონს, სამაგიეროდ, თითო შეცდომა ძვირად დაუჯდათ როსის და ბიაჯის. ასე რომ, გულშემატკივრებს თვალსა და ხელს შუა შემოეცალათ თითქმის განაღდებული იტალიური პოდიუმი. ლორის კაპიროსისთვის ეს იყო პირველი გამარჯვება ხუთიანების კლასში.

კონსტრუქტორთა თასზე წლევანდელ სეზონში ერომმართველობაზე ლაპარაკი აღარ გვიხდება. 250-სა და 500-ში „იამაჰა“ ლიდერობს, „ჰონდას“ ჯერჯერობით მხოლოდ 125-ში აქვს უკეთესი შედეგი.

ირაკლი ბერიაშვილი

საერთო ჩათვლა

125 კუბ. სმ.

1. მირკო ჯიანნანტი (იტალია, ჰონდა) — 96 ქულა
2. რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია) — 92
3. ემილიო ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა) — 90

250 კუბ. სმ.

1. შინი ნაკანო (იაპონია, იამაჰა) — 112
2. დაჯირო კატო (იაპონია, ჰონდა) — 107
3. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა) — 95

500 კუბ. სმ.

1. კენი რობერტსი (აშშ, სუზუკი) — 100
2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) — 100
3. ნორიკ აბე (იაპონია, იამაჰა) — 65

ᲐᲛᲜᲐᲜᲐᲒᲨᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ 1:1 ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ
0:1 პავტიუსი (24), 1:1 ბესჩასტნიხი (59)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ 2:0 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
1:0 ფაულერი (44), 2:0 ადამსი (68)

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ
V ტᲣᲠᲘ

ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲡᲘ 2:4 ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ

ᲛᲐᲐᲡᲢᲠᲘᲮᲢᲘ 0:3 ᲔᲛᲔᲜᲘ

ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ ᲰᲝᲚᲣᲡᲖᲔ ᲓᲐ ᲣᲰᲐᲜ

ᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲑᲣᲠᲗᲘᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲰᲝᲚᲣᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲰᲔᲛᲠᲚᲛᲐᲜ-ᲐᲓᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓ ᲯᲐᲒᲣᲐᲨᲘᲐ. ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲐ ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲚᲣᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲕᲘᲜ ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲡᲐᲓ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲛᲪᲮᲣᲜᲕᲐᲠᲔ ᲑᲐᲚᲛᲐ ᲓᲘ ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲛᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲣᲠ „ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐᲡ“ ᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ. ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲧᲠᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲪᲥᲔᲠᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲙᲐᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲘᲬᲔᲕᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚ ᲔᲠᲘᲰ ᲠᲘᲑᲔᲙᲡ, ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲫᲐᲐᲜ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲛᲐᲜᲝᲚᲝ ᲒᲐᲣᲪᲕᲜᲘᲐ. ᲛᲐᲜᲝᲚᲝᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲪ ᲣᲩᲣᲥᲜᲘᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲜᲘᲝᲜᲨᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲐᲜ. ᲘᲥᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲚᲐᲛ-ᲥᲐᲚᲐᲛᲘᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ. ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ, ᲐᲬ ᲙᲘ ᲤᲠᲔᲜᲒ ᲠᲐᲘᲙᲐᲐᲠᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ — ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲓᲘ ᲙᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲰᲐᲜ ᲜᲔᲯᲡᲙᲔᲜᲡᲘ ᲜᲘᲝᲜᲨᲘᲕᲔ ᲬᲐᲰᲧᲠᲘᲐᲜ ᲫᲕᲔᲚ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲞᲐᲣᲚᲝ ᲪᲔᲖᲐᲠᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲝᲪᲓᲐᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲔᲠᲙᲘᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲛᲐᲓᲚᲔᲑᲘᲐᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲫᲜᲐᲡ

ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲡᲐᲭᲔ ᲛᲘᲣᲒᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ. ᲛᲝᲜᲐᲧᲝᲡ ᲞᲠᲘᲜᲪ ᲐᲚᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲣᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲝ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ? ᲡᲣᲚᲘᲗ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲮᲔᲠᲮᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ...

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲔᲡ ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲓ ᲣᲘᲜᲝᲚᲐ, ᲛᲣᲠᲘᲒᲘᲙᲔᲢᲔ ᲤᲘᲚ ᲢᲐᲤᲜᲔᲚᲘ, ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲔ ᲚᲝᲣᲠᲔᲜᲡ ᲓᲐᲚᲐᲚᲘᲗ, ᲔᲛᲙᲔᲘ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲓᲐᲜᲕᲣᲓᲘ, ᲫᲚᲔᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲯᲝᲜ ᲠᲔᲯᲘᲡᲘ, ᲛᲝᲡᲜᲣᲙᲔᲠᲔ ᲯᲝᲜ ᲣᲐᲢᲘ, ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲔ ᲑᲠᲐᲘᲐᲜ ᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲨᲝᲣᲛᲔᲜᲘ ᲒᲔᲑᲘ ᲘᲝᲠᲐᲢᲘ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲣᲤᲐᲠᲔᲑᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘᲐ, ᲙᲘᲑᲝ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲚᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲥ ᲣᲤᲐᲡ.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge